1527

ასოანბანი

1

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

F-255
1927

ფანფარა მწერლობაზ

სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის ყოველთვიური ჟურნალი.

წელიწადი მეორე

F 669

რედაქტორი
ნიკოლოზ მიწიშვილი

[illegible] სახ. ხელ. ბიბ.
საჯარო
[illegible]

ი ა ნ ვ ა რ ი
ტფილისი — 1927

შინაარსი.

პოეზია (ანბანზე):

ზომლეთელი ნ. — ლენინის აკლდამასთან.

აბაშელი ალ. — მტკვარი.

გაფრინდაშვილი ვ. — ძველი პალტო.

კალაძე კ. — აღმოსავლური.

ლორთქიფანიძე კ. — მეგობრებს.

მიწიშვილი ნიკოლო — სამი ლექსი.

ტაბიძე ტიციან — მე ყაჩაღებმა მომკლეს არაგვზე.

შანშიაშვილი სანდრო — მგზავრი.

წერილები:

გრიგოლ რობაქიძე — საქართველოს ხერხემალი.

სეით დევდარიანი — საქართველო.

სიმონ ჩიქოვანი — ნიკოლოზ მიწიშვილის წერილის გამო.

ბენო გორდეზიანი — ყოფის საკითხი.

ნიკოლოზ მიწიშვილი — ჩემი პასუხიც.

გერონტი ქიქოძე — ომის მოლოდინში.

ტიციან ტაბიძე — ქართველი მწერლების დელეგაცია სომხეთში.

პოეზია

ლენინის აკლდამასთან.

ბეწვიანს ჭურქში შეფუთვნილა დიდი მოსკოვი
და იანვრის ცას სცვივა მაქრად გამშრალი ცრემლი,
არის გულ-ხარბი ცივი სუნთქვა, წარსულზე მგლოვი,
მაგრამ უხვია მწველი სულთქმით ამაყი კრემლი.
მოილტვის ნისლი, ვით ოდესმე მტერთა ურდონი,
სისხლის, სიკვდილის, ცეცხლის, კვამლის შავ მაგალითად;
წინ კი ელექტროს სხივნი სდგანან, მათთვის უნდონი,
ალას მინიდან, პაჟარსკად, თუ ივან კალიტად;..
ჰკუთვენ, ვით ბნელში — უამრავი კიოტები,
ელსადგურების მთელი რიგი, რომ ელის შატურს,
და თეთრი მდევის ურიცხვ რქათა ცეცხლის ტოტები
ჰხევენ ყომრალს ნისლს და ჰბურღავენ ბნელს, მუხანა-
თურს...

არის უსაზღვრო შეხლა მტერთან, დანაპირული,
და იწვის კრემლი!.. იწვის პრესნა!.. იწვის მოსკოვი!..
და ეს უსაზღვრო ალთ ნაკადთა ძნა, საკირული,
სჩანს, ვით მუდმივი ხანძარი თეთრ ცას შენაქსოვი!..
უმაგალითო იყო მუდამ მისი ხანძარი!
უსაზღვროთ არის იგი ახლაც აწვდილი მალლა!..
ლამის ასასად ქუჩებში რომ დაძვრება ქარი,
ის ძილს სიფხიზლით ჰკვეთს, ვით ჰაერს—რადიო-ტალღა...
და ამ დროს რადიოს მიუმართავს ყველა ხაზები
იქითკენ, სადაც მოსჩანს კრემლი ოქროს სვეტებით,
აწვდილნი, როგორც ცეცხლოვანი აქანდაზები,
კოშკთა ლახვრები, ცას რომ ხევენ ბასრი წვეტებით!..
სდუმს კრემლი, როგორც შუბლი, ბრძნულად ჩაფი-
ქრებული,
მაგრამ სცემს კრემლი, როგორც გული სიცოცხლის გრდე-
მლის!..

იქ დუმილშიაც ბრძოლა ისმის, ამქუხრებული,
და ამ ცემაშიც — ბრძნული დარტყმა მჭედელი კრემლის!..
აქ — კომინტერნი მთელი ქვეყნის ფეთქავს, ძარ-
ღვებში,
იქ — ალმასკომი, სოვნარკომი!.. დიდი „ვეკაპე“!..
ირგვლივ ქალაქი შადრევნად სჩქეფს ულევ ბალებში
და მოძრაობა გაშლილა, ვით ზღვა, მოლაპლაპე...
ქუჩა სცვლის ქუჩას, მგარამ გზები, გრძელი და
ვრცელი,
არის განგრძობა მათი ირგვლივ მთელ მსოფლიოზე:
ფრანგი, ჩინელი, გერმანელი, თუ ინგლისელი,
ყველა ისწრაფვის და იჭერს ხაზს ამ ბასტიონზე...
სადაც მეტყველი მდუმარებით ჩვენი ბელადი
ისვენებს მტრებთან სასტიკ ბრძოლით ძარღვებ-დაღლილი,
იქვე მის გვერდით წევს საველე შტაბიც, ხელადი,
რომ სძინავთ, მაგრამ ხმლებიც მზად აქვთ ხელში აწვ-
დილი...
ეგ საგუშაგო ბევრს მოელის ღირსეულ გმირებს,
ახლა რომ უწევთ გამალებით ომში წინ ტევა...
მაგრამ ამათ ხომ ქვეყნად ვერვინ ვერ დაიტირებს,
რადგან გმირები შრომის უბნებს არ დაელევა...
აქ მოსულებიც არა სწყვეტენ ცოცხლებთან კავშირს...
ეს მოედანიც საგუშაგო მოსჩანს კოცონად,
ბევრს იტევს დაღლილს ბრძოლაში, თუ მტრის ხელით და-
ჭრილს,
მდებარეთ უტყვად, მაგრამ მედგრათ და თავმომწონად...
და ამ რაზმს რჩეულ მეომართა თავში უდგია
იგი, ვინც მტრებზე მდუმარეც კი რისხვით მქუხარებს,
ვის ხსოვნაც ძეგლად — ხელთუქმნელად გულში უგია
მთლად ქვეყნის მონებს, დაჩაგრულებს, გერებს, ფუხა-
რებს...

ლენინ!.. ჰა, ის ამ ხუთ ხმაშია აყლერებული,
ცეცხლის ქიმებათ გადაწვდილი დედამიწაზე,
ევერესტს, მონბლანს, კორდილიერს აშორებული,
ეიფელზე მძლე და ეგვიპტის პირამიდაზეც...

ლენინ! შენ ქვეყნის ოთხი მხარე ერთად შეჰკონე
და შეხუთე მხრით, ერთ მხრით მიეც მიმართულება...
„ლენინ“... ეგ სიტყვა არც ერთ კანონს არ დაუმორე
და ის ყველა მხრის ყველა ხალხთა არის თქმულება!..
აი, რად არის, რომ მდუმარებს შენს ირგვლივ კრემლი,
როცა მოსკოვი ზღვის ცოფივით სულ მქუხარეა:
აქ შენი გული ასვენია, მსოფლიოს გრდემლი,
გარს კი მშვიდლებათ ყველა ხალხი, ყველა მხარეა!..
არის უსაზღვრო შეხლა მტრებთან, დანაპირული,
და იწვის კრემლი... იწვის პრესნა... იწვის მოსკოვი...
და ეს უსაზღვრო ალთ ნაკადთა ძნა, საკირული,
მთლად დედამიწის მკერდს ეგზნება, ცას შენაქსოვი!..
და მაშინ, როს ამ ცეცხლის ენებს სულ ერთად აღძრავს
მსოფლიოს ცაზე რისხვის შეხთა გადაჭენება,
აქ მოვასვენებთ არა ერთ გმირს ბრძოლიდან, მაგრამ
არ შეიძლება, ლენინ, შენი გადასვენება!..

მოსკოვი
1926 წ. ნოემბერი.

ალ. აბაშელი

მტკვარი.

1.

მოგაქვს ტალღებით ოქროს მტევნები,
მოდიხარ ლაღი და უზრუნველი,
მტკვარო, გამთბარო მზის შადრევნებით!
მტკვარო, სავსეო ფიჭვის სურნელით!
გელის ტფილისთან შენ განცვიფრება
და საკვირველი სანახაობა:
შენს დენას რკინა შეეჯიბრება,
რომ დაგაგუბოს მლვრიე ჭაობად.
მაგრამ თავ-აწვდილ რკინის ჟირაფებს
გადაემსხვრევა შენი ზვირთები,
გრგვინვით გაირბენ მბრუნავ გვირაბებს
და ვერცხლის ქაფით დაიტვირთები.
რკინა შენს ძალას დაემონება,
შენ კი მას უნდა ეამხანაგო,
რომ მანქანათა ლეგიონებმა
ტფილისის იროგვლივ დაიბანაკონ.
დაგევალება ცეცხლის დანთება, —
უნდა მოსტაცო შუქი ალიონს,
რომ ქვის და თუჯის გოლიათებმა
ათას მავთულით ალი დალიონ.
როგორ შეაკრთობს და გააკვირვებს
შენს ალელვებულს ჭალარა ტალღებს,
როცა გაივლი უცნობ ნაპირებს
და საზეიმო ტრიუმფის თაღებს!

2.

ერთხელ ბორჯომის ხშირ ხეობიდან
მტკვარმა ტივები ჩამოიტანა;
მზე რომ ჩავიდა და შემობინდდა
მცხეთას მოადგა მაღალ ხიდთანა.
რომ დაინახა მცხეთის კარიდან
წყალზე დამდგარი ცეცხლის კრებული
მტკვარმა თვალები ვერ მოარიდა
და უცბად შედგა განცვიფრებული.
რკინა ებრძოდა ცოფიან ტალღებს,
ჰბურღავდა ფოლადს ათასი ხელი,
და ისველებდა ლითონის ძარღვებს
მტკვარს ჩაწოლილი დუღაბი ცხელი.
გაოცდენ მტკვარის მღვრიე თვალები.
მან ჯერ ტალღები ბრაზით ალესა,
მაგრამ დამშვიდდა, და მოკრძალებით
რკინის ჯებირებს მიუალერსა...
სჩანს, საუკუნო ტანჯვით დამცხრალი
შრომის ხალისი არ იჟანგება,
თუ ორი მტერი: ცეცხლი და წყალი,
დააქორწილა მისმა განგებამ!
და რომ სიბნელე დღეს ვერა სჯობდეს, —
იშვა სინათლე, სხივთა მთოველი;
დადგა ტფილისის სადარაჯოზე
ნათლით მოსილი სვეტი-ცხოველი...

3.

სოფლებს დაივლის მქუხარ ზვირთებად
ყალყზე შემდგარი მტკვარის გრიალი,
თითქოს უნახავ საქმეს ჰპირდება
რაში, ბეტონის უნაგრიანი.
და სიზმარივით მოეჩვენება
სოფელს ნანატრი ფიქრის ახდომა:
გლეხს თვით შეეძლოს დღის გათენება
და არ დასტანჯოს ღამესთან ომმა;

რომ უსინათლოდ არ აწვალებდეს
გრძელი საღამო ზამთრის დღეების,
ბინდი არ ეკრას ბავშებს თვალებზე
და გაქრეს შიში ბნელ კუთხეების;
ზაფხულში შრომას თანამგზავრობდეს
სინათლე დღისით, სინათლე ღამით,
და ვახშმის ტაბლა აღარ ჯავრობდეს
მხჩოლავ პატრუქის უშნო ხამხამით;
და ვინც ყანაში დრო დაახანოს,
სახლში დაბრუნდეს ანთებულ შუკით,
და ყოველ ქოხში, ყოველ საღამოს,
ოქროს ჩიტივით შეფრინდეს შუქი;
ღარიბ ყავრის ქვეშ გაიხსნას ზეცა,
ჩაჯდეს ბუდეში ვარსკვლავთა ხომლი,
რომ მზით გარუჯულ თვალებს არ ეცვას
კვარის და ჭრაქის მუდმივი კომლი!..

4.

სურამის ქედი დინამიტს უცდის,
რომ ააფეთქოს კლდიანი ზურგი,
იკისროს ტვირთი ჯავშნიან ქუსლის,
მოისხას ცეცხლის და კომლის ქურქი, —
რომ შემდეგ ლიხის ორივე მხარეს
გადააყაროს დათლილი ქვები. —
გლეხებმა დღემდის მიწური თხარეს,
ეხლა კი დროა გამართონ მხრები!
დროა ფოთლების ზღვაში გამოჩნდეს
მაღალ სვეტების თეთრი ფერხული,
რომ საბოლოოდ მოკვდეს და მორჩეს
ყოფნა უმწეო და უხერხული.
რომ ქართლის მწვანე, ფართო კალთაზე,
სადაც ვენახი და პური ჰხაროობს,
აჰყვავდეს სახლი ათი-ათასი
და თეთრ კოშკებმა მთები დაჰფაროს.

დღე ხვალინდელი წარსულს გადუხდის
განვლილ სიმწარეს სხვა იმედებით,
ოღონდ ძაღლვებში სისხლი ადუღდეს
დაუცხრომელი შემოქმედებით.
რკინის აკვანში ჩაკრულ მტკვარიდან
მოვარდეს ელვა ნიაღვარული,
და შემოვიდეს ოთხივ კარიდან
შრომა, სინათლე და სიყვარული!..

ვალერიან გაფრინდაშვილი.

ძველი პალტო.

საზამთრო პალტო შავ ფოლაქებით
დეზერტირკაზე ვიყიდე ერთხელ.
მას მოვაცილე დიდი ლაქები
და ნაფტალინი მთლად გამოვფერთხე.

მე ახლა პალტო მაცვია სხვისი.
ამეკვიატა კითხვა გვიანი:
წინად ვინ იყო პატრონი მისი —
მოხელე, მკვლელი, თუ ავზნიანი?

თითქოს ვატარებ სხვის ცოდვებს ტანზე
და უცხო გრძნობებს დღეს ვიზიარებ:
მე ვიხედები ქუჩაში განზე
და ველოდები ქურდულ იარებს.

ალშფოთებული, მუდამ ვრწმუნდები —
პალტო ჩემს ბედზე ახდენს გავლენას.
სახლში ღამითაც ალარ ვბრუნდები
და ბოროტ ღამეს მივაპყრობ სმენას.

დამებადება სურვილი ხშირად,
რომ გავათიო ხიდის-ქვეშ ღამე,
ვიხეტიალო ველურ ნადირად
და ყაჩაღობის ვნახო სიამე.

თუ ეკუთვნოდა ეს პალტო პოეტს,
ან და კლეპტომანს შეშლილ თვალებით?
მე ახლა ვეტრფი ზღაპრულ ინდოეთს,
ჩემგან მოგონილ მტერს ვემალები.

მხოლოდ ეს არის ჩემი ოცნება:
მივყიდო ვისმეს პალტო ცბიერი,
რომ არ დავკარგო პატიოსნება
და ვიყო სულით კვლავ ბედნიერი.

ჯარლო კალაძე

رباعيات قارلو قالادزه

აღმოსავლურიდ

1.

ლამე თუ შეგუბდა, — ყოველი სხეული
იხრწნება ჩრდილებათ და მოგთხრის თვალებს!
ჩვენც შევხვდით ერთმანეთს, როდესაც სარკმელში
როგორც თავის ქალა ეკიდა მთვარე...
და ჩემ ხორცს სწვავდა, — ფიქრებში ჩაძირულს
სისხლის, შემხუთველი დინება, და სითბო! —
რომ ლექსის ყოველი მართალი სტრიქონი
გულიდან აწყვეტილი ძარღვი ყოფილიყო.

2.

შუქ გახსნილ დილით გამოხვალ თუ არა, —
ოდის წინ შუდამ სდგას ფეხმარდი მერანი,
გულს გერჩის და უმალ შენც შემოახტები
რომ რბენით დაიცხრო სულისთქმა მღელვარი...
მაგრამ, ჩამავალ მზეს თვალი თუ მოჰკარ,
უეცრად შეგაკრთობს განვლილი მანძილი
და გულის კანკალით კვლავ მოსწევ აღვირებს! —
ლურჯა კი გარბის! — და. ეცემი დაღლილი.

3.

მზე რომ თვალ გალმა ჩაჰქრება, — ცისკიდურს
გადუვლის დღე როგორც ფრთაშავი ფრინველი! —
და ასე ყოველლამ ვწუხვარ და ვკანკალებ
გულზე შემოსეულ ყორნების მხილველი...
ნუთუ მე ამდენი დღეები განვლიე, —
ეხლა ლეშს ამდენი ყორანი რომ უმზერს?!
ცის სილრმე ივსება შავი ფრინველებით. —
ბნელდება თანდათან გული და ჩემი მზე.

4.

მშობლიურ ველებს გშორდებით, მივდივარ.
შორეულ უდაბნოს ივლის ქარავანი...
მაგრამ, ჩვენ ყოველგან ერთადვე დავრჩებით, —
მუდმივ განუყრელი და ერთად მავალი.
ო, ნუ იდარდებთ თუ სადმე დავეცე,
სილაში დამმარხვენ უდაბნოს ქარები!
თქვენ ცას, ცრემლით სავსე თვალივით ყოველლამ
მთვარე გადმოივლის — და ეს მე ვიქნები.

5.

არაბთა მბრძანებელს მოჰგვარეს უცნობი, —
რომელმაც უარჰყო გრძნეული ყურანი.
— სულხარბი ყოფილხარ! — ღიმილით ბრძანა მან
მაგრამ, სხვა სიბრძნეთა სურვილი თუ არის,
ჯერ უნდა მოთხარო მიწის თბილი ხორცი, —
რომ კვლავ გამოძერწო ახალი ადამი!
თუ არა, ვით დაჰგმობს მშობლიურ გულისთქმას
მზესა და უდაბნოს შეზრდილი არაბი?

6.

მოლილი ძვლები აქ განისვენებენ, —
სამარის შუაგულ მუხაა დარგული,
ტან მალალ ტოტებში მამათა სისხლი სჩქეფს, —
აქ რომ ეცემოდენ ყელ-გამოლადრული...
— შენ ჩემი მოდგმის ხორცით ხარ ნაზარდი,
ჩვენ ღვიძლი ძმები ვართ. — ვხარობ, რომ გიყურებ!
მუხაო, შენ ფესვებს ვერ მოთხრის გრიგალი,
და თუ მანდ დამმარხეს, — ცოცხალი მიგულე.

7.

ეს როგორც ერთი დღის პეპელა ჰკვდებოდა,
ტყეთ გასულ მშობელს ჯერ თვალი არ უჩანდა, —
მან მთები გადმოვლო, მოჰკლა შველის ნუკრი,
და შვილს ჩვილი გული წამლად მიუტანა...
 დილით კი მხიარულს შემოხვდა შველი და
მკლავი დაულოცა, — ჩამოდგა მის ახლო
და ჰკითხა: ზეცამ გიცოცხლოს გოგონა, —
სთქვი თუ ნუკრის გულმა საბრალოს ხომ არგო?

8.

სიცოცხლე მეტად დრომოკლე ყოფილა, —
და მის შესახებ თქმულებაც მოკლეა...
ყოველ მწუხრის ჟამს, — ამბობენ, — ბულბული
გულისთქმას გალობდა ამ ვარდის ფოთლებთან...
 და ერთხელ, უეცრად, ალერსით გართული
ეკალს წამოეგო მთრთოლვარე გული! — და...
მაგრამ, რომ დადგა ისევ გაზაფხული
დასისხლულ ყვავილთან სხვა გული ჰგალობდა.

9.

სიცოცხლე გულის ჩაკვლით ვერ სრულდება, —
და ველარც მოქანცულ ძვლების გადამსხვრევით!
მოხვალ შენ, — უცნობი ჰკითხულობ ძველ განცდებს
და თვალებ ჩამქრალი ისევ გაგონდები...
 საკუთარ სისხლის სილრმეში ჩაძირულს
თუ მხედავ, — ქარმალალ ბრძოლების შვილი ვარ, —
და მსურდა ჩემი ყოველი ნაბიჯი
მიწას დასჩენოდა, — როგორც ეს ჭრილობა!..

ქობულეთი
სექტემბრის ღამეები.

—:—

კონსტ. ლორთქიფანიძე.

მეგობრებს.

პ. ქიქოძეს და შ. რადიანს.

მე თქვენ გიწოდებთ მეგობრულ ხელებს,
სალამი ყველას, თქვენთან ვარ ისევ!
ფრინველებივით ნაცრისფერ დღეებს
ვინ გაეპარა სამხრეთულ მზისკენ?!

ვინ გამოაკლდა ჩვენს დაძახილებს,
ხმა საომარი ვის ემძიმება!
დღეს ეს შეხვედრა გაგვამახვილებს
და გულში ცეცხლათ ჩაგვეძირება.

ჩვენი ენაა, ჩვენი დედანი
და ტკბილზე ტკბილი შესახედავი,
როცა გვესმიან მძაფრი ბგერანი
ლურჯას ტორებზე გაკრულ მხედარის.

ამხანაგებო, დღეს მე ვფიცავარ,
ჩვენი სიცოცხლის გაჩენის წუთებს:
დეე, შემჭამოს თუნდა მიწამაც,
დღეს მე ამ მიწას სიმღერებს უნთებ.

და თუ გვეწვია კვლავ შემოდგომა,
თუ გადაგვიხსნეს გულზე იარა,
ავენთოთ... იტყვის შემდეგი მოდგმა;
ამ ხალხმა ცეცხლში გადაიარა.

—;—

ნიკოლოზ მიწიშვილი.

სამი ლექსი

I. სიყვარულს.

ეგვიპტიდან მოტანილი ყალამუს.
ატირება დავრდომილი რითმების.
ვიცი — ბედი ჩემზე არ დაითმების,
არც ნაღველი ელირსება მალამოს.

დამავიწყდა ქვეყანაზე რაც არი —
მეგობრები, სიხარული, სიამე.
ჭრილობანი გულზე დამესია მე,
რაც ავაგე შენი ტრფობის ტაძარი.

შენ გნახულობ კარის ეკლესიაში,
სადაც სწირავს დეკანოზი დიანოს.
განმიკითხე შენს მონათა სიაში,
ან მივილებ რჯულს სამაჰმადიანოს.

უშენობით ვინ მიხილოს მცინარი.
შენს გადალმა ქვეყნად რა დამრჩენია —
საფლავშიაც ჩემი გული შენია.
შენ გეძახი ფხიზელი, თუ მძინარი.

გეძახი და კი ვერ გაგემხილები,
მემატება საწყენი საწყენზედა.
მესიზმრება შენი ოქროს ლილები —
ლვთისმშობელო — მიმინოთი, ცხენზედა.

სტამბოლი.
1922

II. საშშოგლოს.

როცა საშშობლოს მოწყვეტილი, გულდარბეული
დავწანწალობდი გადატყაულს მსოფლიო გზებზე,
როცა ქრებოდა ფიქრი შენზე, მალალს ლექსებზე
და იღვრებოდა გული, სევდით გადარღვეული, —

გამომეცხადა მე წმინდანი თავმოკვეთილი:
ბრწყინვალე თავი მას ეჭირა საკუთარს ხელში.
აკომლებული, სისხლიანი სიტყვებით ყელში
ის აღიმართა ჩემს წინაშე, როგორც კედელი.

რქვა — ბედისწერას ქვეყანაზე ბევრი ედავე,
ბევრი წამებით, ბევრი ცრემლით შეიქენ სავსე,
მაგრამ აღსრულდა. ძახთაპირის გზა მოითავე
ეხლა წამება უტკბილესი დაიდგი თავზე:

რქვა და მომკვეთა უმეტყველო, თავი მდუმარე
და საკუთარი, აღგზნებული მან ჩამაბარა.
მიწას დავეპყარ. მიწამ სითბო ამომაფარა
და უდაბნომ კი წარიტაცა უცხო სტუმარი.

ამაღელვებელ მოჩვენებას მე გადავები:
გაიხსნა ზეცა სხივოსანი სინათლის ფრქვევით
და როგორც თვალი, როგორც სიბრძნე და უკვდავება
გამოჩნდა სიტყვა — საქართველო — ორი მზის ქვეშით.

ო, საქართველო, წიგნო, ჩუმად გადასაშლელო,
გულის ცემაში ჩასრესილო სიკეთე წმინდა.
შენი წყლულებით მინდა გული მეც ავაჭრელო,
შენი სახელით გახარება ათასჯერ მინდა.

დიდი ტროფიალის მეც დამადგი მძიმე ულელი,
გასწონე გული სიყვარულის მწივანა ისრით —
მე, თავმოჭრილი, წამებაში შეწუხებული,
გეამბორები, სახსოვარო, სისხლოვან კისრით.

პარიზი, 1924

საპყრობილე „სანტე“.

III. პროლეტარიატს.

დიდხანს გეძებდით, ჩემო ძმებო, დაღლილის თვალით
და მხოლოდ ეხლა მივაგენი თქვენს სამფლობელოს,
სადაც ერთხელ თქვენ მოკითხვა შემომითვალეთ.
რომ ჩემი გული თქვენს წამებას კვლავ ეძმობილოს.
თქვენი თვალები, შეპყრობილი მებრძოლის სენით,
მკლავები — მჭელი ნამგალივით შემოკერილი,
თქვენი სიტყვები ანთებული მყივარის ენით, —
ჩემს გულში მუდამ ცეცხლით იყო ამოწერილი.
ჩვენ ხომ ძმები ვართ შორეული დასაბამიდან,
ადამიანის რაც დაგვერქვა ძველი სახელი.
ერთად გვახმობდა ეგვიპტეში ცხელი ამინდი,
ერთად გვწურავდა უბედობის ჩვენ საწნახელი.
ძველ ინდოეთში ჩვენ ვიყავით მონა-ჩანდალი,
განგის ნიანგი ილესავდა ჩვენი ძვლით კბილებს.
შემდეგ ჩაშავდა ჩაკირული სულის შანდალი
და შემდეგ რომში ვაბრუნებდით მძიმე წისქვილებს.
კვლავ განვიყარეთ, ზაინკალი უცხო მეფისა
ეხლა მე, ძმებო, პოეტი ვარ განგების ძალით.
მე თქვენ ძებნაში ეს თვალები ამომეფისა
და სამოსელი შემომეხა უგზო წანწალით.
დიდხანს მინდოდა თქვენი ნახვა, მეგობრის თვალით
და მხოლოდ ეხლა მივაგენი თქვენს სამფლობელოს,
მოვდივარ, სავსე ძველის სისხლით და ძველის ვალით,
თქვენთან სიმღერამ ჩემი ლექსიც რომ გამოპიროს.
მინდა ვიმღერო აწი თქვენზე კეთილო ძმებო. —
ცეცხლს წაუკიდებ სიყვარულით ავსებულ სხეულს
ჩემს დაბრუნებას თქვენი ხმა თუ დაემოწმება, —
მეც გამოვყვები თქვენს ბაირალს, ბრძოლით დახეულს.

პარიზი, 1925 წ.

—:—

ტიციან ტაბიძე

მე უაჩალებმა მომკლეს არაგვზე

ჩამომრჩა უკან მე ჩერქეზეთი
უახლოვდები ჩვენსკენ დარიალს
დამშრალი თერგი — ერთი წვეთია,
მაგრამ ზღვასავით გულზე გადიარს.
წამექცა თავზე ცა დარღვეული
და ცაზე კიდევ სხვა მყინვარის ცა
და დარიალით გადარეული
თვალებს ცრემლების თერგი მირეცხავს.
და გადავყურებ ალმასს უფსკრულებს
კვალდაკვალ ჩემი დემონი მომდევს,
ვხედავ გიგანტის შოლტის მუსკულებს.
და რკინის ბაწარს ყელზე რომ მომდებს
ვიცი მომელის მაინც ეს ბედი
და ისიც ვიცი, ჩემზე ახია!..
ძვირფასო, არ ვარ იცოდე ყბედი,
ან თავის მოკვლა რა ტრაბახია!..
მაგრამ მიტაცებს ქარიშხალივით
ამ თვალუწვდენი კლდეების ფსკერი.
ვიცი ქალი ხარ — ყველა ქალივით
ვიცი ამასაც ეჭვით უცქერი.
მინდა რომ ვიყო მწირი გულადი
საშინელ ღამეს ვეფხვი რომ დაბრღვნა.
ვარ ავსებული შენით გულამდე
და მოვარდნილი ცრემლების წარღვნა.
მინდა მოვირთხა ამ შარა გზაზე,
მინდა გავიხსნა გული ალალი. —
მე უაჩალებმა მომკლეს არაგვზე
შენ ჩემ სიკვდილში არ გიდევს ბრალი.

—:—

სანდრო შანშიაშვილი.

მგზავრი.

ნოემბერს ეშვი დაელო
და ქარის ჩარხზე ლესავდა;
სიცივის ხმელი ისარი
გამოფრენილი გესლავდა.
სუსხით დამზრალი ყორანი
ყიოდა, ელდას სთესავდა.
— მგზავრო შეჩერდი სად მიხვალ?
არ შიშობ დაიგვიანო?
— ეხ, გუშინ კარი შევაღე:
ბავშმა იტირა: მშიანო!

ყივნა დაცრეხილ ქუჩებში
ელავდა ელექტრონებად;
მავთულგაბმული ბოძები
ზმუოდენ კამერტონებად.
მათხოვრის ხელიც არ ჩანდა
აწვდილი გამხმარ რტოებად.
— მგზავრო! სად მიხვალ ავდარში?
ვეჭობ, წამსვლელი თუ მოვა!
— მივდივარ, ჩავფლა მიწაში...
ეს ჩემი ბავშის კუბოა!

მგზავრთან იცეკვა სიკვდილმა
ტკვარზე ტივების სუფრაზე;
ცხოვრების იმედს ჭლექიანს
აყირავებდა ბუქნაზე.
ის უმაგრესი ეგონათ
წყალში ჩავარდნილ მუხაზე.
— მგზავრო: განა თუ შეგფერის
ეგ ჯიუტობა ფშაურად?
— ვაჰ თუ ჩასთვალონ ცრემლები
ვაჟკაცის დანაშაულად!

აპრილმა სუსხი გამოხრა
ნადავლად გამონატაცი;
მგზავრი მტკვარს გამოერიყა,
მოასვენებდნენ საკაცით.
არვინ ტიროდა. მარხავდნენ
სადღაც მივარდნილ ალაგას;
მეკურტნეები ამბობდნენ:
წვალებად გახდა — ჯანდაბას!
ცხოვრების გერი მოშორდა
ცხოვრების დავიდარაბას!
— მგზავრო, ობლები ჩივიან:
მამა არ მოდის შინაო!
რომ ალარ გესმის ძახილი,
ალარ ტირიან: გვშიანო?

ᲬᲔᲠᲘᲚᲘᲡᲘ

გრიგოლ რობაქიძე.

საქართველოს ხერხემალი

ნიკოლოზ მიწიშვილის წერილის „ფიქრები საქართველოზე“—საპასუხოთ.

მწარეა ეს სიტყვები:

„როცა გადავხედავ ჩვენს ისტორიას — იქ მე ღვთის ხელს ვერ ვნახულობ. ჩვენი არსებობა დაცინვაა განგებისა ჩვენს თავზე. ჩვენშია ჩამჯდარი ლომი და ოწყილი, ეშმაკი და ანგელოზი, ნიჭი და ყიყვი... არის რალაც შეკოწიწებული და გადაყრილი, მიბნეულ-მობნეული. ხერხემალს ქართული იდეისა მე ვერ ვპოულობ. და ვერც აზრს საქართველოისას წარსულში“.

მწარეა ეს სიტყვებიც:

„იქნება საქართველო გაამართლოს ჯვარმა, რომლისთვისაც ის იგლიჯებოდა ყოველი მხრიდან. მაგრამ ჯვარისაგან ხომ კურთხევა უნდა გამოდიოდეს, და სადაა ეს კურთხევა? ნუ თუ ჩვენი აწიოკებული ისტორია კურთხევაა? ნუ თუ ორიათასი წლის განმავლობაში ამ ჯვრის ძალამ ვერ შვა მოვლენა, რომელიც გამოარკვევდა საქართველოს, როგორც მოწოდებას, საკუთარის აზრით და დანიშნულებით? ნუ თუ საბოლოოდ და სამუდამოთ მოკლებულია საქართველო იმ „ნათლის სვეტს“, რომელიც წინ მიუძღვის ყოველ ხალხს ახალი სიტყვისა და შემოქმედებისაკენ?!“

თავისმკვლელობაა დასკვნა:

„საქართველო პასსიური მოვლენაა. მისი ენერგია გამოწვეული იყო სხვა, მის გარეშე მყოფ მოვლენისაგან. (ენერგია ჭიის, როცა მას ფეხს აჭირებენ). საკუთარ, შინაგან აქტივობას მოკლებული იყო საქართველო და მოკლებული იყო, მაშასადამე, შემოქმედების გენიასაც. მო-

კლებულია, აქედან, გამართლებას, მსოფლიო გამართლებას, საკუთარ რელიგიას, მოწოდებას, აზრს შინაარსს".

ამას სწერს ნიკოლოზ მიწიშვილი.

არ არის საჭირო არც გაჯავრება და არც აღშფოთება, როცა ასეთ სიტყვებს კითხულობ. არც ის უნდა იფიქრო, რომ ავტორი ბოროტი აზრით არის „ატროვებული". აქ უფრო „ტკივილია" ვიდრე „აზრი". ეს სულის კრიზისია და ასეთი კრიზისი ბევრს განუცდია.

მხოლოდ არ შემიძლია დავმალო, რომ ეს კრიზისი ბოლომდე არ არის დაწყრილი თუ ამოწყრილი. ავტორის „ტკივილში" არის „წყენაც" (აქა-იქ)". სულის „ტკივილს" მაშინ აქვს ნამდვილი სიმართლე,, როცა „ნაწყენობა" არ არის არავისგან.

მაგრამ ავტორის სულისკვეთებას მე მაინც ვიღებ როგორ „ტკივილს".

არ არის საჭირო არც კამათი. აქ მხოლოდ ჩვენებაა საჭირო. (თუ შეჩვენება არა).

შესაძლებელია ამ „ჩვენებაში" ბევრი რამ გადავაჭარბო — როგორც ქართველმა. ამისათვის ვირჩევ სხვა გზას: ვეცდები ისე ვილაპარაკო, თითქო უცხოელი ვიყო. მაშინ ჩემს სიტყვას მეტი სიმართლე ექნება.

წინ ისევ ის წყეული კითხვა მეჭრება: აქვს თუ არა გენია საქართველოს?

ძველად ასეთი საკითხის გადაჭრა უფრო ძნელი იყო. დღეს კი ცხადია ყველასათვის, რომ ქვეყანაზე არ ყოფილა არა თუ ხალხი, უბრალო თემიც კი, რომელსაც თავის გენია არ ჰქონოდეს — (დიდი თუ პატარა, ეს მეორე საკითხია) პრეისტორიულ ხალხების დანატოვარში ჩვენ ხშირად გვხვდება თევზის თუ მამონტის ძვალი, რომელზედაც ამოჭრილია შველი, თუ ნიამორი, თუ უბრალო დანა ისეთი არტისტიზმით, რომელსაც სასახელოდ ჩაითვლიდა ჩვენი დროის დიდი ხელოვანი, თვითონ რომ გაეკეთებია იგი. დღეს „ველურებსაც" ეწაფებიან: ქვისაგან თუ ხისაგან გამოჭრილ აფრიკის კერპებს გაოცებაში მოჰყავთ ამდროული ხელოვანნი.

კიდევ უფრო ყურადსაღები მოვლენაა. ზანგებს მრავალი თეთრკანიანი, ადამიანადაც არ თვლის. მაგრამ ზან-

გების რიტმებმა დაიპყრეს დღევანდელი ევროპა. ეს რიტმები შეიჭრენ სიმფონიურ ფანტაზიაშიაც. მოდიან რიტმები, როგორც მზის თვალები გაჩენის პირველ დღეებში. ალბად აქ არის პუშკინის საიდუმლო — (პუშკინიც ხომ ზანგი იყო სისხლით). მოვა დრო (არც ისე შორსაა), როცა რომელიმე ავტორი პუშკინის ჯადოსნობას ზანგების ატეხილ რიტმებიდან გამოიყვანს. (ეს — სხვათა შორის).

და თუ პრეისტორიულ ხალხებს და თანადროულ „ველურებს“ ვანიჭებთ გენიას, დავიჯეროთ, რომ საქართველოს ასცდა ასეთი მადლი?

მაგრამ ეს არაფერი.

საქართველოს გენია სხვა მასშტაბითაცაა გამართული.

მიწიშვილი საქართველოში „ღვთის ხელს ვერ ნახულობს“. „ღვთის ხელი“ აქ მეტაფორიული თქმაა და მეც ამ სახით ვიხმარ მას. მართლაც არ არის „ღვთის ხელი“ საქართველოში?

რა არის მაშ „ქართლის ცხოვრება“.

მე ვლაპარაკობ სერიოზულად და ჩემი თქმა არ არის „ფრაზა“. მთელს ქვეყანაზე ძვირად მოიპოვება სადარი „ქართლის ცხოვრების“. ეს არის არა მარტო „ისტორია“, არამედ ნამდვილი „ეპოსი“ — (**დიდი ეპოსი დიდი ხალხის**). და იშვიათია ისეთი პოემა (არა მარტო ჩვენში), რომელსაც შეეძლოს დაუპირისპირდეს ამ მხრით „ქართლის ცხოვრებას“. აქ ყოველი სიტყვა თითქო მითოლოგიური ტაციტის მიერ არის დაწერილი. და თავი და თავი: სიტყვასა და სიტყვას შუა დარჩენილია უთქმელი, რომელსაც სიტყვა არ სჭირდება და რომელსაც ისუნთქავ მხოლოდ. აქ არის „სურნელი“ გადასულ ხანების — (ნამდვილი ნიშანი გენიის) როგორც ბერძნების „ილიადაში“ და როგორც ბაბილონელების „გილგამეშში!“. გეკითხებით მე თქვენ: ნუთუ „ქართლის ცხოვრების“ ანნალები გენიის ცეცხლის ნატეხები არ არიან?

მაგრამ ეს კიდევ ცოტაა.

„ქართლის ცხოვრება“ დიადია როგორც „ეპოსი“, მაგრამ უფრო საოცარია იგი როგორც „ისტორია“.

და მართლაც „ისტორია“ არ არის უბრალო გროვა ამბების. კაცი ცხოვრობს, ჭამს სვამს, ცოლს ირთავს, **სა-**

დილს მიირთმევს, ეს აინტერესებს, იმას ყურადღებას აქცევს, შემდეგ კვდება, ჰქრება — ეს კიდევ არ არის „ისტორია“. „ისტორია“ არის „მთელის“ გზნება თითქო ყოველი შენი კუნთი ნაწილია ამ მთელის, რომლის ცენტრი შენს გარეშეა — (ერთი მწერლის ფრაზა რომ ვიხმაროთ სხვა საგანზე თქმული). „ისტორია“ პირადი განცდაა. ამბავი, მომხდარი ათას წელს უკან — თითქო შენი საკუთარი ამბავია, და შენი საკუთარი ამბავი, მომხდარი ეხლა — თითქო შორეული ამბავია შენი ხალხის. პლატონის გენიალი თქმა რომ ვიხმაროთ, „ისტორია“ არის „მოგონება“ (ანამნეზის), მართალს იტყვის ამდროული გერმანელი ავტორი. „წარსული მისი (ადამიანის) ხალხის მისი პიროვნული ხსოვნაა, ხოლო მომავალი მისი ხალხის — **მისი პიროვნული საქმეა**“ (მარტინ ბუბერ). დიახ: „ისტორია“ ქმედითი ხსოვნაა.

დააკვირდით ეხლა „ქართლის ცხოვრებას“ — არის თუ არა მასში ასე-გაგებული „ისტორია“. უთუოდ და აუცილებლად. ასეთი გზნება „ისტორიისა“ აქვთ ჰებრაელებს (უფრო ვიდრე რომელიმე სხვა ხალხს). ასეთი გზნება „ისტორიისა“ აქვთ ქართველებს. და ეს გზნება გაღველფილია „ქართლის ცხოვრებაში“. ამ გზნებით არის იგი ამწვარი მთელი თავისი ტანით. და ის სიტყვასა და სიტყვას შუა დარჩენილი „სურნელი“, რომელსაც სიტყვა არ სჭირდება და რომელსაც იყნოსავ მხოლოდ, არის სწორედ ეს ისტორიული გზნება: „ისტორია“, როგორც ქმედითი ხსოვა, „ისტორია“, როგორც გზნება „მთელის“ რომლის ცენტრი შენს გარეშეა.

ასეთია „ქართლის ცხოვრება“.

ეგებ „გამოხედვაც“ გინდათ დაინახოთ „ქართლის ცხოვრებიდან“.

აი თუ გინდ ერთიც. ევროპაში თავი მოსწონთ მარკ ავრელით, რომელიც ომშიაც „ჭვრეტდა“ სამყაროს. ჩვენში დავით აღმაშენებელი ომის დროს „სამოციქულოს“ კითხულობდა — (ეს ზნე კინალამ საბედისწერო გახდა მისთვის). გეკითხებით: რით ჩამოუვარდება დავით აღმაშენებელი მარკ ავრელის?

ან კიდევ სხვა. ევროპაში ლეგენდათაა გადაქცეული „კალეს მოქალაქეთა“ რაინდობა. როდენმა ქვაც კი აამეტყველა მათი რაინდობით. ჩვენში — ასეთი მონუმენტალი სურათი: მონღოლთა ნოინნი სჯიან ქართველ შეთქმულებს. მათთან მიდის მალალი და ნათელი კაცი: დადიანი ცოტნე. იგიც შეთქმულთაგანია, მაგრამ არ დაუჭერიათ (სხვაგან იყო). ცოტნე ამცნევს ნოინებს, რომ მისი ნდომაა — შეთქმულთა ბედი გაიზიაროს, რადგან იგიც შეთქმულია. მონღოლებს უკვირთ ასეთი სიმართლე ქართველების — და შეთქმულებს ანთავისუფლებენ. რით არის ეს ამბავი ნაკლები „კალეს მოქალაქეთა“ ამბავთან შედარებით? არაფრით: შესაძლებელია მეტიც იყოს.

ჩვენში აქა იქ გაისმის ხმა, თითქო ქართველობაში შინაგანი სიმართლე არ იყოს, რა არის ცოტნე დადიანის ამბავი თუ არა შინაგანი სიმართლე? და რამდენია ასეთი სიმართლე „ქართლის ცხოვრების“ ანნალებში. მარტო სარგის ჯაყელი ციხისჯვარელი რად ღირს! და რამდენი კიდევ სხვა. მაგრამ აქ უნდა შევჩერდე, რადგან მაგალითების მოყვანა შორს წაგვიყვანდა.

ნიკოლოზ მიწიშვილი სწერს:

„ორიათასი წლის განმავლობაში მე ვერ ვხედავ ამას და მეეჭვება თვით რუსთაველიც: თუ ის ჩვენი ცხოვრებისაგანაა — უსათუოდ გაუგებრობაა ის; თუ არა და — ან რუსთაველი არაა ქართველი, ან და მისი პოემა ადვილად ნაშოვნი საქმეა“.

კიდევ კარგი, რომ ავტორს „ვეფხის ტყაოსანი“ გენიალ ქმნილებად მიაჩნია. მხოლოდ — როგორც ჩვენი ცხოვრების ნაყოფი — იგი მისთვის „გაუგებრობაა“ უკეთეს შემთხვევაში. უცუდეს შემთხვევაში? ან რუსთაველი არაა ქართველი, ან და მისი ქმნილება „ნაშოვნი“ საქმეა და ისიც „ადვილი“.

აქ კი ავტორი „დისკუსიას“ მიმართავს და ჩემი სიტყვა ცოტა სხვანაირი იქნება.

ნუ თუ ავტორს ჰგონია, რომ რუსთაველით ამოიწურება ქართული გენია? (იგივ სხვებსაც ჰგონიათ). 1902 წ. ნიკო მარრმა იერუსალიმში იპოვა ხელნაწერი „ცხოვრება წმ. გიორგოლ ხანძთელის“. ავტორი გიორგი მერჩული.

გამოდის: მეოცე საუკუნის თაურამდე არავინ იცოდა, თუ რა საუნჯე ჰქონიათ ქართველებს. ქმნილება ეკუთვნის მეათე საუკუნის ნახევარს. ზედმეტია იმის მტკიცება, რომ ეს ქმნილება ქართული გენიის ხალასი ნაყოფია. ქართული სიტყვა აქ მოცემულია ისე, თითქო პირველმიწას რძე სდიოდეს კვლავ ძუძუებიდან. თქმა-მოკლე: ნაკვეთი. სიტყვა — თითქო შედედებული სუბსტანცია, რომელიც წარმოთქმის შემდეგ იშლება, როგორც მდინარის სარკეული ზედაპირი, როცა ფრთებ გაშლილი გავაზი დაეცემა მას. არავითარი ხორცმეტი, არავითარი მეჭეჭი. სიტყვა ისეთი, რომელსაც აქვს ქალწულური დარცხვენა და ამავე დროს მორკინალის შემართება: სწორედ ისეთი, რომლითაც ძველად წირვას ჰქმნიდენ. არც გასაკვირია: გიორგი მერჩულს ჰყავდა წინამორბედი — იაკობ ხუცესი (მეხუთე საუკუნე), რომელმაც გასაოცარი აღწერა დაგვიტოვა „წმინდა შუშანიკის“ ცხოვრებისა. გიორგი მერჩულმა, ცხადია, ქართული „საგალობლებიც“ იცოდა, საცა ქართველი ავტორები ფსალმუნობაში დავით წინასწარმეტყველს ედავებიან.

მაგრამ ამით არ ამოიწურება მერჩულის ქმნილება. აქ არ არის მოცემული ჩვეული აღწერა ჩვეული წმინდანის, საცა სიცოცხლე მლაშეა და წუთხე. აქ მთელი მსოფლგზნებაა — სრულიად თავისებური. გრიგოლ ხანძთელი — (მერჩულის აღწერით) — ისე დადის დედამიწაზე, თითქო უკანასკნელი სიმინდის ჯავარი იყოს, რომელიც დატაროებას ელის. მიწა მისთვის არ არის „ბერწი“. პირიქით: მისი ყოველი ნაყოფი „წყაროს თვალია“, რომელსაც მოაქვს ბუნების მადლი.

ამის შემდეგ რასაკვირველია, რუსთაველი აღარ არის „გაუგებრობა“.

მაგრამ რუსთაველამდე კიდევ იყვნენ სხვებიც, რომელთაც ქართულ სიტყვაში გენია გაალვიძეს. ექვთიმე მთაწმიდელი, იოანნე მთაწმიდელი, გიორგი მთაწმიდელი, ეფრემ მცირე. თვითეულს მათგანს ცალკე მონოგრაფი სჭირდება. თუ გერმანელები ლუტერს „ბიბლიის“ გერმანულად თარგმნისათვის გენიალობას ანიჭებენ, რა დააშავეს ჩამოთვლილ მამებმა, რომლებმაც იგივე „ბიბლია“

ქართულად სთარგმნეს. და მერე როგორ? ლუტერის თარგმანი თუ არის ენის-ქმნა, მთაწმიანდელების თარგმანიც ენის-ქმნაა ნამდვილი. თუ რომელი უფრო მძაფრი ქმნაა, ეს კიდევ სადაოა.

ასეთია მაგისტრალი, რომლის ბოლოს რუსთაველი მოსჩანს, როგორც დამთავრება და როგორც ასეთი — ხანდახან როგორც გადახრაც (ოდნავი დეკადანსი). ამის შემდეგ რა აზრი აქვს ასეთს დილლემას: „ან რუსთაველი არაა ქართველი, ან და მისი პოემა ადვილად ნაშოვნი საქმეა?“

რუსთაველი ქართველია და მის პოემას უდიდესი სიტყვის კულტურა უძღვის წინ. რასაკვირველია, „ადვილად შოვნაზე“ ლაპარაკი ამ კულტურის არცოდნაა. (მაინც წამცდა პოლემიკური სიტყვა).

კიდევ სხვა მაგალითი.

მთელი ლათინური ევროპა ამაყობს ფრანსის ასიზელით. ფრანსის ასიზელს დარჩა ოცი სტროიქონი. ამ სტროიქონებიდან იტალიელებს გამოჰყავთ მთელი იტალიური პოეზია. განსაკუთრებით უყვარს ეს სტროიქონები დ'ანუციოს. რასაკვირველია, მარტო ამ ოცი სტროიქონისათვის არ არის ფრანსის ასიზელი საოცარი. იგი ბავშია და თან ბრძენი. იგი „ჩიტის გულშია“ გადასული და ცოცხლობს ჩიტის გულით. იგი ბუნების ძალთა მხილველია და მათი დამურვებელი. (ხოლო — არა ძალადობით).

საკმარისია აქ წერტილი დავსვა, რომ ქართველმა იმავ წამს მინდია გაიხსენოს. და მართლაც: მინდია იგივ ფრანსის ასიზელია, მხოლოდ საქართველოს მთებში აღმოცენებული, როგორც იშვიათი ყვავილი ალპების. განა მინდიას მითოსი გენია არ არის თვითონ? განა აქ არა სჩანს „ღვთის ხელი“?

კიდევ ერთი მაგალითი.

კათოლიკური ევროპა თავის თავს აღმოსავლურ ქრისტიანობას უპირისპირებს. აღმოსავლურ ქრისტიანობაში მარტო განდგომაა და ლოცვა. თითქო აქ „მიწა“ არც არის. დასავლურ ქრისტიანობამ აღადგინა „მიწა“. იქ „ღვთის საქმე“ თითქო „მიწიერ“ სხეულს იღებს. აქედან — გოტი-

კა, მადონნა, მარადი ქალწულობის კულტი, გადასული „მარად ქალურობის“ გზნებაში.

ცხადია, დღეს ეს ბევრისათვის „გადასული ამბავია“. მაგრამ ყოველი ნაშთი კულტურისა „გადასული ამბავია“ — და მე მხოლოდ კულტურის მხრით მაინტერესებს ეს „ამბავიც“.

საქართველომ შეჰქმნა „ჯვარი ვაზის“ ჯვარი — არც ხისაგან, არც ქვისაგან, არც რკინისაგან. რატომ მაინცა და მაინც ვაზის ნასხლევისაგან? ალბად იმისთვის, რომ ვაზი სახეა „მიწის“ ნოყიერების და ნაყოფიერების. ეს კიდევ არაფერი. ჯვარი ვაზის შეკრულია ქალის თმებით — (ლეგენდარულ გადმოცემით: ღვთიშობლის, თუ ოვითონ ნინოსი) აქ „მარადი ქალწულობა“, თუ „მარადი ქალურობა“ უკვე უკანასკნელი სიმძაფრით არის მოცემული. კათოლიკურ ევროპას ასეთი რამ არ გააჩნია. ეს არ არის გადამეტება.

ასეთია საქართველო და მისი გენია.

საუკუნედან საუკუნეში მეორდება „ოქროს ვერძის“ ამბავი და მედეას ლეგენდა და არგონავტები ჯერ კიდევ არ სცხრებიან.

ამისთვისაა, რომ უცხოელს იზიდავს საქართველო. არქანჯელო ლამბერტი, პიეტრო დელლა — ვალე, შარდენ — მოდიან საქართველოსკენ, როგორც მზის ბადეში გაკვალთულ დედოფლისაკენ. დიუმას ფრანგული სიტყვები ალარ ჰყოფნის საქართველოს ქებისათვის.

მაგალითები სხვაც ბევრია.

ხოლო ერთი სამუდამო ღერბად სჭრის ამ მხიბლაობას.

პიეტრო დელლა-ვალეს ეუბნებიან, რომ ისფაჰანში ულამაზესი ქალია ქართველი („მაანი“, ალბად „მანანა“). გაეშურება ამ ქალაქისაკენ. გაიცნობს ამ ქალს. შეუყვარდება. შეირთავს. რაინდი შახ-აბბას უახლოვდება. ჰსურს — ისპაჰანისაგან შექმნას ახალი რომი აღმოსავლეთში. შემდეგ, უეცრად სამშობლოს ნაღველი აუტყდება. გაეშურება — ცოლით. თან მიჰყავს ქართველი გოგონა „მარუკია“. გზაზე ცოლს საშინელი ხაშმი შეეყრება. ცოლი არც იმჩნევს ავადობას, ისე მძლე აქვს რასსის გრძნობა. „მაა-

ნი“ კვდება. ოაინდი ხელდება. მიაქვს ცხედარი ოომ'ში და იქ ასაფლავებს. შეირთავს „მარუკიას“, ოომელიც ამიერიდან იწოდების „თინათინ ზება“.

ამ ამბავს მოგვითხრობს — (იცით ვინ?) — თვითონ გოეტჰე, ერთი შვიდთაგანი, თუ ცხრათაგანი შობილთა შორის. მოგვითხრობს, როგორ? სიტყვასა და სიტყვას შუა სტოვებს სურნელს ქართველი ქალით აღტაცებისას.

და როცა თვითონ მისი ბაგედან გადმოვარდება ქართული ნათელი სახელი „თინათინ“ — მაშინ ვინ არ იგრძნობს საქართველოს მადლს?

სეით დევდარიანი.

საქართველო

(ნიკოლოზ მიწიშვილის წერილის გამო)

1.

მე არ მემწარა ნ. მიწიშვილის „ფიქრები საქართველოზე“. არ მემწარა იმიტომ, რომ ეს ვერ დავიჯერე. ვერ დავიჯერე იმიტომ, რომ ეს არ არის მიწიშვილის.

სხვის ტანზეა გამოჭრილი და შეკერილი ეს იმედდაკარგულობის მოსასხამი და ალბად, წუთიერი, შემთხვევითი განცდის ბრალია, რომ მიწიშვილს ეს სამოსელი წამოუსხამს თავის ტანზედ.

არავინ იფიქროს, რომ მე ვაპირებ სხვის გულში ხელის ფათურს. მე სულაც არ შემდის ეჭვი მიწიშვილის გულწრფელობაში. მე მინდა მხოლოდ შევხედო, როგორ გამოიყურება ის ამ ნათხოვარ ტანსაცმელში და ვხედავ, რომ ეს იმას არ შეშვენის, არ უხდება.

დავიწყებ იქიდან, რომ ამ ფიქრებში არ არის ერთი მთლიანი ფიქრი, თავიდან ბოლომდის ერთ ხაზათ გატარებული და ლოლიკური თანმიმდევრობის ხერხემალით გამაგრებული. ნ. მიწიშვილის ფიქრი ეხება ჯერ იმ ქართველობას, იმ „ხალხს“, რომელიც შესანიშნავია „უსინდისო სპეკულიანტური, გაიძვერული ფსიხოლოგიით“, რომელიც „წალმა-უკულმა ეტოროლიალება საქართველოს სხეულს“...

— „როცა თვალ-წინ გიდგება ასეთი ხალხი და საქართველო, მე ვერ ვპოვებ ვერც ერთ სახეს, რომელიც ლირსი იყოს საქართველოსი“.

ამაში მე სავსებით ვეთანხმები მიწიშვილს. ყოველ ქვეყანაშია ისეთი ჯგუფები, წრეები, რომლებიც ლირსი არ არიან ამ ქვეყნის. საქართველოშიაც იყვნენ, არიან და იქ-

ნებიან ისეთები, ვინც თავისი ღირსებებით არ შეეფერებიან საქართველოს.

მაგრამ თვითონ ეს ფიქრი: „მე ვერ ვპოულობ ვერც ერთ სახეს, რომელიც ღირსი იყოს საქართველოსი“-ო თითონ ეს ფიქრი საქართველოს შესახებ ვერ უდგება, ვერ ეგუება „ფიქრებს საქართველოზე“.

— „მე ვერ ვპოულობ ისეთ სახეს, რომელიც ღირსი იყოს საქართველოსი“... მაშასადამე საქართველო ღირსია რაღაც მეტის, დიდის, მაშასადამე არ შეიძლება იმის თქმა, რომ „მშრალია და ფუყე საქართველო“.

მიწიშვილის ფიქრებში საქართველოზე „ჩამჯდარია ლომი და რწყილი, ეშმაკი და ანგელოზი“. მას უყვარს საქართველო და ეეჭვება საქართველო. ის მუდამ „ეალერსება“ საქართველოს, რომელიც მის „ოცნებაში ზის“ და სინამდვილეში კი არ სწამს ის საქართველო, რომელიც ღირსია „მუდმივი ალერსის“ და სიყვარულისა.

...„დიახ, ჩვენ და დღევანდელი საქართველო (და შეიძლება საქართველო საზოგადოთ) ვართ ორი ანდროგინი და ჩვენგან არ შეიქმნების შთამომავლობა. და თუ საქართველოს წარმოვიდგენთ სულიწმინდის მიერ დაორსებულ არსებად, რომელსაც „ბებია“ სჭირდება, რათა მიიღოს ხელთ ნაყოფი მუცლისა მისისა“, — მაშინაც ჩვენ ვერ გამოვდგებით ასეთ ბებიათ, ვინაიდან ნაყოფი იგი არ არის და არც იქნება გამართლება ჩვენი წარმოდგენის, ჩვენი სურვილების, ჩვენი შეგნების და იმ დიდი სიყვარულის, რომლითაც გვიყვარს საქართველო“. — სწერს ნ. მიწიშვილი.

ამ ფიქრებში არის დიდი ოცნება, დიდი წარმოდგენა საქართველოზე და სულ პატარა, რწყილის ოდენა მოლოდინი საქართველოსაგან. ერთ უღელში შებმული „ლომი და რწყილი“ მოაგორებენ იმ უღელს, რომელზედაც მიწიშვილს დაულაგებლად შეუწყვია „ფიქრები საქართველოზე“. ერთი მხრივ ის ვერ პოულობს საქართველოში „ვერც ერთ სახეს, რომელიც ღირსი იყოს საქართველოსი, მეორე მხრივ ის ვერ ხედავს საქართველოს, რომელიც ღირსია მისი ოცნების, მისი წარმოდგენის და იმ დიდი სიყვარულის, რომლითაც მას უყვარს საქართველო.

მიწიშვილი თავის ფიქრებში არ უფიქრდება ერთ რამეს: საიდანაა მისი დიდი ოცნება, დიდი წარმოდგენა საქართველოზე. ზეციდან, სულიწმინდისაგან არ მოდის არავითარი ოცნება და წარმოდგენა. ის საზრდოობს ძირიდან, მიწაში გადგმულ ფესვებზე. იქნება იფიქროს ვინმემ, რომ ამნაირი აზრი „ძველ ჩექმასავით გაცვეთილი" მარქსიზმია, მაგრამ არც ერთ ფილოსოფოსს-იდეალისტს არ აღმოუჩენია სხვა მასაზდოებელი ფესვები ადამიანის ოცნებისა და წარმოდგენის.

ნ. მიწიშვილიც ნამდვილი მიწის შვილია, როცა ისეთი წარმოდგენა აქვს საქართველოზე, რომ არ ელის საქართველოსაგან ნაყოფს ამ წარმოდგენის გამამართლებელს. საქართველოს მიწა რომ ფუყე და მშრალი იყოს, მიწიშვილის წარმოდგენას ექნებოდა მხოლოდ „ენერგია ჭიის, როცა მას ფეხს აჭირებენ".

2.

ინგლისის მუშათა პარტიის ორგანოში („The Socialist revew. 1926. ვნახე ერთი საიმფორმაციო წერილი დღევანდელი საქართველოს შესახებ. წერილში მოყვანილია ციფრები იმის საჩვენებლად, რომ საქართველო წინდროებთან შედარებით, წინ მიდის ეკონომიურად და კულტურულადაც. მე აქ არ ამოვიწერ იმ ციფრებს. ქართველმა მკითხველმა იცის ეს ციფრები, გაუგონია არა ერთხელ სხვადასხვა მოხსენებებიდან, ხშირად ამოუკითხავს ეხლანდელი ჟურნალ-გაზეთებიდან.

ამ მოხსენებებში, წერილებში, ამ ციფრებში არის რწმენა საქართველოს წინ-სვლის, აღორძინების. ეს რწმენა გაზიარებული აქვს საბჭოთა ძალა-უფლების მოწინააღმდეგეს — ინგლისის სოციალისტურ ჟურნალს.

— მე არ მაქვს ეს რწმენაო, — ამბობს მიწიშვილი თავის „ფიქრები საქართველოზე"; ყველაფერი ქართული უდღეოაო". თითქო ფუყე და უშინაარსო ყოფილა ეს აუარებელი მასალები, მაჩვენებელი საქართველოს ეკონომიურ და კულტურული განვითარებისა. ნ. მიწიშვილი ამჩატებს ამ მაჩვენებელს ერთი კალმის მოსმით, ერთი ამოძახილით — არ მჯერა საქართველოს მომავალიო.

ნ. მიწიშვილი მოღვაწეობს ისეთ დიდ კულტურულ საქმეში, როგორიცაა სახელმწიფო გამომცემლობა. შევხვდები ხოლმე იქ ხშირად და ჩემი შთაბეჭდილება ისეთია, რომ სწამს, რასაც აკეთებს. მისი ენერგია ამ დიდ საქმეში არ უნდა იყოს გამოწვეული „სხვა, მის გარეშე მყოფ მოვლენისაგან“... ის აქ არ გავს უბრალო მოხელეს, რომელიც ასრულებს მხოლოდ დავალებას. ის აქ ასრულებს თავის მოვალეობას, რომელშიაც შეაქვს მთელი თავისი არსება, თავისი სული და გული...

დიახ, მე არ მჯერა მიწიშვილის „ფიქრები საქართველოზე“. მე უფრო მჯერა ის რწმენა საქართველოს მომავლისა, რომელიც ნაპერწკლებივით იფრქვევა თვალებიდან მის დღევანდელ მუშაობაში. ნ. მიწიშვილს უთუოდ სწამს ის ძველი და ახალი ჩვენი მწერლობა, რომელიც გამოიცა და გამოიცემა მისი მთავარი ხელშეწყობით. უთუოდ სწამს, სხვათაშორის, ბოლო სიტყვები იმ წინასიტყვაობისა, რომელიც ფიროსმანიშვილის მონოგრაფიას მიუძღვის: „ვხედავ ფიროსმანს და მჯერა საქართველოო“.

იქნება ეს ცოტაა. იქნება ეცოტავება მიწიშვილს ეს ჩვენი ძველი და ახალი მწერლობა, ჩვენი ხელოვნება, პოეზია. იქნება მეტი უნდა, რადგან მეტია მისი წარმოდგენა საქართველოზე? ეს სხვა საკითხია. ასეთი საკითხის დაყენება სულაც არ მოასწავებს იმედდაკარგულობას და ყველაფრის უარისყოფას. პირიქით, როცა მეტი გინდა, მაშინ მეტის იმედი გაქვს. დიდი ეროვნული ენერგია ვერ დაკმაყოფილდება, ვერ შეჩერდება ამა თუ იმ მიღწევებზე, რაც უნდა დიდი იყოს ეს მიღწევები. ის მიიმართება უსაზღვროებისაკენ. ამისთანა ენერგიას შეეფერება სასტიკი თვითკრიტიკა, შეუჩერებელი წინსვლის სურვილი და არა უიმედობა, გულგატეხილობა.

ნ. მიწიშვილის ფიქრებში არის ორივე მომენტი ერთი მეორეს უარისმყოფელი. ის, თითქო, ეძებს და თითქო ამავე დროს არაფერი დარჩენია საძიებელი.

თანამედროვე იტალიელ მწერალს პირანდელოს ერთი გმირი ჰყავს თავის ახალ ნაწარმოებში („ბრუნავს“). ეს გმირი განიცდის ტრაგედიას: „ჩემში, როგორც ადამიანში „ზედმეტი“ რაღაც არისო, — ამბობს იგი. ეს „ზედმეტი“

მოსვენებას არ აძლევს ჩემს სულს, იწვევს ჩემში მეტ სურვილებს, მეტ მისწრაფებას. ბედნიერი კი ის არის, ვისაც არ გააჩნია ეს „ზედმეტი“, ვისაც არ აქვს არავითარი მოთხოვნილება, მისწრაფება — ბედნიერია პიროუტყვიო.

პირანდელოს გმირის ტრაგედია მობერებული ბურჟუაზიული კულტურის ტრაგედიაა. ბურჟუაზიულმა ფრთიერთობამ შექმნა ისეთი პიროობები, როცა პიროვნებას არ რჩება არავითარი გასაქანი, როცა პიროვნებას არ დარჩენია არაფერი იმის მეტი, რომ იწუხოს — რათ დავიბადე ადამიანათო. მაგრამ რაც გასაგებია მობერებულ ბურჟუაზიულ კულტურისათვის, ის გაუგებარია სოციალისტური დროშის ქვეშ. წუწუნი და საყვედური, დაქვეითებული სულიერი განწყობილება, ეს იქაური ავადმყოფობაა.

ნ. მიწიშვილს რომ ეს ავადმყოფობა აქ მოყოლოდა, რა თქმა უნდა, ვერ ჩაებმებოდა სოციალისტური დროშის ქვეშ ალმშენებლობის დიდ დარგში ისეთი ენერგიით, როგორითაც ის ჩაბმულია დღეს.

3.

თვითკრიტიკას არაფერი საერთო არა აქვს მიზანტროპიასთან. საღვთო წერილად არ მიიჩნევა არც შოთა რუსთაველი. სრულიად კანონიერად მიმაჩნია ეჭვის მიტანა იქ, რაც დოგმათაა აღიარებული. კანონიერად მიმაჩნია ეჭვით მისვლა შოთა რუსთაველთანაც, მაგრამ შოთა რუსთაველზე ეჭვის მისატანათ არ კმარა მარტო სიტყვები... „მეეჭვება თვით რუსთაველიც. თუ ის ჩვენი ცხოვრებისაგანაა — უსათუოდ გაუგებრობაა ის, თუ არა და ან რუსთაველი არაა ქართველი, ან და მისი პოემა ადვილად ნაშოვნია სადმე“.

ამნაირი დაეჭვება იმას გავს, რომ ჯაყვა-დანით გაუვალი ტყის გაჩეხვა მოინდომო.

4.

ყოველ დროს ყავს თავისი „ღმერთი“. არის დრო, როცა ეროვნულ შემოქმედებას გზა ეძლევა ხელოვნებაში; არის დრო, როცა ეს შემოქმედებითი ენერგია ეტანება პოლიტიკას, როცა რევოლიუციონურ საფრანგეთში იყვენ რობესპიერი, დანტონი, მარატი—მაშინ ჩოდილი ეფარებო-

და ხელოვნების „ღმერთს“. იმდროინდელ პოეზიას, ხელოვნებას ბევრის თვალში ეტყობოდა „უშვილოსნობა, თუ ბერწობა“ და აუარებელი ნაწარმოების შესახებ ბევრს მოადგებოდა ენაზე მიწიშვილის საპანაშვიდო სიტყვები— „განწირულება“. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ საფრანგეთის ხელოვნება უშვილოსნობით არ დაავადმყოფებულა. საფრანგეთის პოეზია, მუსიკა, მხატვრობა არ განწირულა.

არ ვარგა აც ისეთი იმედიანობა, რომელიც მხოლოდ წარსულში იხედება და მხოლოდ წარსულით ითქვამს სულს. ჩვენ დიდი ვიყავით საუკუნოების წინეთ და ამიტომ დიდი ვართ, დიდი ვიქნებითო. ეს ემგვანება კრილოვის ბატების ტრაბახს. შეიძლება უხვად ესხა ფოთოლი საქართველოს ტყეს, შეიძლება დიდი იყო ქართული კულტურის სიმდიდრე და.. ალარ არის, ალარ იქნება. არა ერთს და ორ ერს დამართნია ეს ისტორიაში. საქართველოს არ აქვს საფუძველი თავს იქებდეს მარტო წარსულით.

ათეული წლებია საქართველოს ეროვნული ენერგია მიდის პოლიტიკურ მიმართულებით და ამ მიმართულების სიგრძე სცილდება საქართველოს სივრცეს. საქართველომ მისცა ჯერ რუსეთის რევოლიუციონურ მოძრაობას მერე რუსეთის რევოლიუციას მძლავრი მოაზროვნე და მოქმედი პირები. ალბად საქართველოსთვის განგებას არ დაულევინებია უშვილოსნობის წამალი“, პირიქით, საქართველოს გამოაჩნდა მეტი ნაყოფიერება, ვიდრე ეს მოსალოდნელი იყო ამისთანა პატარა ერისაგან.

თავის თავად ცხადია, ჩვენ შეიძლება სულ სხვადასხვა აზრის ვიყოთ ამა თუ იმ პოლიტიკურ მოქმედ პირების შესახებ, მაგრამ არ შეგვიძლიან დიდი ეროვნული ენერგიის გამომსახველად არ მივიღოთ ის, ვინც არასოდეს წელში არ იხრება, ვისაც ხერხემალი არ ელუნება არავითარ დაბრკოლების წინ და იმედი არ ეკარგება მიზნის მიღწევაში.

მიწიშვილი მეტყვის, იქნება, რომ ის სულაც არ ფიქრობდა პოლიტიკურ კითხვებში გადასვლას. აც მე ვაპირობ დავის გადატანას ამ კითხვებზე. მე ვამბობ მხოლოდ რომ ერს, ამა თუ იმ კლასს ერისას, შემოქმედებითი ძალა ემჩნევა სხვადასხვა დროს — ან ხელოვნებაში, ან

პოლიტიკაში. რევოლიუციონური ხანაში პოლიტიკის „ღმერთი“ ერევა ხელოვნების „ღმერთს“. პოლიტიკა მაშინ, თუ გნებავთ, ხელოვნებაა ხელოვნებაზე მეტი და როგორ შეიძლება მოგეჩვენოს საქართველო ფუყეთ და უდღეოდ, როცა საქართველოს პოლიტიკური მოღვაწეების ხმა გადადის რუსეთიდან საერთაშორისო მართულებზე.

ისეთი დროა ახლა, რომ ჩვენ „არ გვცალიან“ ხელოვნებისათვის. ჩვენი მგოსნები, მხატვრები, მუსიკოსები, მოქანდაკენი მუშაობენ უყურადღებობის ატმოსფერაში. გასაკვირალი არ იქნებოდა აქ იყოს მართლა „განწირვა“ ქართული ხელოვნების, პოეზიის. საკვირველია, რომ აქ სჩანს მაინც ძალა და მეტი შესაძლებლობა.

კულტურის „დაორსულება“, ვიმეორებ არ მოდის „სულისწმინდისაგან“. მოდის ობიექტიურ პირობებისაგან. მიწიშვილის კულტურული მუშაობა მე ეხლა მომწონს იმით, რომ ის სცდილობს გაფანტოს უყურადღებობის ატმოსფერა ჩვენი მწერლების, მხატვრული შემოქმედების გარშემო, ხელს უწყობს ისეთი პირობების შექმნას, რომ საზოგადოება გაეცნოს სხვადასხვა მიმდინარეობის მწერლობას, პოეზიას. მაგრამ ეს მისი მიძახილი — „განწირვა“ ნიშნავს, რომ ერთმა ხელმა არ იცის რას აკეთებს მეორე ხელი.

5.

— „საქართველოში ყველაფერი განწირულია და სულ სხვაა მაგალითად რუსეთი, რომელიც აყვირებს და ასაზრდოებს თავის პოეტებს, შემოქმედებს“... რუსეთი, სადაც მწერლობამ მაინც შეიგნო რევოლიუციის გამარჯვების პათოსი... საქართველოში კი მწერლობა ამ გამარჯვების შეგრძნობის გარეშე დარჩაო — გვეუბნება მიწიშვილი მეორე წერილში.

ეს წერილი — „ფიქრები ქართულ მწერლობაზე“ — („საბჭოთა ხელოვნება № 1“) უფრო სხვა გუნებაზეა დაწერილი. აქ იმას ვითომ სწამს, რომ მოინახება ახალი საქართველო, ახალი შემოქმედებითი ენერგიით. სწამს თითქო, რომ გაიმარჯვებს ახალი ხელოვნება და ქართველი

მწერლის შემოქმედება „მოერგება“ ახალი საქართველოს „სხეულს“. ერთი სიტყვით, აქ მიწიშვილი ეძებს რაღაც მიღწევებს და არ გამოდის იმ უიმედო ფიქრებიდან, რომ „ქართული ბედი სწყდება და ტყდება ყოველთვის შუა გზაზე, დაუმთავრებელი, მიუღწეველი...“

უიმედობის ღრუბელი, რომელიც აკრავს „ფიქრებს საქართველოზე“ თითქო ცოტათი იფანტება და მეორე ფიქრებში („ქართულ მწერლობაზე“) მკრთალად ჩნდება რაღაც პერსპექტივა... ამ მეორე ფიქრების იგივე ავტორი თითქო გრძნობს, რომ არ შეიძლება ზოგადათ ლაპარაკი — „ქართული ბედი“, „ყველაფერი ქართული“. ახლა ის არჩევს, რომ საქართველოში არის ორი ქართული — ძველი და ახალი. ძველი, რომელმაც ვერ მიიღო ოქტომბრის რევოლიუცია და ამიტომ მოკლებულია შემოქმედებითი ძალას და ახალი, რომელიც მიიღებს ამ რევოლიუციას და გამოჩნდება ხელოვნების სხვადასხვა დარგებში.

მაგრამ მიწიშვილი არ არის შეჩვეული მარქსისტულ აზროვნებას და აქ მუსიკა ეშლება. რატომ?

რუსეთშიაც ხომაა ძველი ხელოვნება, მწერლობა, რომელსაც არ მიუღია ოქტომბერი და... „რუსეთის ხელოვნებამ მთელი ევროპა დაიპყრო. არსად იმდენი ხალხი არ დადის, როგორც რუსეთის გამოფენებზე პარიზში. არც ერთი ლიტერატურა ისე არ აინტერესებთ, როგორც რუსული. პირდაპირ შურით ივსები, როცა ხედავ წიგნის მაღაზიებს ავსებულს მერეშკოვსკით, ბუნინით, დოსტოევსკით და სხვა“.

რუსეთში ამ ძველს არ დაკარგვია ესტეტიური ღირებულება, როგორც გვიმოწმებს თითონ მიწიშვილი, რატომ უნდა მომხდარიყო ეს დაკარგვა საქართველოში?

ძველის დაფასება ისე, როგორც ამას აფასებს მიწიშვილი არ არის მიღებული არც ეხლანდელ რუსეთში. ისეთი სერიოზული გამოცემა, როგორიცაა იქ დღეს „Наука и Искусство“ № 1. 1926 წ. სწერს: „ძველი ხელოვნების პრობლემას აქვს არა მარტო თეორეტიული ინტერესი. ის მოკლებული არ არის ცოცხალ პრაქტიკულ ინტერესსაც. ჯერ ერთი — ახალგაზრდა მუშათა კლასი კიდევ საზრდოობს ძველი ხელოვნების ნაწარმოებით. (მხატვრული

მწერლობა, ხუროთ-მოძღვრება, მუსიკა სახვითი მხატვრობა და სხვ.) მუშათა კლასი ამით სარგებლობს, ამას ითვისებს. მეორე — ძველი ხელოვნების წარმომადგენლები აქტიურად მუშაობენ თანამედროვე ხელოვნების დარგებში".

რუსეთში ამ ძველს, როგორც ვხედავთ, ითვისებენ, მისგან სწავლობენ და ასე ეძებენ ახალს.

ახალი მიღწევებით კი იქ ისე არ არიან კმაყოფილი, როგორც გონია ნ. მიწიშვილს. შარშან იყო ,მაგალითად, მერვე გამოფენა სახელმწიფო მთავარი მხატვრული ორგანიზაციის (АХРР) და ჟურნალი „სოვეტსკოე ისკუსტვო" (1926 წ. ივნისი) იძლევა ამნაირ დახასიათებას: არასოდეს მთელი ჩვენი ხელოვნების ისტორიაში არ გამოფენილა ამოდენა უხეირო, უნიჭო და უგნური სურათებიო. (Плохих, бездарных и просто безграмстных картин) არიან ამ გამოფენაზე ილია მაშკოვი, ლენტულოვი, ლანსერე, მალიუტინი, კუსტოდიევი, არქიპოვი, იუონი—ისინი გაცილებით მაღლა დგანან მთელ ამ ორგანიზაციის დონეზე, ისინი დიდი ხელოვნები არიან. მაგრამ ისინი ეკუთვნიან წარსულს. არც მხატვრულად, არც სოციალურად არაფერი არ აქვთ საერთო რევოლიუციასთან. ისინი აქ ჩამომჭკნარან. ერთი სიტყვით, არის რაღაც მასიური, თანდათანობითი სვლა უკან, არის რევოლიუციონური ლოზუნგები, რევოლიუციონური დეკლარაციები და არის რეაქციონური პრაქტიკაო". ასეა დახასიათებული ეს გამოფენა საბჭოთა ჟურნალში.

რომელიმე ახალგაზრდა, რომელმაც ჯერ ენის გამოყოფის მეტი არა იცის რა, წამოისვრის, რომ საბჭოთა ჟურნალში კონტრრევოლიუცია შეპარულა. ჭკუა-დამჯდარი ახალგაზრდა კი იტყვის, რომ აქ არის დაუზოგავი თვითკრიტიკა.

ზემოთ ამოწერილი სტრიქონების ავტორს სწამს რევოლიუცია, რევოლიუციონური ხელოვნება, სწამს, რომ ეს იქნება რუსეთში, მაგრამ ხელოვნებათ არ იცნევს იმას, რაც არის დღეს.

არ ვიცი, იქნება რუსეთშიაც ისეა, რომ შინაურ ღვდელს შენდობა არა აქვსო. საინტერესო იქნებოდა რომ

იქაურ კრიტიკოსს აქაური გამოფენები ენახა, ჩვენი ხელოვნება გაეცნო...

მაგრამ უკაცრავად, მე მინდა ჯერ დავრჩე თეორეტიული მოსაზრებების ფარგლებში. მე მინდა ვთქვა, რომ რევოლიუციის მიღება, კარგი რევოლიუციონერობა ვერ იკმარებს ხელოვნებისათვის. შეიძლება თავგანწირულად იბრძოდე რევოლიუციისთვის და არავითარი მიღწევა არ გექნეს მხატვრულ შემოქმედებაში. როცა არ ვარგა ესა თუ ის მხატვრული ნაწარმოები, ჩვენ თავში არ უნდა მოგვივიდეს პირველად ის აზრი, რომ ამ ნაწარმოების ავტორს ვერ გაუგია, ან არ მიუღია რევოლიუცია.

რევოლიუცია დიდი საგანია და მართლა დიდ სიმალლეზე უნდა იდგე, მწვერვალზე უნდა გეჭიროს ფეხი, რომ მისწვდე და მხატვრულად ასახო ის. ეს არაა ისე ადვილი, როგორც პუბლიცისტური წერილების წერა.

6.

ვაჟა-ფშაველას მშვენიერადა აქვს:

როს ვაკვირდები თავის თავს
და არ ვემდური მეტადა —
მადლს დავთვლი ათასობითა
ცოდვა ხამ მრჩება კენტათა.
ფრთები მესხმება, ვიზრდები
ცად ვიწევ ასაფრენადა
გაჩნდება სიდღაც ნათელი
გულს ჩამიდგება სვეტადა.
ზღვავდება მწყობრი სიტყვები
ქაღალდზე დასაბღერტადა
მითრთიან გულის სიმები
სიამოვნების ღმერთადა.
არა ვსთქვა არ შემიძლიან
მონა ვარ მაშინ ჩანგისა,
ნაცნობნი მეუბნებიან —
„ჭირიმე შენი ჰანგისა“.
თავადაც მომწონს საამოდ
ხმა მწყობრად ადის დადისა

. . .

და თუ ცოდვები მომჭარბდა
სდუმს ჩანგი, გული ბნელია
ვსცდილობ, რომ ლაღად ვიმღერო
სიტყვა გავლესო ცხელია. —
ამაოდ ვტანჯავ თავის თავს...

. . .

ასე ყოფილა, მგოსანი,
თუ მადლი გამოელია".

ამისთანა განცდას შევხვდებით ყველგან დიდი შემოქმედის მხატვრულ აღსარებაში. ამისთანა რამე უთქვამს ხოლმე პუშკინს, ტოლსტოის, აკაკის. ეს, ასე ვთქვათ, შინაგანი კანონია ხელოვნების. ხელოვნებას ყავს თავისი „ღმერთი", „ღვთის მადლი"; როცა ეს თან ახლავს — მაშინ დიდია შემოქმედება, როცა შორდება — მაშინ შემოქმედებაც ძირს იწევს.

ეს „კანონი" სწამს ახალ დროსაც. ერთ გამოცემაში წავიკითხე:

„ჩვენ გვჭირდება თანამედროვეობასთან დაახლოებული, ახალი მიღწევების, ახალი მიზნების და ყოფა-ცხოვრების გამომხატველი ხელოვნება და ჯერ კიდევ არა გვაქვს ეს. ჩვენი შეგნება კი იმას ელის და მოითხოვს. ამისთანა ხელოვნება გვექნება მაშინ, როცა ახალი მწერლები ,მხატვრები ღრმად შეიგრძნობენ ამ ახალ ცხოვრებას, როცა გაიმსჭვალებიან მითი, და როცა განცდაში გაუჯდებათ ეს. მაშინ ამ მწერლებს, მხატვრებს სულ ალარ გაუჭირდებათ ახალი ფორმების გამონახვა". („მუსიკა და რევოლიუცია" 1926 წელი, № 1).

ამას ქვია „ღვთის მადლი", როცა პირადი განცდის ძალღვებში გაივლის ახალი შინაარსი, ახალი საგანი. ვისაც ეს განცდა, ეს მადლი არა აქვს, ან გამოლევია, — ვერავითარი ზომებით, ვერც წყრომით, ვერც მოფერებით ვერ გამოაჩენინებ შემოქმედების ძალებს.

ეს „ღმერთიც" საზოგადოებრივი ურთიერთობის პირობებშია. სხვა ბინა არ არსებობს მისთვის. არის ხანა, როცა რეაქციონური განცდა მოერევა სულს და ხორცს. არის ხანა, როცა რევოლიუციონური მისწრაფება, აზრი იქცევა ღრმა გრძნობად, იტაცებს, ფრთებს ასხამს, ზრდის. არის

მაგალითები, რომ მწერალს, ხელოვანს სურს დასწეროს რაღაც სამგლოვიარო, როცა საზოგადოებაში ხდება რამე მისი შეგნებისთვის მიუღებელი, იწყებს წერას და გამოუდის სამგლოვიაროს მაგივრად საზეიმო ნაწარმოები. არის მაგალითები, როცა ხდება პირიქით.

მოვა დრო პროლეტარული ხელოვნების, მაგრამ მიწიშვილს ტყუილად გონია, რომ საქართველოში რაღაც სუბიექტიური პირობები უშლის ხელს ამ დროის მოსვლას, ვითომ ვიღაცა არ ღებულობს, არ იკარებს რევოლიუციას, რუსეთში კი ეს დრო, მისი აზრით, მოსულია და დამკვიდრებული. ამიტომ იქ ეს ხელოვნება უფრო მაღლა სდგას, ვითომ.

ზემოთ მოვიყვანე ერთი ამონაწერი. მოვიყვან ახლა მეორეს, საცა ლაპარაკია თეატრის შესახებ. აი რას სწერს საბჭოთა გამომცემის მიმომხილველი:

— „აუარებელი კომუნისტები დასეირნობენ საბჭოთა თეატრის სცენებზე. კომუნისტები ბევრია, მაგრამ ხალხი ცოტა. ეს რაღაც მომართული მანქანებია, მოსაწყენი სქემები, რაღაც თავისებური ბიო-მექანიკა. კაცი მოძრაობს, ლაპარაკობს, ხელებს აქნევს და კაცი მაინც არ სჩანს, რაღაც მოსაწყენი მასკაა კაცის მაგივრად. ამხ. ლუნაჩარსკი ცდილობს ჩაბეროს ამ სქემაში სიცოცხლე, სული და იმასაც ეს არ უხერხდება სავსებით. სხვა რევოლიუციონურ ავტორებზე კი ლაპარაკიც ზედმეტია—თავიდან ბოლომდის ბიო-მექანიკაა“.

ამის დაწერს არ აცვია იმედდაკარგულობის მოსასხამი, არ დაუკარგავს იმედი, რომ ახალი ხელოვნება, რევოლიუციონური ხანის გამომეტყველი ფეხს მოიდგამს. ეს იმედი კი ხელს არ უშლის კრიტიკას, მოურიდებელ თვით კრიტიკას.

სწორედ ეს აკლია მიწიშვილის წერილებს, უნდა შეეხოს დიდ კითხვებს და შეხების მაგივრად თავიდან იშორებს. იმიტომ ეხვევა წინააღმდეგობის ქსელში. იმასაც ფიქრობს, რომ საქართველოს არა აქვს წარსული, არც მომავალი; ის ფიქრიც მოუდის, რომ „ახალი საქართველოს მონახვის ხაზი“ — ე. ი. მომავალი საქართველოს,

სახე უნდა მოგვცეს ახალმა მწერლობამ თავის შემოქმედებაში.

ცოტა თვითკრიტიკა რომ შეეტანა თავის სტიქიურად მოწოლილ ფიქრებში, ის უთუოდ იფიქრებდა, რომ „ახალი საქართველოს მონახვის ხაზი“ შეუძლებელია იქ, სადაც წარსული არ ვარგა და მომავალს კი „უშვილოსნობის წამალი აქვს დალეული“.

7.

სტიქიურად და პასიურად რომ არ გაყოლოდა თავის ფიქრებს მიწიშვილი, ალბად იმასაც მოიფიქრებდა, რომ ეროვნული კულტურის საკითხი არ დაისმება ეროვნულ საზღვრებში. ერის კულტურას საზღრო ეძლევა საერთაშორისო ფესვებიდან. რაც უნდა დამოუკიდებელი იყოს ეროვნული სახელმწიფო, ის ერთ დღესაც ვერ გაატარებს ეკონომიურ კულტურულ ღირებულებათა გაცვლა-გამოცვლის გარეშე. ერის ისტორია გათავებულია, როცა მას ველარაფერი ვერ შეაქვს საერთაშორისო საუნჯეში და თითონ გამოაქვს ამ საუნჯიდან. როცა, ასე ვთქვათ, არაფერი გააჩნია საექსპორტო და ცხოვრობს მარტო იმპორტით.

დიახ, მიწიშვილის „ფიქრები“ პასიური მოვლენაა „ჩვენს დღევანდელ მწერლობაში“.

6. მიწიშვილს შეეძლო კონკრეტიულად აღლო ის, რაც კულტურულ ღირებულებათაა მიჩნეული საქართველოს წარსულში, ამწყოში და რასაც ის თითონ მზრუნველობით ეკიდება სახელმწიფო გამომცემლობაში. შეეძლო გაერჩია თითეული ეს ღირებულება და შედარებანი სხვა ერის შემოქმედებაში გამოჩენილ ღირებულებისათვის. ამ საფუძველზე ის ან ვერ იტყოდა, რასაც ამბობს თავის „ფიქრებში“, ან სხვა გაგება ექნებოდა მის ნათქვამს.

შეეძლო მიწიშვილს მოეფიქრებია ისიც, რომ ქართულმა მწერლობამ, ხელოვნებამ, რევოლიუცია მიიღო მაშინ, როცა ეს რევოლიუცია ჯერ კიდევ შორს იყო და იგრძნო მშრომელი ხალხი ახალ კულტურის მედროშეთ იმ დროს, როცა ჯერ კიდევ არა ისმოდა რა ამ მშრო-

მელ ხალხისა. ზემოდ ვსთქვი გაკვრით და ვიმეორებ, რომ არ შეიძლება უშინაარსოდ, ფუყედ, უდღეურად ჩაითვალოს ის ხალხი, რომლისგანაც წარსულში მიეცა რევოლიუციონურ მოძრაობას და დღეს ეძლევა რევოლიუციის მთავარი მომქმედი პირები.

ამ ასპარეზზე საქართველო „გასულია ევროპაში" თავისი ეროვნული ენერგიით და შემოქმედებითი ძალებით. მაგრამ — ეს უნდა ვთქვა და ეს იქნება მინაწერი ამ წერილის, რომ დღევანდელ დღეში მე ვხედავ არა მარტო დიდი მომავლის შესაძლებლობას. ვხედავ, ისეთ საფრთხესაც, რომ ვინ იცის, იქნება გამართლდეს მიწიშვილის უიმედობა და... „დავიკარგოთ, წყალში გადავარდეთ", როგორც ის ამბობს.

საფრთხეთ მიმაჩნია მე ის „გასვლა ევროპაში", რომელიც ცდილობს, რომ საქართველოს ენერგია გამოწვეული იქნეს სხვა „მის გარეშე მყოფ მოვლენისაგან"... თავის დროზე მოვალეობად მივიჩნიე საზოგადოების წინაშე გამეფრთხილებია ის და ამდენიხნის სიჩუმის შემდეგ საჭიროდ მიმაჩნია კვლავ გავიმეორო ეს გაფრთხილება.

ფანატიკოსები არიან ისინი, ვისაც სწამთ, რომ საქართველოს წინსვლა უზრუნველყოფილი იქნება, თუ ის ფაშისტურ-იმპერიალისტურ კომბინაციების მიხედვით ხელახლად გამოსცდის თავის ბედს და კიდევ „გაანძრევს ხელს". მხოლოდ საქართველოს ნამდვილი მტერი იქნება იმის მსურველი, რომ ამნაირი ფანატიკოსების ოცნება ერთხელ კიდევ გადაიქცეს საქმედ.

საქართველოს ბევრი ჰყავს პირდაპირი, თუ გულჩახვეული მტერი, რომელიც ქართველი ერის წინააღმდეგ გამოიყენებს ამნაირ „საქმეს". ეს არის შავი აჩრდილი იმ საფრთხის, რომელიც ჯერ კიდევ არ მოშორებია საქართველოს. ეს არის ის საფრთხე, რომელიც კითხვითი ნიშნის ქვეშ აყენებს საქართველოს ხვალინდელ დღეს.

ამ საფრთხის წინაშე უნდა შეიკრას მთლიანი ეროვნული ფრონტი საქართველოში, როგორი სხვა და სხვაობაც არ უნდა იყოს საქართველოს საზოგადოებრივი წრეების აზრისა და გრძნობის მიმართულებებში.

სიმონ ჩიქოვანი.

„ფიქრები საქართველოზე“.

(შენიშვნები ნიკოლოზ მიწიშვილის წერილის გამო)

ჟურნალ „ქართული მწერლობის“ მე-4-5 ნომერში დაიბეჭდა ნიკოლოზ მიწიშვილის წერილი: „ფიქრები საქართველოზე“. წერილი მიმართულია ავტორის ლიტერატურულ ამხანაგებისადმი და ერთი შეხედვით წარმოადგენს ინტიმურ განცდების გადმოშლას საქართველოს რაობის შესახებ. მაგრამ რამდენათ წერილი ეხება საქართველოს მნიშვნელობას, იმდენათ ის წარმოადგენს ერთგვარ ფსიხოლოგიურ პროგრამას საქართველოს რაობაზე.

ამ წერილს აზის უსათუოდ სკეპტიური დალი და ვინაიდან ამ მხრივ თაობათა მთელი წყებები მომხდარია უიმედობის ნისლის ბურუსში, შეიძლება ახალგაზრდობის მიმართ ასეთმა წარმოდგენამ საქართველოს შესახებ ცუდა შედეგიც მოიტანოს, უბრალოდ რომა ვთქვათ — „ხასიათი გაუფუჭოს“ მომავალ თაობას.

ეხლა ჩვენ ვმოღვაწეობთ კომუნისტურ სახელმწიფოს მიერ შექმნილ საზოგადოებაში, რომელსაც ახასიათებს განსაკუთრებული მთლიანი მსოფლმხედველობა მომავლის და ხალხის მიმართ.

ჩემის აზრით, საქართველოს ყოველ თაობას ანადგურებს ისტორიზმი და ერის ცნება, როგორც დოკუმენტალობა. სწორედ ამ ეროვნულ დოკუმენტალობას მიყავს ის აზროვნების კრიზისისადმი, რომლის შედეგია შემოქმედების კრიზისიც. ეს იმიტომ, რომ ისტორიზმის ცნებას შემოქმედისათვის ახასიათებს სტატიურობა და ის მხოლოდ გამოსადეგია მასალობრივად.

ნ. მიწიშვილი ფიქრობს, რომ წარსულში იყვნენ შემთხვევითი გენიები, მაგამ უმეტეს შემთხვევაში კი იბა-

დებოდა ჩახშობილი, გაგუდული ურეზონანსო შემოქმედება. მიწიშვილი აქ ვერ სცილდებოდა ორგანიულ გზას. „ქართლის ბედის უკულმართობისას“.

ჩემი აზრით, ეს შეხედულება არ არის გაზომილი თანამედროვე მსოფლმხედვით და ამიტომ შეიძლება ჩაივალოს დრო-გადასულ აზორვნებად.

პირველი — იმისათვის, რომ ისტორიზმი ეძებს არსებულ თაობის გამართლებას და საქართველოს შემოქმედებითი პოტენციის დამტკიცებას, როდესაც ისტორიზმი არსებულ თაობისადმი მხოლოდ მასალაა და არა გამართლების ფაქტები. “ჩვენ უნდა შევქმნათ ჩვენი მყობადი, ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს“.

მეორე — რომ დებულება, თითქოს საქართველო არ არის არც წარსულში, არც ამწყოში და არც მომავალში შემცდარია იმდენად, რამდენადაც წარსული წარმოადგენს ქართული შემოქმედისთვის მასალების უამრავ გროვას. დღევანდელობა-კი ჩვენ სულ სხვა ხაზს გვიჩვენებს; ის შორდება გეოგრაფიულ კარ-ჩაკეტილობას და მისი რეზონანსი მოსალოდნელია მსოფლიო მასშტაბით.

როგორ? ამის თქმა წინდაწინ ძნელია. მაგრამ ჩვენ გვაქვს თვით საქართველოს ცნების განვითარების ეტაპები საზოგადოებრივ მიმლეობაში. ამათი გარჩევა საკითხს უფრო ნათელ-ყოფს და მოუნახავს ძირს დღევანდელ პესიმიზმსაც.

მე-19 საუკუნის შუამდე საქართველო ესმოდათ, როგორც ერი, რომელიც ნიშნავდა ისტორიულ დოკუმენტების გროვას და მის შესახებ ოცნებას. სწორედ ამან მიიყვანა ერი აზროვნების კატასტროფამდე და მის დროსთან შეთანხმებით შემოქმედებითი პოტენციის დაკარგვამდე.

ი. ჭავჭავაძემ პირველად სცადა ერის დოკუმენტალობის ცნების მოსპობა და პირველად შემოიტანა „ქართული ერის“ ნაცვლად „ქართველი ხალხი“. ჭავჭავაძის თვალთა ხედვით, ერი, როგორც დოკმენტების გროვა, შობს ხალხს, რომელიც უკვე მოქმედებითი ძალას წარმოადგენს. ხალხის ცნება ისტორიული დოკუმენტების გროვა კი არ არის,

არამედ დინამიური დღიური მომქმედი მასსაა. აქედან, ერი ჭავჭავაძის ხედვით იყო სტატიური საამაყო ფაქტი, ხოლო ხალხი ნიშნავდა მშრომელი მასსის ამოძრავებას და შემოქმედებითი პოტენციის ძებნას თავის დღეში.

ასე გადაიქცა საქართველო დოკუმენტალობიდან აქტიურ შემომქმედ ძალად. ასე ჩამოყალიბდა პროგრამა: „მოძრაობაა, მოძრაობა, ჩემო თერგო ყველაფერი". მაგრამ ხაზი, რომელიც აქ დაიწყო, არის თუ არა რეზონანსიანი და სპობს თუ არა ის უდღეურობას. შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ საკვლებით არ სპობს, მაგრამ ნაწილობრივად სპობს მაინც. ნაწილობრივად იმიტომ, რომ ხსენებულმა თაობამ წარსული მიიღო, როგორც საამაყო ფაქტი (ჩვენ-კი ის მხოლოდ მასალებად მიგვაჩნია) და სწორედ მაშინდელ საქართველოს, როგორც შემოქმედებით გზას დააჩნდა ისტორიზმის დამორჩილების დალი.

ერი რაც უფრო ახალია, მით უფრო პოტენციურია და მისი შემოქმედება — რეზონანსიანი. სიახლე ამ შემთხვევაში ნიშნავს წარსულის უარყოფას და თაობის ისტორიზმის ტვირთიდან განთავისუფლებას.

დღევანდელმა საზოგადოებამ ქართველი ხალხის ცნება შესცვალა ქართველი მუშებითა და გლეხებით და ინტელიგენციას მისცა სპეციალობის ხასიათი.

აქედან, სრულიად მოისპო ისტორიზმის ფაქტი სტატიურობის, და დარჩა მხოლოდ შემოქმედებითი გზა, ან კონკრეტულად — ხალხის მოქმედება. ეს შობს საქართველოს თანამედროვე ცნების განსაზღვრას და სპობს ყოველგვარ პესიმისტურ ხედვას ქართველი ხალხის მომავალის შესახებ.

როდესაც ჩვენ ვერკვევით „ქართლის ბედის უკულმართობის" მიზეზებში ვდგებით დოღიანდლობის კარებთან. ჩვენ გვრჩება ერთად-ერთი და სწორად გამოზომილი გზა. გზა თანამედროვეობის შეგნებისა.

რამდენიმე თვის წინათ ჩემს მიერ წაკითხულ მოხსენებაში — „თანამედროვეობა და ქართული პოეზია". აღვნიშნე, რომ თანამედროობის ნამდვილი გაგება ჩვენ მოგვცემს ჩვენს პუშკინს და ახალ ბარათაშვილს. პირ-

ველი წარმოადგენს მსოფლიო რეზონანსიან შემოქმედებით ძალას, მეორე კი ერში ჩაუხრჩობელ დროის დამწყებ გენიას.

თანამედროობის გზა იძლევა ასეთს კარნახს და საღად მოაზროვნე შემოქმედს არ შეუძლია პრაქტიკულ განვითარების გზას არ მიაქციოს თავისი მთავარი ყურადღება.

უფრო პრაქტიკულად საკითხის დასმა და მასალების მოყვანა ამ საკითხზე თითქმის შეუძლებელია. საკითხი ძლიერ განყენებულად არის დასმული და მისი განსაზღვრულ ჩარჩოში მოთავსება ძნელია. ჩვენ შეგვეძლო მიმდინარე თაობების პოტენციის დასამტკიცებლად მოგვეყვანა მრავალი მაგალითები, მაგრამ ეს საკითხის გადაჭრას კიდევ უფრო გაართულებს, თუმცა სასწორს ჩვენსკენ გადმოსწევს.

მე უმთავრესად მაინტერესებს იმ პესიმიზმის ძირი, რომელიც შეიძლება გამოიწვიოს ნ. მიწიშვილის წერილმა. ჩემის აზრით, ვინც საქართველოს ისტორიზმს ეყრდნობა, ის უსათუოდ თანამედროობის გარეშე სდგას და მის მიერ შექმნილი სკეპტიკოსია. რადგან ვინც საქართველოს წარსულის ფაქტებს ეყრდნობა (დადებითს) ის ვერ განიცდის თანამედროვე ხედვას და მიმდინარე დროის ფაქტები მის გონებაში უანალიზოდ რჩება. წარსულის მასალები ვერ ხვდება თანამედროვე ხასიათს ვერსად. ხოლო ვინც წარსულს ხედავს მხოლოდ უარყოფითი ფაქტებით, ის ვერ უთანხმებს მას ხალხის მოქმედების საერთო გეზს. (ისტორიის სიგრძეზე) და იბადება პესიმიზმი ისტორიზმის.

ნ. მიწიშვილი ამბობს, პოემა „გარდაცვალების" წინასიტყვაობაში, რომ „ცხოვრებამ ის გაათანასწორა თანამედროვეობასთან, როგორც ადამიანი". თანამედროვეობასთან გასწორება ნიშნავს არსებული მოქმედებების მიღებას (თანამედროვეობის თანამგზავრობას). ხოლო დღევანდელობით წარმოშობილი ადამიანი ნიშნავს თვით თანამედროვეს. მაგრამ თანამედროვეობის თანამგზავრმა ახალი თაობის აზროვნების საზღვრებიდან რატომ ერთხელ არ გადახედა თავის ისტორიულ პესიმიზმს და მისი მოხსნა არ

მოინდომა თანამედროობის სახელითთ? რა არის მიზეზი, რომ ავტორს გამორჩა ეს მთავარი საკალდებულო მოვლენა ამ საკითხის გადაჭრაში? ამის პასუხი ძნელია, მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში იმ ატმოსფერას, რომელშიც ავტორს უხდებოდა ამ წერილის მთავარი დებულებების დამუშავება, ჩვენთვის ნათელი გახდება თუ როგორი ბეწვის ხიდია გადებული თანამედროვე ადამიანსა და წარსულ თაობათა შორის და რა ადვილი შესაძლებელია უკანა საფეხურებზე მოქცევა.

ეს არის მოკლედ ჩვენი შენიშვნები ნ. მიწიშვილის შეხედულებებზე, რომელსაც უსათუოდ საყურადღებო ადგილი უჭირავს ჩვენს წინა თაობის მოაზროვნეთა შორის.

ჩვენს შენიშვნას არა აქვს დამტკიცებითი ხასიათი, ისევე, როგორც თვით მიწიშვილის წერილს, რომელშიაც მხოლოდ საკითხია დასმული ისე, რომ მას უნდა გამოეხმაუროს ყოველი მოაზროვნე ქართველი.

ბ. გორდეზიანი.

ᲣᲞᲤᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ.

(ნიკოლოზ მიწიშვილი: „ფიქრები საქართველოზე“).

ასეთი ფიქრები საქართველოზე დიდი ხანია აწვალებს ჩვენს საზოგადოებას, განსაკუთრებით ინტელიგენციას.

მაგრამ პრესაში და ისიც გადამწყვეტი ტონით, პირველად პოეტმა ნიკოლოზ მიწიშვილმა გამოსთქვა მეგობრებისადმი წერილის სახით.

მიწიშვილს საქართველოს სიძულვილს ვერ დავწამებთ და აზრათ არავის მოუვა დაეჭვდეს მის გულწრფელობაში.

მხოლოდ მე მგონია, რომ მისი დასკვნები საქართველოზე და საქართველოს კულტურული პოეტენციის სიმშრალეზე აიხსნება იმ ლიტერატურული სკოლის დეკადანსით, რომელშიაც თვით მიწიშვილი ითვლება.

როგორც არ უნდა იყოს, ასეთი შეხედულების წერილობით გამოქვეყნება დროზე მოხდა და მიწიშვილს გამბედაობის გარდა რჩება დიდათ კეთილშობილური გულახლიდობა და ქართული კულტურის სიყვარული.

თუმცა ეს არ არის „სატრფიალო“ სიყვარული, მაგრამ მით უკეთესი ქართული კულტურისათვის. აქ მართლდება ის ამბავი, რომ მოყვარეს პირში უნდა უძრახო.

მწვავე კილო, რომელიც ბოლომდის გასდევს მიწიშვილის წერილს, შეიძლება ჩემს საწინააღმდეგო დასკვნებსაც დაეტყოს, მაგრამ მე მგონია საკითხის სიმწვავისა და იმავე დროს სიყვარულის გამო ეს კადნიერებაში არ ჩამოთვლა.

კულტურულ ადამიანს ახასიათებს საკუთარი თავის გამოკვეევა, პასუხისმგებლობის გრძნობა მოქმედებაში და მიზნის გათვალისწინება. ამ თვისებების გარეთ რჩება ის, რაც ძალიან აახლოებს ადამიანებს სხვა გვარ ცხოვრებასთან.

ასევე ხასიათდება ერის არსებობაც.

კულტურის ისტორია ამ დახასიათებიდან იწყება.

საქართველო არსებობს, როგორც ერი და მის მომავალში ეჭვი არავის შეჰქონდა.

უკანასკნელ ხანში ყრუდ მოისმის დაეჭვება არამც თუ მის მომავალში, — არსებობაშიაც კი.

ვიგინდარა ხალხს ეს ეპატიება, მხოლოდ როდესაც ეს ემართება ქართველს და ისიც პოეტს, გულით რომ საქართველოს არსებობისათვის ბევრჯელ გაწირულა, — ამას რალაც საფუძვლიანი მიზეზი მართლაც უნდა ჰქონდეს.

მთავარი ის არის: საფუძვლიანია თუ არა ეს მიზეზი.

ეს კითხვა ყოველი ქართველისათვის და განსაკუთრებით ხელოვანისათვის უთუოდ ყოფის საკითხია; ამიტომ საჭიროა დიდი სიფრთხილე ასეთი საკითხის გარკვევაში. მით უმეტეს რომ, თუ მიზეზი საფუძვლიანი აღმოჩნდება მოსალოდნელია მასსიური ნიილიზმი.

ერის კულტურულ პოეტენციაზე კამათი არ ნიშნავს პრობლემას.

საქართველოს არსებობის საკითხი და მისი კულტურული ენერგიის გამტანობისა პრობლემათ არ უნდა გარდაიქცეს.

ეს არის მთავარი მიზეზი ჩემი გამოხმაურებისა და აზრი ჩემი წერილისა.

რადგან დასახელებულ წერილში საქართველოზეა მთლიანათ საუბარი, ამიტომ ჩემი ფიქრიც პოეზიის და საერთოდ ხელოვნების საკითხების საზღვრებს გასცდება. მე შევეხები კულტურული ენერგიის ზოგად მიმართულებას და ამით ვეცდები რამოდენიმედ გავარკვიო ბედი „საქართველოზე ფიქრებისა“.

რას წარმოადგენს ის ლიტერატურული სკოლა, საიდანაც დატრიალდა საქართველოს სიკვდილის ამბავი?

ის არის ორდინი ქართველი სიმბოლისტებისა „ცისფერ ყანწებად“ წოდებული. ამ სკოლამ, ქართულ ნიადაგს დაშორებულმა რუსეთის გზით საქართველოში შემოათრია ჩვენი სინამდვილისათვის სრულიად გაუმართლებელი ევ-

როპის ლიტერატურულ ესტეტიური მიმდინარეობა-სიმბოლიზმი. საქართველოში სიმბოლიზმი უნიადაგო მოვლენა იყო.

როგორ გაიგეს სიმბოლიზმი, ან რა უნდოდა ქართველ სიმბოლისტებს? ამის საპასუხოდ მათ მანიფესტში სწერია.

„ოცნება დაკარგულ ხალხს ვასწავლით განწმენდილ გზას მომავლის ცისფერ ტაძრისაკენ... ჩვენი ამაყი ოცნება გადასცილდა ყოველ საზღვარს... უარვყოფთ წარსულს, როგორც მზით განათებულს, ისე ლამეში შეწუხებულს... წარსულის ოქროს გვირგვინებს გამოვსტაცეთ ძვირფასი მარგალიტები და გადავისროლეთ დავიწყების ზღვაში... ძლიერება ხალხის სულს და ავადმყოფ სხეულს.

ჩვენ გვსურს შევქმნათ გაუგებარი და საოცარი სიტყვები. საქართველოს შემდეგ უწმინდესი ქვეყანა არის პარიზი. ადიდეთ ხალხო ეს ჩვენი მრისხანე ქალაქი, სადაც გიჟური გატაცებით ჯამბაზობენ ჩვენი ლოთი ძმები — ვერლენი და ბოდლერი, მალარმე... და არტურ რემბო“.

მთელ მანიფესტში და განსაკუთრებით ამ ამონაწერებში ვერ ნახავთ ვერც ერთ სიტყვას ძირი რომ ქართულ პოეზიაში ჰქონდეს. ამიტომ ქართულმა სინამდვილემ ეს ხალხი არ მიიღო. გაიტანჯა პოეზია. სიმბოლიზმი მაინც არ მიიღო და ისევ პატრიოტულ რომანტიზმის თემებს დაუბრუნდა. აქედან ისტორიიზმში მოემწყვდა, მოსწყდა საერთო კულტურულ განვითარებას. გაიხსნა მხოლოდ პოლიტიკური მოღვაწეობის გზები. კულტურული ენერგია ამ გზას დაადგა.

ქართველმა პოეტებმა, განსაკუთრებით ყანწელებმა, ვერ გაიგეს, თუ რაში იყო საქმე.

პოეტმა კი უნდა გიგოს თუ „რაშია საქმე“. მიწიშვილი ეხლა სცდილობს საქმის გაგებას და საქართველოს ხედავს მრუდე სარკეში. იგი იმასაც ამჩნევს, რომ ეს სარკე ხშირად ყანწელების ცოდვებითაც მრუდდებოდა.

გულწრფელობა საერთოდ ბევრ ცოდვას ატარებს, მაგრამ გამხელილი ცოდვა რომ სჯობია მიწიშვილიც გრძნობს, გრძნობს აგრეთვე ყანწელების სიმჩატეს ქართული პოეზიისათვის.

„მე ვამბობ, რომ ჩვენმა ჯგუფმა (ყანწელებმა) მიუხედავად იმისა, რომ მასშია დიდი გრძნობა პოეზიის გაგებისა და შეთვისების, ვერ აიმაღლა თავი შემოქმედებაში იმდენათ, რამდენათაც ეს შესაძლებელი იყო თვითეული ჩვენი ამხანაგის პოტენციის მიხედვით. ამას უწოდე მე ჩვენი „კრიზისი“.

და ამაში მიწიშვილი ბრალსა სდებს საქართველოს სიმშრალეს.

მიწიშვილის წერილი ამ სიმშრალის გამორკვევისათვის არის შეწირული.

ვნახოთ რაში ხედავს სიმშრალეს.

პირველი საკითხიდანვე, სადაც ავტორი საქართველოს ადარებს ევროპის მიმდინარეობას, მკითხველი სიმბოლისტ პოეტს გრძნობს. მას პოეზია წარმოუდგენია აზროვნების გარეშე, განყენებულათ და ამბობს: თუმცა ევროპა, „როგორც აზროვნება... მიდის ჩვენს გარეშე და ჩვენში შეიძლება ვერ სტოვებს კვალს... მაგრამ, ჩვენ მხარდამხარ მივყვებით იმ შეგნებას, რომელიც დღეს არსებობს სხვაგან და შეიძლება ჩვენში ზოგიერთი უპირატესობანიც კი ვიპოვოთ. როცა ვფიქრობ ჩვენზე ჩვეს გზებზე და ჩვენს მიღწევებზე — მე ვხედავ, რომ ჩვენ ეს შეგნება, ეს ძალა, ვერ ავიყვანეთ იმ სიმაღლემდე, რამდენზედაც ეს შეგვეძლო. ვერ გავზარდეთ, ვერ გამოვიყენეთ, და რომ ჩვენი შემოქმედება არ არის გამართლებული“.

ე. ი. ჩვენი სიმბოლისტები პოეტური ინტუიციით ევროპის პოეზიას მისწვდნენ, მხოლოდ როდესაც ქართული მიწიდან შევხედავთ, — მათი შემოქმედება არ არის გამართლებული. ცხადია ,მათი შემოქმედება, ჩვენს სინამდვილეს დაშორებული და ევროპის აზროვნების გარეშე მყოფი უნდა ყოფილიყო „გაუმართლებელი, გაუშლელი და დამცირებული“.

მიწიშვილმა, როგორც ნაღდმა პოეტმა, მალე იგრძნო თავისი სკოლის ასეთი უხერხულობა. პოეზიიდან თვალი იბრუნა საქართველოს ხალხისაკენ. აქ დაინახა მხოლოდ ის ხალხი გაიძვერულად საქართველოს სხეულს რომ ეტორლიალება; პოლიტიკური დამცირება რომ არ უნდა

ძიელოს საკუთარი თავის დამარცხებად „ბოლშევიკებს რომ უკანა კარებდან უძვრებიან“ და თან პატრიოტულ ცრემლებს იწმეხდენ. როცა ასეთ საქართველოს ითვალისწინებს, სრულიად გულწრფელად იძახის: „მე ვერ ვპოულობ ვერც ერთ სახეს, და რომელიც ლირსი იყოს საქართველოსი და მინდა ვიყვირო: Тфу Сволочи!..

პოეტი შესცდა. ეს საქართველოს სახე არ არის.

დეკადენტი პოეტები, რომელთა შემოქმედება გაუმართლებელია და პოლიტიკურად გაუბედურებული, „უსიხდისო სპეკულიატური და გაიძვერა ხალხი“, — ეს ყველაფერი საქართველო არ არის.

საქართველოს ნამდვილ სახეს ხედავს უძირო თვალები და ტვინი ალალი, როგორც ქართული ცა.

საქართველოს ნამდვილი სახე ეხლა მოდის.

გლეხის მოხრილი ხერხემალი გაიმართა. ვინც ამ ხერხემალის გალუნვას მოისურვებს აქ ის შეეჯახება იმ ენერგიას, რომელსაც ასე ეძებს მიწიშვილი.

ავტორი, საქართველოს რომ ვერსად ხედავს საკითხი დგება განწირვისა და კითხულობს: „სამშობლო პოეტისათვის (ხელოვანისათვის) თუ პოეტი სამშობლოსათვის“.

ზედ მიწევნით სწორი კითხვაა, განსაკუთრებით ჩვენთვის. ვერც ერთ პოეტს ვერ შეუძლიან არსებობა, თუ მისი შემოქმედებითი მდგომარეობა სამშობლოში გამოურკვეველია.

შემომქმედია პოეტი მაშინ, თუ სამშობლი აწვდის საზრდოს, უამისოდ პოეტი (ხელოვანი) მე მგონია არც არსებობს.

როდის იწყება, ან როდის თავდება ერში ის ენერგია, რომელიც შემოქმედებისათვის ამოძრავებს ხელოვანს?

სად არის ძირი ამ ენერგიისა. ე. ი. მიწიშვილის სიტყვით, რომ ვთქვათ — როდის იწყება სიმშრალე და უშვილოსნობის წამლის დალევა?

ცნობილია, რომ ისტორიული ერის კულტურული განვითარება იმავე გზით მიდის, როგორც ადამიანისა: ახალგაზრდობა, დავაჟკაცება და სიბერე.

პირველ პერიოდში სწარმოებს ეთნოგრაფიული დაჯგუფება, შემდეგ იწყება სულიერი ძალის გაშლა (კულტურული პერიოდი) და ბოლოს მეხანიზაცია კულტურული მიღწევების, პერიოდი ცივილიზაციის.

რამდენად ძლიერია ერში კულტურული პოტენცია, იმდენად ძლიერია შემოქმედება ამ ერის ხელოვანისა.

ხელოვანის სული არის იმავე დროს ერის სული.

თუ ერს არა აქვს საკუთარი კულტურული პოტენცია, ან და ეს ენერგია ერში სრულიად არ არის, მაშინ ხელოვანი დამოკიდებულია სხვა ერის კულტურაზე და ერის სულიერი სიმშრალე იმავე დროს ხელოვანის შემოქმედების სიმშარალეც არის.

თუ ერმა ვერ მოასწრო ან ვერ შესძლო (იპოტენციის გამო) კულტურული განვითარება, საკუთარი სიტყვის თქმა და ისე გადავიდა უშვილოსნობაში — ასეთი ერი ლირებულებას არ წარმოადგენს კულტურისათვის. მუდამ მასალა იქნება სხვა ერის (ისტორიულის) კულტურული განვითარებისა.

მიწიშვილსაც აქ ეეჭვება საქართველო.

ხელოვანი საქართველოდან ვერ იღებს საზრდოს. დგება საკითხი: ან საქართველოს არა აქვს საკუთარი კულტურული პოტენცია, ან ამ პოტენციის გაშლას ვერ ახერხებს და ხელოვანი სამშობლოსათვის არსებობს.

ეს არის კულტურის უკუქცევითი მიმართულება.

საქართველოში ასე იყო: პოეტი (ხელოვანი) მეთაურობდა ერის კულტურულ განვითარებას.

დღეს ხელოვანის შემოქმედება არ არის ერის სულიერი ენერგიის გაშლა და ეჭვი გებადებათ ყოველ ქართულ საქმიანობაში. ამით აიხსნება ის უცნაური მოვლენა, რომელსაც მიწიშვილიც აღნიშნავს. „ჩვენში დღეს ვერც ერთ პოეტზე კვანჭს ვერ მოიკიდებ და ვერ ნახავ მასში ვერც პოეზიას და ვერც საქართველოს“.

მართლა არა აქვს საქართველოს საკუთარი ენერგია კულტურის განვითარებისათვის, თუ აქვს და ისტორიული პირობების და გეოგრაფიული მდებარეობის გამო ამ პოტენციის გაშლას ვერ ახერხებდა?

აქ უნებლიედ სდგები კითხვასთან: არსებობს თუ არა საქართველო, თუ არსებობს რას წარმოადგენს?

მიწიშვილი გადაჭრით დაეჭვდა ქართული კულტურის განვითარების შესაძლებლობაში. საქართველოს არსებობა მისთვის პრობლემად გარდაიქცა და ის ბუნებრივად მივიდა კითხვამდის:

რეალური საქართველო თუ არ არსებობს, ოცნებით ხომ წარმოგვიდგენია სხვანაირი საქრთველო. და როგორია ის? თან უპასუხებს — „აი, რომ არც ამ საქართველოზე გვაქვს ჩვენ კონკრეტული წარმოდგენა?“ შემდეგ მეგობრებს უსაყვედურებს რომ — „ჩვენ ყველაზე მეტად ვგრძნობდით პოეზიას და სწორედ ამიტომ ჩვენ ყველაზე ადრე უნდა მივსულიყავით საქართველოს მიგნებამდე. ეს ჩვენ ვერ ვქენით, ვერ შევძელით. აქაა ჩვენი საფრთხე და ჩვენი უბედურება“-ო.

ქართულ ლიტერატურაში იშვიათია ასეთი სითბოთი დაწერილი წერილი. ძლიერია განსაკუთრებით იმ დროს, როცა თავის სკოლის უნიადაგობას გრძნობს.

მიწიშვილს სწამს რომ, ერის გარეშე შემოქმედება არ არსებობს და განაგრძობს: „როგორი ინტერნაციონალურიც არ უნდა იყოს პოეზია და ხელოვნება ის, ჩემის ფიქრით, მაინც ატარებს ეროვნულ სახეს“. ამ აზრს ავტორი ადასტურებს მრავალი მაგალითებით ევროპისა და რუსეთის პოეზიიდან. „ეროვნული პოეტები იყვნენ ევროპისა და რუსეთის სიმბოლისტები, ეროვნული არიან საუკეთესო პოეტები რუსეთის რევოლიუციისა.. რუსეთი აყვირებს და ასაზრდოვებს თავის პოეტებს, შემოქმედებს“.

მიწიშვილი ჩუმ საყვედურთან ერთად სწუხს, რომ ქართველმა სიმბოლისტებმა ეს ვერ შეიგნეს და მათ არ აღმოაჩნდათ ეროვნული სახე.

ასეც უნდა მომხდარიყო, რადგან მათი ძირი თავიდანვე ასცდა საქართველოს.

მიწიშვილს ეტყობა ჭირვეულობა, თითქოს არ უნდა დაიჯეროს ის, რასაც ამბობს და კიდევ ცდილობს დაუბრუნდეს საქართველოს არსებობის საკითხს. მაგრამ საქართველოს მაინც ვერ პოულობს: „ნუ თუ საქართველო

მარტო ეტნოგრაფიული მოვლენაა, თანდათან გადაგვარებაში გადასული... ხერხემალს ქართულის იდეიისა მე ვერ ვპოულობ და ვერც აზრს საქართველოისას წარსულში" აქ ქართულ ისტორიას შეეხო მაგრამ ჩვენს ისტორიაში მხოლოდ ჯვარი დაინახა. ნათლის სვეტი, რომელიც უნდა წასძღოლოდა საქართველოს არ აღმოჩნდა.

მე მგონია ისტორიული ექსკურსიისათვის მელანქოლიური გასეირნება არ კმარა.

ისტორიის გაგება შეუძლიან მხოლოდ იმას, ვინც თავისი პიროვნებით განიცადა ისტორია.

მიწიშვილის განცდა ისტორიისა ყანწელებიდან გამრუდებული გზით ხდებოდა. ამას ადასტურებს მისი შეხედულება რუსთაველზე. „ორი ათასი წლის განმავლობაში მე ვერ ვხედავ ამას (ახალ სიტყვას და შემოქმედებას) და მეეჭვება თვით რუსთაველიც: თუ ის ჩვენი ცხოვრებისაგანაა — უსათუოდ გაუგებრობაა ის; თუ არა და ან რუსთაველი არაა ქართველი, ან და მისი პოემა ადვილად ნაშოვნია სადმე.

მე ვიბნევი და მეშინიან ასეთი კითხვებისა".

როდესაც ქართველი პოეტის გული რუსთაველს მოწყდება — გასაკვირალი აღარ არის მისი დაბნევა.

ჩვენმა სიმბოლისტებმა „წარსულის ოქროს გვირგვინებს გამოსტაცეს ძვირფასი მარგალიტები და გადაისროლეს დავიწყების ზღვაში", ეხლა ამ სკოლიდან გამოსულს და რეალური საქართველოთი უფრო გულ გამთბარ პოეტს უხდება ამ მარგალიტების ზღვიდან ამოღება და ამ დროს ბუნებრივია ის შიში, რომელსაც მიწიშვილი განიცდის.

ამის შემდეგ ჩემთვის სრულიად გასაგებია ის დასკვნები, რომელიც გამოიტანა საქართველოდან და იმის კულტურული პოტენციიდან ამცდარი გზით მავალმა პოეტმა: „საქართველო პასიური მოვლენაა. მოკლებულია... საკუთარ რელიგიას აზრს, შინაარს... მშრალია. ყველაფერი ქართული უდღეოა".

მე მგონია, რომ თუ რაიმე ქართული არის უდღეო

უპირველესად უდლეო იქნება ასეთი „ფიქრები საქართველოზე“.

და ალბად მიწიშვილიც ამით იგრძნობს თავის არსებობის გამართლებას და იმ დიდ სიყვარულს, რომელიც პოეტს ალაპარაკებს.

*

* *

ასეთია მიწიშვილის წარმოდგენა საქართველოს კულტურულ პოტენციაზე.

აქ არ არის სიძულვილი, ან შური, პოეტს ახრჩობს ერის ბედი და აწუხებს მისი მომავალი.

საქართველოს კულტურული სახე მრავალ ნიშნებს ატარებს ასეთი პესიმიზმისათვის, განსაკუთრებით მაშინ, თუ საქართველოს მე-18 საუკუნეს აქეთ შევხედავთ.

მაგრამ მიწიშვილი საერთოდ უარყოფს ამ ენერგიას ორი ათასი წლის მანძილზე.

მე მგონია ამისათვის საჭირო იყო მეტი მასალა, ვიდრე ყანწელების და პოლიტიკურად გზა აბნეული ხალხის გაზომვა.

მჯერა რომ საქართველოს აქვს კულტურის განვითარებისათვის საკმაო შინაგანი ენერგია, მხოლოდ ისტორიული პირობების გამო ნაწილობრივ ვითარდებოდა. სრული განვითარება უნდა დაიწყოს დღეს საბჭოთა კულტურის რკალში.

ამ ენერგიის განვითარება ჩვენს ისტორიაში ასე წარმომიდგენია:

საქართველოს ეტნოგრაფიული დაჯგუფება მთავრდება მე-10 საუკუნეში. იწყება კულტურის გაშლა. ბუნებრივად მიმდინარეობს ორ საუკუნე ნახევარი. ამ ხნის განმავლობაში კულტურული ენერგია ვერ ასწრებს ამოწურვას და ცივილიზაციაში გადასვლას.

შემოვარდნილი გარეშე ძალა სპობს ყოველ გვარ კულტურულ დასაწყისს და 8 საუკუნის მანძილზე ერი ვერ პოულობს დროს კულტურული განვითარებისათვის.

ენერგია მთლიანათ მჟღავნდება ხმალის სიძლიერეში. რაინდულ პატრიოტიზმს გააქვს საქართველოს კულტურული სახე.

კულტურულ განვითარების შეწყვეტასთან ერთად იწყება ერის ეტნოგრაფიული დაშლა.

ერთი მთლიანი სხეულის ნაწყვეტებს ეიაქვთ მოგონება გადასულ საუკუნეების ისახება პატრიოტული რომანტიზმი.

საქართველოში შემოდის რუსეთი. რუსეთით მოსული ევროპიული კულტურა ახალ პერსპექტივებს იძლევა, მაგრამ ერი უკვე აღარ ეროვნდა. საქართველო მხოლოდ სიტყვით არსებობდა, სინამდვილეში კი ეტნოგრაფიულად დაშლილ ორგანიზმს წარმოადგენდა. კულტურული განვითარება თავისუფლებას მოკლებულ და დაშლილ ორგანიზმს არ შეეძლო.

პირველად ილიამ იგრძნო, რომ საქართველო არ არსებობდა, როგორც მთლიანი ორგანიზმი და მის შექმნას შეეწირა.

უკანასკნელ რვა საუკუნის განმავლობაში ერი ფიზიკურ გადარჩენაზე ფიქრობდა და კულტურული პოტენცია აქ გაიშალა.

შესაფერი პირობები თუ შეიქნება კულტურული განვითარებისათვის (უკვე იქმნება) ერის ენერგია შემოქმედებაში გადავა. ეს მე მჯერა და ამისათვის ძველს დაუბრუნდეთ, როცა ერი მთლიან ორგანიზმს წარმოადგენდა და გარეშე მტრებიდან თავისუფალი კულტურულ განვითარებას იწყებდა.

ამის დასამტკიცებელი შეიძლება მრავალი რამ იყო, მაგრამ დაიღუპა უკვალოდ, როგორც ისნის სასახლე.

მე ის თბილისი ვერ წარმომიდგენია, სადაც თამარ მეფე სცხოვრობდა. დაგვრჩა: ტაძრები, ციხეები და „ვეფხვის ტყაოსანი“.

საერთოდ არა ვარ მომხრე ისტორიით განებივრებისა. მჯერა, რომ ყოველ ისტორიულ ეპოქას თავისებური ხალხი ჰყავს და სხვას არ შეუძლიან გადასულ ეპოქას მისწვდეს თავისი შინაარსით. მაინც უდავო მგონია, რომ სა-

ქართველობაში არაბეთის შემოსვლამ ხელი შეუწყო ეროს ეტნოგრაფიულად გაერთიანებას და დიდი კულტურული გავლენა მოახდინა ეროს შემოქმედებითი პოტენციაზე.

არაბების წასვლის შემდეგ იწყება საქართველოს თვითყოფა და საკუთარი სახის გამოძერწვნება.

როდესაც ამ ნასუფრალ სახეს ხედავ მაინც გაოცებს მისი შინაგანი სიძლიერე.

თუ გავითვალისწინებთ იმ შრომას და ენერგიას, რომელიც ყოველ მაღლობზე აზიდულ ციხეს და მონასტერს დასჭირდებოდა — საქართველოს სახე და ნებისყოფა გაგვაკვირვებს.

როდესაც ამ ციხეებში შევდივართ და მონასტრების ფრესკებს, გადაცვეთილ ჩუქურთმებს და გაშლილ თაღებს თავს შევაფარებთ, ვგრძნობთ ეროს სულს და იმ ძლიერ გაქანებას, რომელიც უნდა ჰქონოდა იმ კაცს, პირველად რომ ჯვარში ავიდა და იქ სცადა მონასტერის აგება.

მინახავს მრავალ საოთულიანი შენობები თანამედროვე დიდი ქალაქების, ათასი საოცარი ტეხნიკური მიღწევანი, მაგრამ ეს თითქოს არაფერია, როცა მცხეთის სვეტი ცხოველში შევდივარ და ბაგრატის ტაძრის ნანგრევებს ვიგონებ.

მე თუ ვახსენე ტაძრები და ციხეები, მხოლოდ იმიტომ, რომ „ტაძარი — ეს უსახელო და უნებლიეთი ქმნილებაა, ალმოცენებული შშობლიურ მიწიდან, მისი ყრმა კაცობრიობიდან, მისი საშოდან გადმოხეთქილი. ის არ არის პირადული, შემეცნებითი კონცეპცია, რომელიც წარმოსდგება ხელოვანის და პიროვნების სურვილით".

ეხლა ძველის მოგონება არ გვარგებს, მით უმეტეს თუ მას არ შეუძლიან თანამედროვეებს მისცეს სინოყივრე, ახალი აზრი და ენერგია შემოქმედებისათვის.

მთავარი ის არის. რომ გავიგოთ, არსებობს თუ არა დღეს ქართველ ეროში იმავე სიძლიერით კულტურული პოტენცია, რომელიც იყო ძველად.

აქ შეიძლება დაეჭვება ისევე, როგორც თანამედროვე კაცობრიობის ყოველ კულტურულ დაწყებაში.

ერთის თქმა შეიძლება გადაჭრით: თუ ეხლა არ მოხდა ორგანიული გაერთიანება ახალ ეპოქალურ კულტურის ნიადაგზე, ისე კულტურულ საწყისს საქართველო ვერ მონახავს და ისაზრდოებს პატრიოტული რომანტიზმით და უნიადაგო ისტორიზმით მანამდის, სანამ გადაგვარებაში, ან ფიზიკურ მოსპობაში არ გადავა.

სცადეთ და უშიშრად ჩახედეთ ქართულ სინამდვილეს. ნახავთ რომ ჯერ არ მომხდარა სინტეზი იმ კულტურული ნაწილების, რომელსაც ეტნოგრაფიული ერთეულები გრძნობენ თავის სხეულში. სანამ ეს არ მოხდება, ყოველი კულტურული მოვლენა ქართულ ხელოვნებაში იქნება შემთხვევითი და განწირული. თვით ხელოვანი კი — სამშობლოსათვის.

*

* *

კულტურულ განვითარების გზაზედ დამდგარ საქართველოს გაქანების საუკეთესო ნიმუში არის შოთა.

შოთამ შესძლო ქართული სულის რეალური სახით მოცემა. ამიტომაა ძვირფასი ყველა ქართველისათვის „ვეფხვის ტყაოსანი". „ვეფხვის ტყაოსანში" მოცემულია სინტეზი ერის ეტნოგრაფიული ერთეულების კულტურული პოტენციისა, რასაც ბოლოს და ბოლოს დაერქმევა ქართული კულტურის ენერგია.

შოთას ვეფხვის ტყაოსნით ქართველი ადამიანისათვის არაფერი ახალი არ უთქვამს, არც მიზნები დაუსახავს. შოთამ მხოლოდ დაიჭირა მთავარი საწყისები სულის, ისეთი ფორმით და მოხერხებით დაალაგა, რომ „ვეფხვის ტყაოსანში" ჩვენ ვხედავთ ჩვენს ორეულებს, რაც ბოლოს საკაცობრიო ხედვაში გადადის. „ვეფხვის ტყაოსანი" დღესაც გამართულია. ამის შემდეგ ჩვენ ვნახეთ თუ კულტურული გამძლეობის საშუალებით, როგორ გადაირჩინა ერმა თავი ფიზიკურ განადგურებიდან.

ეს იყო ხმალის პერიოდი ქართულ ისტორიაში რვა საუკუნის მანძილზე.

ხმალის გადატეხის შემდეგ მწერლობამ იგრძნო ის, რი-

თაც სოცხლობდა ხალხი ამ რვა საუკუნის მანძილზედ. დაიწერა „ლალატი“.

ჩვენი დღევანდელი სინამდვილისათვის „ლალატი“ მიუღებელია. ის არის ლიტერატურის ისტორია ისევე, როგორც გრიგოლ ორბელიანის ან სხვათა ლექსები. მაგრამ „ლალატი“ რომ მთელი ეპოქის კულტურული გამოსახულებაა ეს მჯერა. ჩვენს სცენას დღეს „ლალატი“ აღარ სჭირდება.

გარეგნულად გადაკეთებული, იგი უნდა დაუბრუნოთ სულეიმან ხანების მშრომელ ხალხის სცენას, სადაც დასავლეთის იმპერიალიზმი აღმოსავლეთით ნებივრობს.

ეს იქნება ახალი სიტყვა აღმოსავლეთის კულტურისათვის. და თუ ეს ახალი საქართველოს გარეთ არ გადის, ამის მიზეზი სხვაგან არის და არა ქართული ტვინის სიმშრალეში.

„ლალატით“ დამთავრდა მთელი ლიტერატურული ეპოქა. კულტურული პოტენცია შემდეგ პოლიტიკური მოღვაწეობის ფონზე გაიშალა. კულტურის ასეთი მიმართულება სრულიად ბუნებრივი იყო მცირე რიცხოვან ერისათვის. თავისუფლების მოპოვებისათვის მამა-პაპეული ხმალი აღარ გამოდგებოდა.

ერთად-ერთი გზა იყო — საერთაშორისო სამართლიანობის დაცვისაკენ. ხალხმა ინსტიქტიურად იგრძნო აღებული გეზის სისწორე და არ გაჰყვა ინტელიგენციის პატრიოტულ რომანტიზმს. ინტერნაციონალური მიზნის მისაღწევად საქართველოს ხალხი არ ზოგავდა საუკეთესო შვილებს.

საქართველოს როლი ამ უკეთილშობილეს ბრძოლაში ყველამ კარგად იცის და სიტყვას არ გავაგრძელებ. ვიტყვი მხოლოდ: ალბად ოდესმე დაიწერება საერთაშორისო პოლიტიკურ მოღვაწეთა ისტორია, რომლებიც იბრძოდენ საუკეთესო მერმისისათვის. და მე მიხარია, რომ საქართველო ამ ისტორიაში უკანასკნელი არ იქნება.

მე მგონია რომ რევოლიუციის დროს კულტურული პოტენცია ხელოვნებით კი არა პოლიტიკური მოღვაწეობით უნდა გაიზომოს.

თუ ეს მართალია ისიც მართალი იქნება, რომ საქართველოს კულტურული პოტენციის გაშლა ხმალის გადატეხის შემდეგაც არ შეწყვეტილა. საქართველოს სინოყივრემ მრავლად დააგროვა საზრდო ახალი გაქანებისათვის. აქ არამც თუ მშრალი მეტად დამბალიც კი აღმოჩნდა.

*

* *

შეიძლება ეხლა ამ რევოლიუციონური პათოსის შემდეგ ამოშრა ქართული საშო და ამიტომ არის ასე უაზრო და უნაყოფი ქართული შემოქმედება?

მოკლედ რომ ვთქვათ: შეიძლება საქართველოს მომავალი აღარა აქვს და უშვილოსნობას თან გადაჰყვეს?

თუ გადაჭრით მივიღებთ საქართველოს მომავალის საკითხს და ვიტყვით: საქართველოს მომავალი არა აქვს მაშინ ჩვენ მოქმედებას და საერთოდ არსებობას მხოლოდ ინსტიქტით თუ გავამართლებთ.

ასე არ არის. საქართველოს მომავალი ჩემთვის ნათელია. ჩვენი მომავალი ბევრი ერისათვისაც იქნება კულტურული განვითარების საზრდო, განსაკუთრებით მცირე აზიაში. თვითონ მომავალი ასე მესმის: თუ ხალხმა ვერ დაასრულა თავისი კულტურული საწყისების სრული განვითარება, თუ ხალხში კიდევ დარჩა სასიცოცხლო ენერგია უთუოდ უნდა გადავიდეს კულტურულ შემოქმედებაში.

თუ ერს არა აქვს აწმყო, რომელიც არის გადასულ კულტურის და მომავალის ბრძოლის შედეგი, ის შეეცდება წარსულის დაბრუნებას, და თუ ერი ამ გზას დაადგება—ეს მოსწყდება ამწყოს და გაჰყვება თანდათან გადაგვარების გზას.

დღევანდელი კულტურული საქართველო ასეთი პრობლემის წინ სდგას. მთელი ენერგია იქით უნდა იქნეს მიმართული, რომ ქართული კულტურის პოტენცია არ წარმოვიდგინოთ ევროპის კულტურის ორბიტში და მის პარალელად. თუ ეს ვერ შევძელით ვიგრძნობთ სიმშრალეს და ყოველ ჩვენ შემოქმედებაში დავეჭვდებით.

ქართული კულტურის ძირი აზიაშია. პოტენციის გაშლაც ამ ფონზე უნდა მოხდეს. თუ ასე ვიგრძნობთ საქართველოს — ევროპა აღმოჩნდება ამომშრალი. ევროპა თავის კულტურის განვითარების ახალ თემებს ჩვენში ეძებს. ევროპის ცივილიზაციაზე ხელის აღებით იწყება საკუთარი თავის აღმოჩენა. ე. ი. საბჭოეთის კულტურის დაწყება.

ბევრს არ ესმის, თუ რას ნიშნავს საბჭოთა კულტურა და საერთოდ ვერ წარმოუდგენია ასეთი კულტურის არსებობა. ისტორიას არ შევეცილები და ასეთ ხალხს არ დავარწმუნებ.

ჩემთვის ცხადია ახალი კულტურის დაწყება საბჭოეთის ნიშნით. თუ საქართველომ ამის გაგება ვერ შესძლო — დარჩება ერთი გზა — გადაგვარებისა.

საბჭოეთის კულტურა ჯერ-ჯეროობით ორ რკალში ვითარდება. პირველი: უარს ჰყოფს საერთაშორისო გაგებით შრომის ექსპლოატაციის პრინციპს და მოითხოვს — ყველა მშრომელმა მიიღოს კუთვნილი ნაწილი დაგროვილ და ბუნებაში არსებულ სიმდიდრიდან. მეორე: ამ სრულიად ახალ სახელმწიფოებრივობის შემეცნებისათვის იღებს ინდუსტრიის ზედმიწევნით განვითარებას კოლექტიურ საფუძველზე.

ამ ორი მთავარი პრინციპის მიღებიდან შეიძლება დაიწყოს ახალი კულტურის ნიადაგზე ჩვენი პოტენციის გაშლა შემოქმედებაში.

ეროვნულმა სხეულმა უნდა იგრძნოს ამ ახალი ეპოქის ორი მთავარი საწყისი ისევე, როგორც ამას გრძნობდა მაშინ, როცა მტკვარის ნაპირიდან ნარიყალაზე ქვები აჰქონდა.

ხშირად ისმის საყვედური. თუ ამდენს რად ლაპარაკობენ ზაჰესზე მისი მოყვარულნი. მე მგონია კიდევ მეტი სიყვარულია საჭირო. მართლა ფეტიშად უნდა გახდეს ასეთი საქმიანობა და ამან უნდა მიიღოს ხალხური ხასიათი.

მჯერა — ასე მოხდება, რადგან დარწმუნებული ვარ საქართველოს მომავალში. ასე მესმის ახალი კულტურის ორი საწყისი. ამ ფონზედ უნდა გაიშალოს კულტურული

შემოქმედება (ხელოვნება). ხელოვნების ყველა დარგს ასეთი გაგება უნდა დაედოს საფუძვლად.

და აქ მჯერა საქართველოს მომავალი.

ასე ვრცლად თუ ვისაუბრე ამ ორ საწყისზე მხოლოდ იმიტომ, რომ ახალი კულტურის ყველა მიმართულებები ამ ორ ძირზეა დამყნილი. ვინც ამ ძირს ვერ განიცდის ის შეიძლება დიდათ კეთილშობილი იყოს კულტურულად, როგორც პიროვნება, მაგრამ ახალი კულტურის შემოქმედებისათვის არ გამოდგება.

გამოდგომის საკითხი აგერ ექვსი წელიწადია აწვალებს ჩვენს ხელოვნებას. სიმშრალე ეტყობა ხელოვნებას და არა ერს. ერის კულტურული პოტენცია გასაოცარი სისწრაფით ვითარდება (ამას მხოლოდ დანახვა და შეგრძნობა უნდა). ხელოვნება და განსაკუთრებით პოეზია უკან უკან მიდის. შეიძლება ამის მიზეზი უცხო საშოთი აღზრდილი ინტელიგენტობა იყოს, შეიძლება — ხელოვნების საერთო კრიზისი. არც ერთ შემთხვევაში უკან მავალი ხალხი ჩვენი კულტურული ენერგიის გაშლისათვის არ გამოდგება. გადაჭრით შეიძლება ითქვას: დღეს ქართული ხელოვნება არ არსებობს. არის უნიჭობა, მიბაძვა, პროვინციალიზმი.

ხელოვნების ხალხს გზა აებნა ძველი გამოეცალა, ახალი ვერ გაიგეს. ამ უგზო და გაუგებარ შემოქმედებას კი ხალხი არ იღებს. აქ იწყება კრიზი ქართული ხელოვნების. ისმის აშკარად უნიჭო მელექსეობა, დამბლა დაცემული ქართული და გაცვეთილი სიუჟეტით დაწერილი პროზა. ყველა რეგვენის თავის-თავზე დიდი წარმოდგენა და წაკითხულ წიგნებით თავ გასიებულთა უნიადაგო მიდებმოდება.

ეს ის ხალხია, ხელოვნება რომ სუსხიან ზამთარში საბნად წარმოუდგენია.

აქ მართლაც დაეჭვდება კაცი.

მაგრამ მჯერა, რომ მოვა თაობა, რომელიც ერის საშოს ამომშრალად არ იგრძნობს, შეამჩევს იმ ძლიერ გაქანებას, რომელსაც განიცდის საქართველო და ამ ენერგიას მისცემს ფორმას ხელოვნურ სახეებში.

ახალი კულტურის ახალმა ხელოვანმა უნდა აიღოს ხელი დასავლეთზე და შინაგან ძალას დაეყრდნოს.

საქართველო თუ ამ გზით განავითარებს თავის ხელოვნებას — გაიშლება მთელი აღმოსავლეთი ქართულ სულში გატარებული.

მჯერა, ჩვენი კულტურის განვითარება გარეშე მიზეზებით, რომ შეწყდა, ისევ შეეზრდება ერის სხეულს და ახალი ეპოქის მიზნებით გადაუვლის საუკუნეებს.

შეიძლება მივიდეთ შოთასთან, მაგრამ ილიას კი საქართველო ვერ გაიმეორებს.

1927 წ. იანვრის 12-14.

ნიკოლოზ მიწიშვილი

ჩემი ასახვები

1.

მე დანამდვილებით არ შემიძლიან ვსთქვა, როდის და როგორ მომივიდა აზრათ ჩემი წერილის გამოქვეყნება. ერთი კია, რომ დიდი ხანია ვგრძნობდი იმ წერილების გამოქვეყნების საჭიროებას, რომელიც მომიწერია უცხოეთიდან ამ უკანასკნელ წლებში სხვადასხვა პირებისათვის. ეს საჭიროდ მიმაჩნდა იმიტომ, რომ ყოველი ჩემი წერილი ეხებოდა ერთ: საკითხს — საქართველოს. და ეს კითხვა ამ ბოლო ხანებში მეტისმეტად აწუხებს ყოველ ქართველს, რა წრესაც არ უნდა ეკუთვნოდეს იგი.

უცხოეთში ადამიანი ბევრ რამეს სულ სხვანაირად ხედავს, ბევრი რამ სულ სხვანაირად ეჩვენება და თითქო სულ სხვა საზომი ჩნდება ამა თუ იმ მოვლენათა შეფასების დროს.

განსაკუთრებით მწვავეა უცხოეთში ფიქრი საშშობლოზე, კერძოდ — პატარა ქვეყნის შვილისთვის, და მწვავეა ეს ფიქრი მით უმეტეს, თუ ხედავ, რომ შენი ქვეყნის ბედი ქანაობს რალაც უცნაურ საბედისწეროო „საქანელაზე.“

ასეთ მდგომარეობაში ვიყავი მე უცხოეთში 1922 წლიდან და ეს მთავარი ხაზი ჩემი განწყობილებისა ნათელი იყო ყველასათვის, ვისაც მე უნახავარ იმ ხანებში. ევროპაში დარჩენილი ქართველობა მე კარგად მიცნობს და მრავალი შეხვედრა, რომელიც მე მქონია მასთან, გამოწვეული და სავსე იყო სწორედ ამ „ფიქრებით საქართველოზე“.

ამ ფიქრებმა შემატაკა მე ქართველ ემიგრაციას უცხოეთში და ქართველ საზოგადოების ერთ ნაწილს აქ, სა-

ქართველოში. ამ შემთხვევაში მე გადამძლია პოლიტიკურმა მომენტმა, ვინაიდან შეუძლებელია მარტო აკადემიური მსჯელობის ფარგლებში დარჩენა ისეთ დროს, როცა მდგომარეობა მოითხოვს მოქმედებას, აქტივობას და ფიქრების რეალიზაციას. მაგრამ ვინც წაიკითხავს ამ წერილს და საზოგადოდ ყველა იმას, რაც მე დამიწერია, მოიგონებს, რომ ჩემს მოქმედებას ყოველთვის ახასიათებს მხოლოდ გულწრფელობა და პრინციპიალური იგივეობა ჩემს აზროვნებასთან. შემთხვევით მიზეზებს მე არასოდეს არ გავყოლივარ.

და რასაკვირველია, არც ის მოვლენაა შემთხვევითი, რომ ჩემი დამოკიდებულება საბჭოთა საზოგადოებრივობის გადალმა მდგარ წრეებთან შეუერიგებელია და ამავე დროს კომუნისტურ პარტიისათვის კი მაინც უპარტიო მოქალაქედ ვრჩები.

ბევრისათვის ეს ამბავი, რომ მე, არა კომუნისტი და ქართველი პატრიოტი, შევები არა კომუნისტებს და თითქოს ქართველ პატრიოტებსავე, გასაკვირველი იყო და მგონი დღემდე ასევე გეუგებარი რჩება.

თავისთავად მე, შეიძლება დიდათ არაფრით განვირჩეოდე ჩემი თაობის სხვა ინტელიგენციისაგან. მე ჩვეულებრივი საშუალო ინტელიგენტი ვარ, მაგრამ მე მგონია, რომ თანამედროობისა და ისტორიისათვისაც სწორედ ისაა საინტერესო, თუ რა აწუხებს ამ საშუალო ადამიანს, რა უნდა მას, საით მიისწრაფვის და რას წარმოადგენს იგი ამა თუ იმ ისტორიულ პირობებში. ამ თვალთახედვით თუ მე, როგორც ადამიანი და მოქალაქე, რაიმე ინტერესს წარმოვადგენ, — საინტერესო ვარ სწორედ ამ ტიპიურობით, იმით, რომ მე ვარ ჩემი ეპოქის ცოცხალი, აფართხალებული დოკუმენტი.

ჩემი „ფიქრებიც საქართველოზე" არის ეპოქის დოკუმენტი. იმ გვარივე დოკუმენტი, როგორიც ვარ თვით მე ჩემის მოქმედებით, შემოქმედებით, მთელი ჩემი განწყობილებით.

როგორც ტიპიური ქართველი ინტელიგენტი, როგორც ერთგვარი სოციალური კატეგორია, თუ ამ კატეგორიის

ნაწილი, მე კარგა ხანია ავადა ვარ. ამ ტკივილით შემოვიარე დასავლეთი, დაუბრუნდი ჩემს მიწა-წყალს ამ ტკივილით და რა ჩემი ბრალია, თუ მან ამახმაურა და ამაღელვა?

მაგრამ ბევრისათვის ეს გრძნობა მაინც გაუგებარი შეიქმნა, ბევრმაც მისი ჭეშმარიტად გაგება არ მოისურვა, ზოგმა კიდევ მომთხოვა ამ გრძნობის დასაბუთება და უარესი გამარტივება.

გამოდის, რომ ავადმყოფიც მე ვარ, ექიმიც მე ვარ და წამალიც მე ვარ.

ძნელია.

მაგრამ ხდება უარესიც.

2

ბოლოს და ბოლოს რა არის ჩემი „ფიქრები საქართველოზე“ და რისგანაა ის გამოწვეული. მე ხომ მარტო არ ვფიქრობ ასეთ ფიქრებს და მარტო მე ხომ არა ვარ ასეთ მდგომარეობაში? ინტელიგენციის წრეებში ბევრია ჩემისთანა და ეს მოვლენა სოციალური ხასიათის მნიშვნელოვანი საკითხია არა მარტო რუსეთსა და საქართველოში.

მე შევეცდები სქემატიურად შემოვხაზო ის მიდამო, რომლზედაც წარმოიშვა მიზეზი ასეთი განწყობილების

მე19 საუკუნის მფლობელი იდეები, რომლებზედაც აღიზარდა ჩვენი თაობა, ინტენსიური ხმარებისაგან ისეთ წინააღმდეგობათა ხვეულებში გაება, რომ წარმოშვეს აუცილებელი კატასტროფა: დიდი ომი მსოფლიოში და დიდი რევოლიუცია რუსეთში.

ომმა და, განსაკუთრებით რევოლიუციამ, მოითხოვა ახალი ლოლიკა. ეს ლოლიკა შემუშავდა, როგორც აუცილებლობა, მაგრამ ადამიანის ფსიხიკა, მისი ფიზიოლოგიური სტრუქტურა ვერ შეიცვალა.

ადამიანს სჯერა, რომ გუშინდელი ცნება საათობით კარგავს თავის მნიშვნელობას. ადამიანი, რომელიც მოწამე იყო წარსული საუკუნის იდეათა უმაღლესი მიღწევების და რომელიც ამავე დროს მოესწრო დღევანდელ ხანას, ეს ადამიანი მნიშვნელოვნათ შეიცვალა. მან შეიგნო ახალი

ეპოქის მიუცილებლობა, ბევრი რამ შეითვისა; ის თითქოს სავსებით „გარდაიცვალა“, მაგრამ ამავე დროს ის დარჩა როგორც ცოცხალი ისტორია, როგორც ქრონიკით გადაბეჭდილი გაზეთის სვეტი. მაშასადამე, მასში, მრავალი უჯრედი ჯერ კიდევ ავსებულია სწორედ იმ გადასული, გუშინდელი გრძნობითა და ფაქტებით.

თანამედროვე ადამიანმა იცის, რომ ის მოსწყდა ისტორიას, წარსულს. სჯერა ისიც, რომ ეს აუცილებელი იყო, მაგრამ წარსულის ცოდვებით დატვირთულს, მას ხშირად ერევა მომავლის პერსპექტივა და ხშირად, ასეთი გაქანებული ტემპის დროსაც კი, თვალს გადაკრავს ხოლმე უკვე შორს დარჩენილ ნაპირებს. ჭკუა მას აჩერებს უკან დახევისაგან, ცხოვრებაც მიერეკება წინ, მაგრამ... მაგრამ — ეს ძველი ბარგი!.. რა უყოს ადამიანმა მას, რომ დაბადებიდანვე მიზრდილია მის ზურგზე, როგორც კუზი...

ამდენხანს ამ კუზის გამსწორებლად მხოლოდ სიკვდილი ითვლებოდა. მაგრამ სიკვდილამდე ხომ სწვალობ, სიკვდილამდე ხომ ფართხალობ ადამიანი ამდენ წინააღმდეგობათა ხვეულებში!

დაახლოებით ასე ხდება გაორება თანამედროვე პიროვნების, ასე იწყება ბრძოლა საკუთარ თავთან და დგება სულიერი კრიზისი ასეთ ნაირად.

ასე იღუპება გარდამავალ ხანაში ადამიანი. იღუპება წარსულისათვის. იღუპება მომავლისათვის.

აქ მთელი საკოდაობა ტრიალებს და რა ჩვენი ბრალია თუ ამით აივსო ჩვენი თაობის შეგნება, განცდა, მთელი მისი აფორიაქებული სიცოცხლე?!

3

ამ ზოგად პირობებს ზედ ერთვის ქართული სპეციფიური სირთულენი.

თუ ევროპაში აზროვნების დისციპლინა ისაზღვრება ლიდი ისტორიული პერიოდებით, თუ რუსეთში იგი და მისი რეგულატორი — სოციალური ბაზისი, ასე თუ ისე ხორცშესხმული იყო და მიუხედავათ ამისა ომმა და რევოლიუციამ, როგორც ევროპაში, ისე რუსეთშიაც ყველაფე-

რი ყირაზე დააყენა, — რა მდგომარეობა უნდა შექმნილიყო აქ, საქართველოში, სადაც სახელმწიფოებრივობის ტრადიციები ათვისებული გვქონდა, როგორც რომანტიული ამბავი, მეცნიერული დისციპლინა არ არსებობდა სრულიად, ხოლო საზოგადოებრივი აზრის მთავარი ლერძი ბრუნავდა ეროვნული მომენტის უარისმყოფელ მოძრაობის ენერგიით?

და როცა ასეთნაირად არეული, მოუშუშებელი და მიუმკვიდრებელი სოციალურ — კულტურული ცხოვრება გაეხვია ომისა და რევოლიუციის შემთხვეულებათა ქაოსში — ცხადია, არავითარი მთლიანი იარალი ჩვენ ხელში არ შეგვრჩა და რასაკვირველია არ შეგვრჩა არც სალი, მთლიანი აზროვნება.

ამიტომ ადვილი ასახსნელია, რომ, როცა ცხოვრებას ოდნავ დაწყნარება დაეტყო და ერის მოაზროვნე ნაწილი მდგომარეობის შეფასებას შეუდგა, მან დაინახა, რომ ბევრი რამ ჩვენ სრულიად არ გვქონია, ბევრი რამ თავიდან ყოფილა დასაწყები და თავიდან ყოფილა დასაწყები აგრეთვე ფიქრებიც საქართველოზე.

ეს უკანასკნელი ფიქრი ჩვენს ქვეყანაში ყველაზე უსხეულო, უდისციპლინო თვისების იყო, შეიძლება იმიტომ, რომ ის იყო ყველაზე უფრო სტიქიური, მოუსაზრებელი და ზომიერებას მოკლებული ფიქრი. ხოლო ლიტერატურაში მისი განვითარება ხდებოდა პარადოქსალურის გზებით.

4

ასეთ მერყევ და ატორტმანებულ ნიადაგზეა აღმოცენებული ჩემი „ფიქრებიც საქართველოზე“.

ჩემს წერილსაც ზევით ნახსენები სტიქიურობა ახასიათებს. იგივე წუხილი, იგივე სიყვარული და პარადოქსალობა, როგორიც სუფევდა ამ კითხვის გარშემო ჩვენს ცხოვრებასა და ლიტერატურაში.

ვინ იტყვის, რომ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, არჩილ ჯორჯაძე, ნოე ჟორდანია, მიხ. წერეთელი, გრ. რობაქიძე, გეროლტი ქიქოძე და ბევრი კიდევ სხვა არ იყ-

ვნენ სიყვარულით მაფიქრალნი საქართველოზე. მრავალი საზომით შეიძლება მათი აზროვნების შეფასება და შეიძლება კიდევ უარყოფაც, მაგრამ მათი, ხშირად „მელანქოლიური შენიშვნები" საქართველოზე, ხანდისხან ზედმეტის რადიკალობითაც გამოთქმული, არ შეიძლება ახსნილ იქნას იმით, რომ ისინი უარყოფდენ საქართველოს.

და თუ ამ იჭვიანობას, და ზოგჯერ გადაჭარბებულ სკეპტიციზმს, საქართველოს მიმართ ადგილი ჰქონდა ისეთ მშვიდობიან დროს, როცა საკითხი „საქართველოს ბედის" არ შეიძლებოდა ისეთის ენერგიით და სიმკაცრით დასმულიყო, როგორც დღეს — ნუ თუ გასაკვირვალი უნდა იყოს ვინმესთვის, რომ ეხლანდელ გარდატეხათა ხანაში გაისმას გამაფრთხილებელი და ჩამაფიქრებელი ხმა ჩვენი რაობის, ჩვენი ყოფნის ჩვენი ისტორიული ბედის შესახებ, რომლის გამოსწორება, შესაძლებელია, ისტორიამ ჩვენს თაობას არგუნა?

არა, უდროვო არ არის დღეს ფიქრები საქართველოზე და მავნე არ არის ისეთი ფიქრებიც კი, როგორიც მე ვიფიქრე თავის დროზე.

გზის ძებნა და იჭვიანობა, საკუთარი თავის კრიტიკა და მეტის სურვილი — ეს არაა პესიმიზმი. ახალგაზრდობა უნდა აღიზარდოს ამ ძიებისა და აზროვნების ატმოსფეროში.

მხოლოდ ასე გავმართავთ ჩვენ საქართველოს გზებს.

მხოლოდ ასე შევიგნებთ და შევიგრძნობთ ჩვენს რაობას.

ასე შეუქმნით და უანდერძებთ მომავალ თაობას საკუთარი თავის შეგნებისა და საღი ეროვნული აზროვნების რაობას.

ამ დიდსა და საკვალდებულო განძს, რომელიც ვერ დაგვიტოვა ჩვენმა „მამებმა" და რომლის გამოჭედვა ასე გვიძნელდება, აწ უკვე დავაჟკაცებულ მათ შვილებს.

ეხლა გადავალ აქ დაბეჭდილ ავტორების საპასუხო მსჯელობაზე და ამავე დროს შევეხები ჩემი წერილის ფაქტიურ მხარეს.

ამ წერილში ერთია ერის „ბედის“ საკითხი, რომელიც ეხება, ასე რომ ვსთქვათ, ერის განვითარების „გეოლოგიურ“ მხარეს. მეორე არის საილუსტრაციო მასალა, ნაწილობრივ თანამედროვე ჩვენს ყოფასთან დაკავშირებული, თუ მოცემული ამ ყოფის მიერ.

როგორ ეხატება თანამედროვე ქართველ კაცს საკუთარი ქვეყნის ბედი, როცა ის გადახედავს ქერთულ ისტორიას?

ძალიან ცოტაა ამ ისტორიაში სასიხარულო.

იქ არის უდიდესი მაგალითები გმირობისა და კეთილშობილების, პათოსისა და მაღალ ნიჭიერების. ჩვენს ისტორიას ახსოვს ადამიანის თვისებათა განმაცვიფრებელი საამაყო ეპიზოდები. ნიმუშები ქართულ სიტყვის, ხუროთმოძღვრების, მხატვრობის, მუსიკის ყოველს ჩვენგანს შეუძლიან გადმოალაგოს მრავალი. არის სახელები ძველი ქართველების, რომელთაც სწამდათ საკუთარი ქვეყნის მოწოდება, რის სანიმუშოდ საკმარისია თუნდაც „ქებაი ქართულისა ენისაი“. ნიკო მარის იაფეტიდური თეორიისაგან გამომდინარე დასკვნები ბევრისათვის შეიძლება საამაყო საბუთად გამოყენებულ იქნეს ყოველ კამათში. კიდევ ითქმის ბევრი რამ, რისი გამეორებაც ამ შემთხვევაში არ იქნებოდა გამართლებული და მიჩნეული დიდი ტაქტისა და გონიერების მაჩვენებლად.

მაგრამ —

ყოველივე ამის შემდეგ მაინც მართალია ის, რომ ქართული ისტორია არის არა მთლიანი ქანდაკება, არამედ ორგანიულ მთლიანობას მოკლებული მოზაიკა, სხეული, რომელიც, როგორც ბურთი, მართლაც გაჰქონდა და გამოჰქონდა „მის გარეშე მყოფ ძალას“.

შეიძლება მიზეზი ამისა იყო, სხვათა შორის, ის უხეირო გეოგრაფიული მდგომარეობა, რომელიც ჩვენ გვიკავია დღემდე, ან ისა, რომ „საქართველო იყო მარტო ხიდი“ და როზაქიძის სიტყვებით რომ ვსთქვათ — „სისხლშერეული სხეული“...

ჩვენი ისტორია დანაყულია, დაჩეჩქვილი. შემთხვეულებანი ამ ისტორიისა ორგანიულად დაუკავშირებელ კუნძულებათ მოსჩანს საუკუნეთა ატორტმანებულ ზღვაში. ეგ ისტორია „დიდსა ქვაბში არ ეტია, პატარაში არ კმარიყო“, როგორც ქართული ანდაზა ამბობს.

6

გრ. რობაქიძის აზრით ასეთ ნაირად იხატება „ძველი იბერიის რასიული ელემენტი, რომელიც აწინდელ საქართველოში ყველაზე უფროა გამახვილებული“:

„ჩვენ გვიყვარს „სემიტური გამოჩენა“, მაგრამ ჩვენ არიული „გამოჩენაც“ გვიყვარს. „ლაღაგადასმულობის“ დასაწყისს ჩვენს ბუნებაში ეომება პრინციპი „აზნაურობის“. ჩვენ ხშირად გვძლევს ხოლმე წვრილმანობა, მაგრამ ხშირად გვაჯადოვებს რაინდული „ხმალში გამოწვევა“; ჩვენ „მეწვრილმანებიცა“ ვართ და „რაინდებიც. ქართველი კაცი „ლაქიაც“ არის და „მეფეც“; „ჟულიკიც“ და „არისტოკრატიც“. ქართული ყოფა ფუნქციონალურია. საქართველო არის და კიდევაც არ არის. მას არ სჯერა თავისი თავის და სურს სხვა იყოს. ქართველი გაურბის თავის-თავს (ცუდს), რომ ნახოს თავის-თავი (უკეთესი). ამიტომ ისმება საკითხი: ან თავის-თავის მონახვა, ან სრული დალუპვა. გზა ხსნილი არ არის სხვა“. („ბარიკადი“ № 1).

ასე სწერდა გრ. რობაქიძე 1920 წელში.

ძნელია ამ ფიქრების ოპტიმისტურად გამოჩენა. ყოველ შემთხვევაში ძნელია სწორედ იმ ისტორიულ საქართველოს მიმართ, რომელსაც დღეს გრ. რობაქიძე ასეთის კმევით იხსენიებს.

საკვირველია, მხოლოდ, რომ 1920 წლის იჭვიანობა ჩვენი ისტორიისა და ქართული ბუნების მიმართ გრ. რობაქიძეს 1927 წელში გაქარწყლებია და მის ფიქრებს, ასეთის უკუხვეულობით, 1927 წ. ძველი საქართველოს აპოლოგიამდე მიუღწევია.

საკვირველი და სამაგალითოა ისიც, რომ ეს აპოლოგია სულ უკან და უკან იხევს და ხუთიოდე საუკუნით შორდება თანამედროობას.

თანამედროვე საქართველოს გრ. როგბაქიძე თითქმის ვერ ხედავს და მასში ვერ ნახულობს ვერც ერთ ფაქტს, რომ სამაგალითოდ მაინც მოიყვანოს თავის წერილში.

ცხადია, საქართველოს რაობის ასეთნაირად დატრიალება თითქმის უარყოფაა უკანასკნელ დროის საქართველოსი და აშკარაა — მომავალი საქართველოსაც, თუ გავყვებით თუნდაც ჭავჭავაძის ფორმულას, რომ არ უნდა ვიტიროთ, „რაც დაკარგულა", არამედ „ჩვენ უნდა ვშობოდ ჩვენი მყობადი და ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს„-ო.

გრ. როგბაქიძის წერილიდან ასე გამოდის, რომ რაც ყოფილა ის „დაკარგულა", გზა გაწყვეტილია. ამიტომ როგბაქიძე თანამედროობას ვერ ამკვიდრებს წარსულზე და მომავალს კიდევ ვერ აშენებს ამ თანამედროობაზე. აწინდელი მომავალის აშენება ცოტნე დადიანის და იაკობ ხუცესის საქართველოზე კი ყოვლად წარმოუდგენელია და მოუხერხებელი.

როცა მე ძველის კრიტიკას ვეწევი და იჭვის თვალით უყურებ წარსულს და შეიძლება მომავალსაც კი, რათა შევითვისო და შევიგნო ერთიც და მეორეც — როგბაქიძე მე უკან მაბრუნებს და, როგორც მამა დაკარგულ შვილს, მეუბნება: თუ რამ იყო — წარსულში იყო, მაგრამ შენ ეს არ იციო.

შეიძლება მე მართლა არ ვიცოდე, რომ გიოტემ სადღაც აქო ქართველი ქალი, მაგრამ საქმე ამაში როდია. საქმე იმ დაქუცმაცებაშია, იმ აღრევაში, რომელიც თან მიყობოდა ყოველ ქართულს წარსულ ისტორიაში.

ის „ლაქია" და ის „მეფე"; ის „ჟულიკი" და „არისტოკრატი"; ის „ლომი" და „რწყილი"; ის „ეშმაკი" და „ანგელოზი"; ის „ნიჭი" და „ყიყვი" — ეს ხომ ფაქტია და ხომ დასაძლევია ეს.

დასაძლევია, რადგან აქამდე ყოველივე ეს აბნელებს, ასუსტებს და სავსებით აქრობს „ეროვნულ გენიას, ეროვნულ იდეას, აზრს, შინაარსს" მთელი ისტორიის მანძილზე და თუ გვინდა,რომ ეს გამოსწორდეს—ამაზე ფიქრი გვჭირდება, საკუთარი თავის შეგნება და ძიება ახალი გზების.

ქართველ პატრიოტად და ისტორიის მცოდნე პირად თავის დროზე მიჩნეული მიხაკო წერეთელი 1925 წლის ივნის'ში პარიზელ ქართულ გაზეთის ფურცლებზე სწერდა, რომ „ჩვენ მუდამ გვაკლდა ნათელი და ძლიერი ეროვნული იდეა", რომ „1918 წლის საქართველო უნდა დალუპულიყო და დაილუპა კიდეც, და რომ „ჩვენ უნდა ვიგლოვოთ არარაობა ჩვენი ეროვნული პოლიტიკური აზრისა"-ო.

უნდა მოგახსენოთ, რომ მე არაფრის გლოვა და არაფრის დაკარგვაც არ მსურს. ახალ საქართველოში მე მინდა განმტკიცდეს არა ისეთი „განწირული" საქართველოს იდეა, რომელიც შარშანდელი თოვლივით ქრება და რომლის მოჭირისუფლეს თითონ იჯერებს, რომ ის უთუოდ უნდა დალუპულიყო, არამედ მინდა განმტკიცდეს იდეა, მტკიცე და შეუდრეკელი, როგორიც არის პრიმატი ამ ახალ საქართველოს მეპატრონე მშრომელი ხალხის და რომელსაც მე მინდა მივაკუთნო იმავე წერეთელის სიტყვები. „მოვა სხვა საქართველო, მის სათავეში იქნებიან ჩვენზე უფრო ძლიერი და გონიერნი."

დღევანდელი საქართველო მე სწორედ ასე ძლიერ ხალხის საქართველოდ წარმოიდგენია და ყოველი ჩვენგანი უნდა ეცადოს, რომ ამ საქართველოში განმტკიცდეს ისეთი შეგნება, რომელიც „დააძმობილებს ტვინსა და მუშტს" იმ „ბიბლის სასწორის დასაყრაზად", რომელიც ასე აწიოლებდა ჩვენს ისტორიას წარსულში, და ეს სასწორი ამ ტვინმა და მუშტმა უნდა გადახაროს არა ისტორიული უკუღმართობის, არამედ გაშლილ, ნათელ პერსპექტივის გზით — შრომისა და მშვიდობიანობის მხარეზე.

სწორედ ამიტომ დგება საკითხი: ან თავის თავის მონახვა, ან სრული დალუპვა და, როგორც გრ. როგაქიძე სამართლიანად აღნიშნავს, — „გზახსნილი სხვა არ არის".

გრ. როგაქიძე აქ მართალია, მაგრამ გრ. როგაქიძე მე-17 საუკუნეში ურტყამს წერტილს და როგორ გნებავთ, რომ

ამ წერტილის, თუ განცვიფრების ნიშნის შემწეობით „გავ-ხსნათ“ სამასი წლის სიმძიმით ჩაბარიკადებული გზები?

ჩვენი დროის კაცი ამ სიგრძე გზას ჯერ-ჯეროობით ვერ გადაახტება, რომ დაებჯინოს გრ. როზაქიძის მიერ დასმულ წერტილს, ხოლო ვინაიდან მისთვის სხვა „გზა ხსნილი არ არის“ — უნდა დავსტოვოთ პატივცემული გრიგოლი ამ ნიშანთან და გადავიდეთ უფრო ელასტიურ აზროვნებაზე, საცა არც თუ განცვიფრებითი ნიშანს არ ხმაროობენ — აბრეშუმის ძაფზე გადიან და გამოდიან.

9

ამ აბრეშუმის ძაფზე სეით დევდარიანი დადის.

სეით დევდარიანის წერილში ძნელია რაიმე კონკრეტიული დებულების მონახვა. „მიწიშვილის ფიქრებიო“,— სწერს დევდარიანი, — ვერაა ლოლიკურის თანამიმდევრობით გამართულიო“.

სავსებით ვეთანხმები ამაში მე სეით დევდარიანს. სწორედ ასეთია ჩემი ფიქრები, ვინაიდან ისინი, როგორც დევდარიანი ამბობს, „სტიქიურად მოწოლილი განცდაა“.

შეიძლება მართლა სტიქიურად გავყევი თავის დროზე ჩემ ფიქრებს და მივახეთქე თავი უიმედობას. რომ ამისაგან დროზე არ მებრუნებია პირი და სწორი გზა არ მენახა, გრ. როზაქიძის და სეით დევდარიანის ხელში, როგორც ეტყობა, სულ დავიღუპებოდი.

მაგრამ, რატომ სეითი არ აყენებს საკითხს უფრო ლოლიკურად. რატომ შემჯდარა იგი „ლომზე“, და რისთვის შეუბორკავს მისი მსვლელობა „რწყილის ნაბიჯით“?

მოხერხებულად ატარებს იგი თავის „ლომს“ ჩემი ფიქრების ოლრო-ჩოლრო გზებზე. ხან აუხვევს, ხან ჩაუხვევს, ხან ელასტიურად გადაახტება უხერხულ გორაკს, ხან წყალს ლვინოთ აალივლივებს, ხან კიდევ ვერცხლის ჰანგზე აწკრიალებს ბამბის ქულას...

მაგრამ რა გაეწყობა — „მიწიშვილი არაა მიჩვეული მარქისტულ აზროვნებას და მიწიშვილს მუსიკა ეშლება“.

რა ვქნა პატივცემულო სეით. მეშლება, განა არ ვიცი, რომ მეშლება. მაგრამ ე თქვენც რომ გეშლებათ? და თქვენ

რომ მარქსისტულ აზროვნებაში განსწავლული უნდა გრძანდებოდეთ — რატომ გემართებთ ეს პატივცემული სეითი?

10

ისტორიით მაინც და მაინც არ ამძიმებს დევდარიანი თავის წერილს. მაგრამ ულაკოთ მიაჩნია მას, რომ „თუ წარსული არ ვარგა, შეუძლებელია იქ ახალი საქართველო მოინახოსო“.

მაშასადამე, როგორ გავიგოთ? „ვარგა“ ეს წარსული თუ „არ ვარგა“. შეგვიძლია ისე გავიგოთ, რომ სეითის აზრით არც წარსული „ვარგა“ და არც ახალი. ისიც შეიძლება ვიფიქროთ, რომ სეითის თქმა — „თუ წარსული არ ვარგა“ ნიშნავდეს მას, რომ წარსული „ვარგა“.

კარგი და კეთილი. თუ წარსული „ვარგა“ — უნდა „ვარგოდეს“ ახალიც. მაგრამ თუ კი ეს ასეა, რატომ „ალარ ვარგა“ თანამედროვე ხელოვნება რუსეთსა და საქართველოში, როგორც ამას სხვისი სიტყვებით გვიმტკიცებს დევდარიანი?

აქ არაღაც არეულობა უნდა იყოს, მაგრამ თუ „მიწიშვილის მარჯვენამ არ იცის, რასა იქმის მარცხენა მისი“ — სეით დევდარიანის მარჯვენამ უთუოდ იცის მოქმედება თავისი მარცხენა ხელის.

რალაცაში აქ უთუოდ იჩაგრება მიწიშვილი.

11

სეითი სწერს:

„ამ ფიქრებში არის დიდი ოცნება, დიდი წარმოდგენა საქართველოზე და სულ პატარა, რწყილისოდენა მოლოდინი საქართველოსაგანო“. და იქვე კითხულობს: „მაშ, საიდანაა მისი დიდი ოცნება, დიდი წარმოდგენა საქართველოზე? ის საზრდოობს ძირიდან, მიწაში გადგმულ ფესვებზე და საქართველოს მიწა რომ ფუყე ყოფილიყო, მიწიშვილის ფიქრები იქნებოდა „ენერგია ჭიის, როცა მას ფეხს აჭირებენო“.

მაშასადამე, მე არც ისე უნიადაგო ვყოფილვარ, როგორც ამას ერთი შეხედვით იფიქრებს კაცი. და ეს ნიადაგი კი, სეითის გაგებითაც, ის ნიადაგია, რომელზედაც მე დღეს ფეხი მიდგამს. ეს არის დღევანდელი საქართველოს ნიადაგი, რომელიც თურმე მაძლევს იმდენ პათოსს და საკუთარ ენერგიას, რომ ჩემი ფიქრები არ შეიძლება ჩაითვალოს „ენერგიად ჭიის, როცა მას ფეხს აჭირებენ".

მაგრამ თუ დღევანდელი საქართველოს ნიადაგი ასე მტკიცეა და მკვიდრი, რატომ არ ეუბნება დევდარიანი „შენდობას" იმ „მღვდელს", რომელიც ამ რევოლიუციონურ ნიადაგზე ლოცულობს — რევოლიუციონურ ხელოვნებას. და რატომ იშველიებს იგი ინგლისურ სტატისტიკას ამ უარის შთაბეჭდილების შესასუსტებლად?

მე დამეეჭვა დღევანდელი ხელოვნება. სეითი ამბობს— „რას ბრძანებ, როგორ შეიძლება... აი თუნდ აზრი ერთი კრიტიკოსის, რომელსაც სწამს, რომ რუსეთში ხელოვნება იქნება, მაგრამ ხელოვნებათ არ იჩნევს იმას, რაც არის დღესო".

ამავე დროს ინგლისური სტატისტიკა ამტკიცებს, რომ საქართველოს ეკონომიური განვითარება სულ ზევით და ზევით მიდის.

მაგრამ, თუ ცხოვრება ასე სდუღს და გადასდუღს, ამ ხელოვნებას რალა ღმერთი გაუწყრა. სეითის კრიტიკოსი კი ასეთი კარგი ცხოვრების სარკეს — თანამედროვე ხელოვნებას რალაც მეტად უნუგეშო თვრებში ხატავს: „მას ხელოვნებად არ მიაჩნია ის, რაც არის დღეს". და სეით დევდარიანიც თვალს უქნევს ამ კრიტიკოსს — „ეს ძალიანი სთქვი, ძალიან გამომადექი ამ გაჭირვებაში. თუ არა მე გამიჭირდებოდა მაგის თქმაო". იქვე დასძენს, რომ რა უყოთ — „ამ კაცს სწამს, რომ ოდესმე ხელოვნება უთუოდ შეიქმნება რუსეთშიო".

ასე მეც ბევრი რამე მწამს, მაგრამ მარტო „წმინდაო ღმერთოს" ძახილით ვინ შეიყვანს სასუფეველში!

სეითი ამბობს:

12

„იქნება ეცოტავება მიწიშვილს, იქნება მეტი უნდა, რადგან მეტია მისი წარმოდგენა საქართველოზე. თითქოს ცოტაა მისთვის მთელი ჩვენი წარსული, აწმყო და მომავალი. როცა მეტი გინდა, მაშინ მეტის იმედი გაქვს“-ო.

რისი იმედით უნდა გექნეს კაცს „მეტის იმედი“?

ცხადია, მე მეტი მინდა. როგაქიძის სიტყვით, რომ ვსთქვა, მე უარვყობ ჩემს თავს (ცუდს), რომ ვნახო ჩემი თავი. (უკეთესი). მე მინდა „გარდავიცვალო“, რომ სხვა გავხდე — ახალი და კარგი. ეს ასეა. მაგრამ როგორ მოხდება ეს, ამაზე სეით დევდარიანი არაფერს რჩევას არ მაძლევს. სეითი აქ ბინდს აყენებს, „ბრუნავს“, როგორც იქვე დასახელებული პირანდელოს რომანი და იძახის: ვის გაუგონია სოციალისტურ დროშის ქვეშ წუწუნი და გულის გატეხილობა. ეს ბურჟუაზიული ავადმყოფობაა.

და იქვე მაგალითით ამტკიცებს, რომ ამ ავადმყოფობით მიწიშვილი უთუოდ არაა დაზიანებული, რადგან შეუძლებელია ასეთი ავადმყოფი ჩაებას სოციალისტურ აღმშენებლობაში ისეთის ენერგიით, როგორითაც მიწიშვილია ჩაბმული.

გამოდის, რომ ავადაც ვარ და კარგადაც ვარ.

„არც თოვს, არც წვიმს, არც დარია“.

13

ჩემის ფიქრით მე ავად ვარ უდროო დროს მოყვანილი ამონაწერის იმ „ზედმეტით“, რომლითაც, როგორც პირანდელოს გმირი ამბობს, — „ადამიანი განირჩევა პირუტყვიდან“.

ამ „ზედმეტისაგან“ მე უარს ვერ ვიტყვი და ამიტომ იყო, რომ ამ ადამიანობის გულისათვის ჩავები მე სოციალისტურ აღმშენებლობაში ასეთის გატაცებით და ინტერესით და სწორედ სოციალისტური დროშის ქვეშ მინდა გავამთელო ის დაეჭვინებული სული, რომელშიაც „სუფევს ორი. ერთი-მეორეს უარისმყოფელი მომენტი“, როგორც ამას აღნიშნავს დევდარიანი.

14.

სეით დევდარიანის შენიშვნა, რომ „ეროვნული კულტურის საკითხი არ დაისმება ეროვნულ საზღვრებში, არამედ მას (კულტურას) საზრდო ეძლევა საერთაშორისო ფესვებიდან"-ო — თითქოს უმართებულოდაა ნახმარი ჩემი დებულების წინააღმდეგ, ვინაიდან მთელი ჩემი წერილი იმ სურვილზეა აგებული, რომ საქართველო როგორმე გავიდეს საერთაშორისო კულტურის სარბიელზე.

დევდარიანი მართალია, როცა ამბობს, რომ ერს უთუოდ უნდა ჰქონდეს რაიმე საექსპორტო (კულტურის მხრივ). და ჩემი იჭვი სწორედ აქ იბადებოდა, ვინაიდან დღევანდლამდე ჩვენ უმთავრესად კულტურული იმპორტით ვცხოვრობდით და ვსცხოვრობთ.

ექსპოტი უნდა იყოს, მაგრამ დევდარიანი არაფეს ამბობს იმის შესახებ — გვქონდა თუ არა ეს ექსპორტი.

ჩემის ფიქრით ჩვენ საექსპორტო რამ არ გვქონია.

და ამ მხრივ ჩვენ მუდამ სუსტნი ვიქნებით, სანამ ერში არ დატრიალდება რაიმე **იდეის** ძალა. მე სწორედ ამ ცენტრალურ იდეას ვეძებდი ჩვენს ისტორიაში. ეს დევდარიანმაც ვერ დამანახვა. რაიცა შეეხება უცხოეთიდან შემოტანილ იდეებს — მე ასეთი იმპორტის წინააღმდეგი ვარ, რადგან ევროპას საიმპორტო იდეები აღარ მოეძებნება. ხოლო ერთად ერთი მსოფლიო იდეა, რომელიც •იდევნება ევროპიდან და ფეხს იკიდებს რუსეთში — ესაა იდეა მუშათა მოძარობის, კომუნისტური იდეა. იგი ბუნებრივია საქართველოსათვის და ამიტომ ბუნებრივია ჩემი უარყოფა ევროპის იმპორტის და მასთან დაპირისპირება საქართველოსი მთელ საბჭოთა კავშირთან ერთად — ოქტომბრის რევოლიუციის **იდეის** დასაცავად და მის გასავრცელებლად.

15.

სიმონ ჩიქოვანის და ბ. გორდეზიანის წერილები იმითაა საინტერესო, რომ ფიქრი საქართველოზე აწვალებს და აწუხებს ახალ თაობასაც. ეს ერთხელ კიდევ მარწმუ-

ნებს იმაში, რომ ჩემი წერილის გამოქვეყნება არ იყო უმნიშვნელო და ეს მნიშვნელობა გამოიხატა იმაში, რომ გამოაშკარავდა სხვა და სხვა შეხედულებანი ამ საქმის ირგვლივ ქართული საზოგადოების სხვა დას ხვა წრეებში.

მიუხედავად იმისა, რომ ჩიქოვანი სცდილობს უკრიტიკოდ მიიღოს თანამედროობა — მის წერილსაც მაინც გამოუჩკვევლობის და ბუნდოვანობის ბეჭედი აზის. მისი აზროვნებაც თითქო იმგვარადვეა გაორებული, როგორც გარდამავალი ეპოქის ყოველ პიროვნების.

„ვინც საქართველოს ისტორიზმს (დადებითს) ემყარება — ვერ განიცდის თანამედროვე ხედვას (?) ამ ფიქრების მიმართ და ის მის გონებაში უანალიზოდ რჩება.“ ხოლო „ვინც წარსულს ხედავს მხოლოდ უარყოფითი ფაქტებზე — ის ვერ უთანხმებს მას ხალხის მოქმედების საერთო გზებს. (?) და იბადება პესიმიზმი ისტორიზმის.“

მეტად ძნელია აქ „გზახსნილის“ ნახვა:

თუ დადებითი ფაქტების ისტორიზმს დაემყარე — ეს დაგაყენებს თანამედროობის გარეშე. და თუ დაეყრდნე უარყოფითი ფაქტებს—ამით სულ შორდები ისტორიას და ვარდები პესიმიზმში.

ჩიქოვანი ვერ ასაბუთებს, თუ რისთვის სჭირდებოდა ეს ორი დებულება თავის წერილში. მაგრამ უარყოფს რა ორივეს, — ამბობს, რომ თანამედროობას (?) უნდა მივაპყრათ მთავარი ყურადღებაო“. მაგრამ ეს თანამედროობაც მეტა გამოუჩკვევლად და ბურუსიანად აქვს ს. ჩიქოვანს ასახული.

მაგრამ ერთ საინტერესო რამეს ჩიქოვანის წერილი მაინც იძლევა, როცა ის ამბობს, რომ ჩემი პირველი წერილი დამახასიათებელიაო იმით, რომ „ჩვენთვის ნათელი ხდება, თუ რა ბეწვის ხიდია თანამედროვე ადამიანსა და დროგადასულ თაობათა შორის“-ო.

ეს თქმა ეთრხელ კიდევ ცხადყოფს იმას, რომ ჩვენს დროში თუმცა ბევრს მართლა „უნდა“ იაროს თანამედროობასთან ერთად მხარ და მხარ — მაგრამ ეს საქმე ძნელდება და ძნელდება არა მარტო იმით, რომ სიტყვასა და საქმის გამრთელება ძნელია, არამედ იმიტომაც, რომ

„ბეწვის ხიდზე გასვლა“ ხშირად კატასტროფითაც თავდება.

ჩიქოვანი სცდილობს ამ „ბეწვის ხიდზე“ გავლას უფრო სტიქიურად, ვიდრე ლოლიკით, და შეიძლება ეს იყოს ყველაზე უფრო დამახასიათებელი ამ წერილისა და საერთოდ ახალი თაობისათვის, თუმცა ამ თანამედროობის კონკრეტულად ასახვა უძნელდება.

16.

ბ. გორდეზიანის წერილი თითქოს უფრო კონკრეტულია, უფრო მეტი მასალაა მოცემული შიგ და მეტი დამაჯერებელიცაა ეს წერილი (მაგ., სიმბოლიზმის კრიზისი, ეროვნული ნიადაგის მოძებნის სურვილი და სხვ.). იგი უფრო დამაჯერებელი იქნებოდა, რომ ცოტა უფრო მოადრებით ყოფილიყო დაწერილი. ვინაიდან თვით მე კარგა ხნის წინედ გამოვსთქვი ხსენებული წერილის მთავარი დებულებანი „ქართული მწერლობის“ პირველ ნომერში მოთავსებულ ექსკურსში სახელწოდებით „ქართული კულტურის ახალი გზები“.

რომ მკითხველისთვის ნათელი გახდეს, თუ რა დასკვნამდე მიმიყვანა უკანასკნელი წლების ჩემმა „ფიქრებმა საქართველოზე“, მე გავიმეორებ აქ ამ წერილის ზოგიერთ ადგილს.

საჭიროდ მიმაჩნია აღვნიშნო, რომ ხსენებული წერილი („ქართული კულტურის ახალი გზები“) მე გამოვუგზავნე პარიზიდან 1924 წელს გაზეთ „კომუნისტს“, სადაც ის სხვადასხვა მიზეზების გამო არ იქნა გამოქვეყნებული.

აი, ამ წერილის დამახასიათებელი ადგილები:

„საქართველოს ისტორია უკანასკნელი თექვსმეტი საუკუნის არის მისწრაფება დასავლეთისაკენ. ჩვენი ცხოვრება ორი ათასი წლის განმავლობაში იყო ბრძოლა ჩინური კედლის შენგრევისათვის — ევროპაში. აღმოსავლეთიდან მოქნეული — ვახეთქებდით ამ კედელზე თავს. და ამ უნიადაგო ცოდვილში გადავიტარეთ ზეგზე ოცი საუკუნე.

ამ ხანში — ქრისტიანული კულტურა დასავლეთის დაცვდა. რომანულ-გერმანულ რასათა გენეალოგიის ხეს მოალპა ფესვი. ევროპა, როგორც იდეა — გათავდა.

ესაა ფაქტი, რომელსაც არ მალავს თვით დასავლეთი.

ამ გათავების ფაქტს უნდა მოყვეს დაწყება სხვა, ახალი კულტურის, ან გადახალისება აოსებულის. ერთიც და მეორეც შეიძლება შეთანხმებულ იქნას ისტორიულ მსვლელობაში. მაგრამ სად, რომელ ადგილზე მოხდება ეს? კანონები კულტურის მიგრაციის გვიპასუხებს, რომ უთუოდ ჩრდილოეთისაკენ — აღმოსავლეთით.

ესაა დიაგნოზი მიმდინარე საუკუნის, დღევანდელი დღის. იცვლება ამინდი ზღვაზე. ქარი დაუბერავს სხვა გზით და სხვა მხარეთი. და აღავსებს ახალ ადამიანს: ახალი სულით. კულტურით. იდეით. ახალი ორი ათასი წლით.

დგება დრო ჩვენი გზების გადასინჯვისა აირჩევანის დრო.

უფრთხილდეთ მეორე ორი ათას წელს. გვეშინოდეს მომავალის. თუ ქართული ტვინი არ გათბა ამ ახალ საუკუნეთა სიცხეში, თუ ჩვენი თესლი არ ჩაითესა ახალი ეპოქის გაზაფხულზე, თუნდაც სისხლად, — საქართველო გათავდება უკანასკნელი სიკვდილით.

საქართველოს ბედი და მისი გზები თავსდებოდა ყოველთვის ერთ ფორმულაში: „წახვალ ინანებ, არ წახვალ ინანებ". ესაა მეტაფიზიკა ჩვენი წარსულის.

დღეს ნერვიულად ამოძრავდა მსოფლიო ბედისწერის სეისმოგრაფი. საჭიროა გრძნობა მასზე უმეტესი, რომ წავიდეთ იმ გზით, სადაც „არ ვინანებთ".

ესაა თემა. ეს თემა ეძებს განაღდებას მოქმედებაში.

დღევანდელი მდგომარეობა საქართველოში ეროვნულის თვალსაზრისით უნდა აღიარებული იქნას სრულიად მისაღებ პოლიტიკურ ბაზად. ეს უნდა იქნეს ფსიხოლოგიურათ შეთვისებული, სავსებით დაძლეული. ამ საკითხს დღევანდელის სიმწვავით ქართული ეროვნული აზროვნება არ უნდა დაუბრუნდეს მომავალში. — ქართველმა ხალხმა თავის ენერგია უნდა წარმართოს სხვა, უფრო რე-

ალური, უფრო კონკრეტიული მიზნებისაკენ და გამოსჭედოს ახალი, ნამდვილი ეროვნული სახე.

რაც არ მოხდა ისტორიულად — ეს ვიცით. რაც მოხდა — ეს უნდა შევაფასოთ.

ძველი რუსეთი მოისპო და სადმე უნდა გათბეს გაცივებული გული ლენინის, — ეს უნდა მოხდეს დაჩაგრულ ერთა მზის ქვეშ.

ბევრია ურწმუნო და ბევრი ფიქრობს საბჭოების გარდაცვალებაზე. ბევრი უარყოფს ბევრ რამეს, მაგრამ ყოველგვარ უარყოფის შემდეგ ერთი რამ მაინც რჩება საბოლოო: — გაღვიძება და ამოძრავება ერებისა. იმპერია დაიღუპა. დაირაზმა ერები. უნდა ვეცადოთ ამ რაზმებში ვიქნეთ პირველი.

ეს უნდა იყოს დღეს ეროვნული პოლიტიკის მთავარი ხაზი საქართველოში. ამას უნდა მოხმარდეს ამოძრავებული ეროვნული ენერგია და თუ დღეს იგი ამოძრავებული არაა, — ამის გულისათვის იგი უნდა ამოძრავდეს. ესაა უპირველესი მოვალეობა ყოველი კულტურული ქართველისა დღევანდელ დროში. და თუ საქმე მიდგება ანგარიშზე (რომანტიკას ჩვენ, რასაკვირველია, უარვყოფთ), აქაც ვიანგარიშოთ.

რა მონაწილეობას მიიღებს საქართველო ამ ახალი ეპოქის შექმნისა და განმტკიცების საქმეში?

რუსეთის დიდმა რევოლიუციამ, და აქედან მძლავრად ამოქმედებულმა კომუნისტურმა მოძრაობამ დღეს დაჰფარა თავის მნიშვნელობით ყოველგვარი **იდეოლოგიური** მოძრაობა მსოფლიოში. ჩვენ მოწამე ვართ უცნაური მოვლენისა, როცა ჩვენ თვალწინ მატერიალისტური რაციონალიზმი გადადის თითქმის რელიგიურ პათოსში. და დღეს გარეშე მდგომ ადამიანსაც კი სჯერა, რომ აქამდე წყეული ხე „ცნობადისა, კეთილისა და ბოროტისა“ მართლაც აყვავდება ცხოვრების ხედ, რადგან ახალი სული, ახალი რწმენის პათოსი დღეს ურტყამს მიუღწეველ და დღევანდელი გარკვეულებული კაცობრიობისათვის წარმოუდგენელ საზღვრამდე.

აქაა დასაწყისი დღევანდელი კულტურის გადმოხრისა და გადმოთესლებისა ჩვენსკენ, აქედან იშლება ბრწყინვალე პერსპექტივა ჩვენი მომავალის და სრული უფლება გვაქვს ვსთქვათ, რომ „ისტორია ურახუნებს ჩვენ კარებზე“. ნუ ვიუკადრისებთ, თუ ის მოგვევლინა მათხოვარის სახით.

დღეს ჩვენთვის, ქართველებისათვის, საჭიროა, რომ ჩვენში დამკვიდრდეს ეს **გრძნობა** ახალის მოლოდინისა და შეგნება, რომ ამ ახალის **ქმნაში** ისტორიამ საქართველოსაც დააკისრა საპატიო როლი.

ყოფილ რუსეთის ტერიტორიაზე ბინადრობს მრავალი ერი, რომელთა კულტურული გზები სულ სხვადასხვანაირია: აქაა შეჯგუფებული ერთის მხრივ მაქსიმუმი ენერგიისა, რომელიც ერთ დროს აღწევდა თავის განვითარების მწვერვალებს, მეორეს მხრივ სულ ახალი, აუმოძრავებელი ძალები. რუსეთი, საქართველო, სომხეთი, უკრაინა, ციმბირი, თურქესტანი, აზერბეიჯანი... ეს გეოგრაფიულად და რასიულად სხვადასხვა ელემენტები, **ერთის იდეითა და ახალი ისტორიული ინერციით შეერთებული,** — პერსპექტივაში გვიხატავს წარმოუდგენელ შემოქმედებითი შესაძლებლობას და ახალი ეპოქის მიღწევანი შეიქმნება ამ ხალხთა თანასწორი მონაწილეობით. ეს იქნება არა რუსული კულტურა, არა კულტურა რომელიმე სხვა ერის, არამედ საერთო მიღწევა ყველა ხალხების, ჩამდგარის ერთ მთლიან საკაცობრიო გზაზე, მაგრამ ამავე დროს ეროვნულად გამაგრებულის, ეროვნულად აღფრთოვანებულის.

ჩვენ, კავკასიის ერებს, კერძოთ ქართველებს ამ ნიადაგზე გვეშლება განუსაზღვრელი ასპარეზი მოქმედებისა. ეს ასპარეზი გვეშლება არა მარტო დღევანდელ საკავშირო ფედერაციის ფარგლებში, სადაც ჩვენ ბევრი საბუთი გვაქვს მისა, რომ ვიდგეთ პირველ რიგებში, არამედ აზიის მიმართულებითაც. და ჩვენი კულტურული მისია წითელ აზიისაკენ აქედანვე უნდა აფიქრებდეს ყოველ შეგნებულ ქართველს.

დღევანდელი მეშჩანური ფსიხოლოგია, რომელიც გამოწვეულია **სივრცის და ფართო ასპარეზის შიშით** — უნდა მოისპოს. უნდა ავმოძრავდეთ, გავბედოთ, გადავეშვათ ახალი ეპოქის ქარიშხლიან ზღვაში და შევქნათ გონებისა და ენერგიის დუღილი ჩვენს მიწა-წყალზე.

გვახსოვდეს, რომ ცოცხალთათვის არაფერი არაა საკალდებულო ერთის გარდა — ის, რაც დღემდე თქმულა და გაკეთებულა კაცობრიობის წინსვლისათვის, დღეს არ კმარა. ყოველმა თაობამ უდნა მიუმატოს ამ საქმეს და ამ სიტყვას თავისი წილი აქტიურობისა.

ბეთლემის ლუკაჯი ვარსკვლავი ქრება და კარგავს სიმხურვალეს. ამოდის სხვა, ცეცხლოვანი ვარსკვლავი მსოფლიოზე, რომელიც ანათებს ჩვენთვის დიდ შესაძლებლობათა გზებს.

„ჩვენ უნდა ვსდიოთ ეხლა სხვა ვარსკლავს".

„და გავყვეთ მას".

17.

ესაა, დაახლოვებით, ჩემი რწმენა და მოქმედების მთავარი გზი, რაიც საკალდებულოდ მივიჩნიე უკანასკნელი წლების ფიქრისა და მოქმედების პროცესში.

ამ ჩემს აზრებშიაც, შეიძლება, ბევრი დარჩეს საკამათო, მაგრამ ეს მაინც არის ერთგვარი პოზიცია, ერთგვარი ეტაპი, საიდანაც ნათელი ხდება ჩემი და ჩვენი საზოგადოების მინშვენლოვანი ნაწილის განწყობილება და მისი მისწრაფების მთავარი გზი. ესაა სინდისის პასუხისმგებელი განაჩენი იმ სერიოზული კითხვის წინაშე — თუ რა გზას უნდა მივყვეთ ჩვენ. და მე ვამბობ, რომ ეს გზაა მშრომელი ხალხის გზა პროგრესისა და შრომის უფლებისაკენ, საერთაშორისო მშვიდობიანობისა და ეროვნული განვითარებისაკენ; გზა, — რომელიც გაანათა ოქტომბრის რევოლიუციის იდეამ სოციალურსა და ეროვნულ ფარგლებში.

მე მწამს — ეს იდეა გაამთელებს საქართველოს, ეს იდეა გააერთიანებს მას, ის შეაკავშირებს ერის უმრავლესობას და ასეთის საერთაშორისო მნიშვნელობის იდეით

შეკავშირებული ქვეყანა, გადაჯაჭვული უდიდეს მოძრაობასთან მსოფლიოში, ველარ მოექცევა ისეთ რკალში, სადაც შესაძლებელი გახდება საქართველოს სხეულის დაყოფა და დანაწილება, მისი გახრწნა და გამოტვინება. ყოფა და დანაწილება, მისი გონების გახრწნა და გამოტვინება.

და საქართველო ასეთნაირი — გამთელებული კულტურულად და ეკონომიურად თანდათან გამოვა იმ მოჯადოებული წრიდან, სადაც ერის ბედი სწყდება არა „მის გარეშე მყოფ ენერგიით", არამედ შინაგანი ძლიერების სიჭარბით, რომელიც გადალახავს კულტურისათვის უმნიშვნელო გეოგრაფიულ საზღვრებს.

— : —

P. S. საჭიროდ მიმაჩნია შევჩერდე ერთ გარემოებაზე, რომელიც დაკავშირებულია ჩემი პირველი წერილის გამოქვეყნებასთან.

მე წინდაწინ ვგრძნობდი, რომ „ფიქრები საქართველოზე" გამოიწვევდა მრავალ გაუგებრობას. და როცა იგი მე დაბეჭდვამდე წაუკითხე მწერალთა კავშირის პასუხისმგებელ მოღვაწეებს — მათაც ის აზრი გამოთქვეს, რომ **პირადად ჩემთვის** ამ წერილის დასტამბვა არ იქნებოდა სასარგებლო, მაგრამ ობიექტიურად მის გამოქვეყნებას უთუოდ ექნებოდა დადებითი მნიშვნელობა.

მეც გავბედე და წერილი გამოვაქვეყნე.

როგორც მოსალოდნელი იყო, წერილს დიდი მითქმა-მოთქმა მოყვა. ზოგმა „ქართველი ჩაადაევი" მიწოდა, ზოგმა „მისტიკოსი და ფატალისტი", ზოგმა „რეაქციონულ მოაზროვნედ" მომნათლა, ზოგმა უმართებულოდ მომაწერა საბჭოთა აღმშენებლობის უარისმყოფელი მოქალაქე და სხვ. და სხვ.

მიუხედავად ყოველივე ამისა, მე არ ვნანობ, რომ ეს ახმაურება გამოვიწვიე, თუნდაც იმიტომ, რომ საშუალება მივეცი აქ მოთავსებულ პატივცემულ ავტორებს და კიდევ ბევრ სხვას გამოეთქვათ პრესაში, თუ საზოგადოებაში საკუთარი აზრი და ფიქრი ამ საკითხზე.

მე კმაყოფილი ვარ აგრეთვე იმითაც, რომ მთავარი ძალა ამ ფიქრებისა მიმართულია დღევანდელი საქართველოს განმტკიცებისაკენ და თუ ამ დიდ საქმეში დეტალები და პრაქტიკა ჯერ კიდევ ყველასათვის სავსებით არაა უდავო — მწამს, ისინი გადალახულ იქნებიან იმ მთლიანი აზროვნების ძალით, რომელიც ასე თავგამოდებით ქმნის დღევანდელ საბჭოთა საქართველოს და რომელიც დღითი დღე აკავშირებს ფართო ინტელიგენციას საბჭოთა ხელისუფლების საბოლოო მიზნებთან.

ნ. ჟ.

გერონტი ქიქოძე.

ომის მოლოდინში

ამ ბოლო დროს ბევრს სწერენ და ბევრს ლაპარაკობენ ომის საფრთხეზე. ზოგიერთმა ორატორმა თუ პუბლიცისტმა ზედმიწევნით დაათარიღა კიდეც მოსალოდნელი ომი. ზოგი ფიქრობს, რომ განსაკუთრებით მომავალ გაზაფხულს უნდა ვუფრთხოდეთ, ზოგი კიდევ იმ აზრისაა, რომ ომი დაიწყება მხოლოდ მაშინ, როცა ინგლისი სავსებით დაამთავრებს დიპლომატიურ სამზადისს და სრულიად გაამარტოებს საბჭოთა კავშირს.

წინასწარმეტყველება საზოგადოთ ძნელი საქმეა, განსაკუთრებით ძნელი საქმეა ისეთს რთულს დარგში, როგორიც პოლიტიკაა. ამიტომ შეუძლებელია იმის თქმა, თუ როდის დაიწყება ომი და რა სახეს მიიღებს ის. უცილობელია მხოლოდ, რომ იმ დიდი პოლიტიკური საკითხების გადაჭრა, რომელნიც უკანასკნელი დიდი ომის შემდეგ წარმოიშვენ შეუძლებელი ხდება დიპლომატიური გზით, რომ მათ გადასაჭრელათ ადრე თუ გვიან ალბად ისევ მახვილი გახდება აუცილებელი.

წინათ დასავლეთ ევროპაში ერთი ელზას-ლორენი არსებობდა, რომელმაც ნახევარი საუკუნის განმავლობაში ასაზრდოვა საფრანგეთ-გერმანიის მილიტარიზმი და ბოლოს ხელი შეუწყო დიდი ომის აფეთქებას, დღეს იქ რამდენიმე ასეთი ელზას ლორენია: ვილნო, დანციგის კორიდორი, ზემო-სილეზია, ბესარაბია, მაკედონია, ავსტრია, ალბანია და სხ.. თვითეული მათგანი საკმაოა, რომ ომის განახლება გამოიწვიოს დიდი მაშტაბით. ამას ზედ ერთვის კოლონიების მღელვარება, განსაკუთრებით ჩინეთის სამოქალაქო ომი, რომელიც სრულიად ახალს, მაგრამ მეტად მნიშვნელოვანს ფაქტორს წარმოადგენს საერთაშორისო პოლიტიკაში.

მაგრამ ყველაზე დიდი საკითხი, რომლის გადაწყვეტა დიპლომატიური გზით თითქმის შეუძლებელია, მაინც საბჭოთა კავშირისა და დიდი ბრიტანეთის ანტაგონიზმია.

ამ ცოტა ხნის წინათ ეს დიდი პოლიტიკური პრობლემა ცოტა არ იყოს მარტივად ჰქონდათ წარმოდგენილი: ამბობდნენ რომ ერთი მხრით სდგას სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი, მეორე მხრით გაერთიანებული ბურჟუაზიული ევროპა ინგლისის მეთაურობით. ელოდდენ, რომ საბჭოთა კავშირი რევოლუციურ ომებს დაიწყებდა სოციალისტური იდეის გარეთ გასატანად ან კიდევ კონსერვატიული ევროპა „ჯვაროსნების“ ლაშქრებს გამოგზავნიდა ბოლშევიზმის შესამუსრავად. ახლა ირკვევა, რომ ეს წარმოდგენა ყალბია, რომ მას საფუძვლად ერთგვარი „მწიგნობრული სიბრძნე“ უძევს და არა რეალური მოვლენების დაფასება.

რუსეთის რევოლუცია ბევრით არაფრით ჰგავს საფრანგეთის რევოლუციას, ის არ არის აგრესიული, ის არ სცდილობს იდეები გარეთ ხიშტების წვერით გაიტანოს.

მეორე მხრით ბურჟუაზიული ევროპა გათიშული და დაქსაქსულია არა მარტო პოლიტიკურათ, არამედ კულტურულათ და სულიერადაც. მას არ აქვს დიდი ცენტრალური იდეები, რომელიც საშუალო საუკუნეების ან თუნდ მეტერნიხის დროის ევროპას ჰქონდა, მას არ ძალუძს არა თუ რაიმე დიდი რელიგიური იდეიის, არამედ თუნდ უბრალო ლეგიტიმიზმის იდეის გარშემო გაერთიანდეს.

იყო ერთი იდეა, რომელიც ერთხანს თითქო რაღაც ახალი რელიგიური მცნების როლს ასრულებდა ევროპაში, ეს იყო ეგრეთ წოდებული პარლამენტური დემოკრატია, მაგრამ ის თვით ევროპაში საბოლოოთ შებღალა ფაშისტურმა იდეოლოგიამ და ფაშისტურმა პოლიტიკამ. ასეთ პირობებში პირდაპირ შეუძლებელია, რომ თანამედროვე კონსერვატიული ევროპის ბელადებმა, ჩემბერლენმა და სხვებმა მოახერხონ საშუალო საუკუნეების პაპების ან თუნდ მეტერნიხის როლის შესრულება და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ახალი ღვთაებრივი კავშირების დადება, ახალი ჯვაროსნული ომების დაწყება. რასაკვირველია,

ევროპაში ძლიერია საბჭოთა კავშირის სიძულვილიც და შიშიც, ეს ქვეყანა რაღაც გამოუცნობელ სფინქსს წარმოადგენს ტრადიციული ბურჟუაზიული აზროვნებისთვის; მეორე მხრივ ევროპის ინდუსტრია, რომელიც ომის შემდეგ ხელახლა ფეხზე წამოდგა და გაძლიერდა, მწვავეთ გრძნობს, რომ აღმოსავლეთი ევროპა სრულიად გამოეთიშა კაპიტალისტური ურთიერთობის სისტემას, რომ აქ რაღაც „ტორიჩელისებური სიცალიერე" დამყარდა, ასეთი სიცალიერე კი პოლიტიკაში და მსოფლიო მეურნეობაში უფრო ნაკლებ მოსათმენია ვიდრე, ფიზიკაში. მაგრამ არც საბჭოთა ქვეყნის სიძულვილი, არც დიდი პრობლემატიური ბაზრის დაპყრობის შესაძლებლობა თავის თავათ საკმაო არ არის, რომ ევროპიულმა სახელმწიფოებმა შინაგანი წინააღმდეგობანი დასძლიონ, გაერთიანებული ფრონტი შეჰქმნან და დიდი ომის რისკი გასწიონ.

მაგრამ არის ერთი მომენტი, რომელსაც შეუძლია დღევანდელი ევროპის მერყევი წონასწორობა დაარღვიოს და დიდი საერთაშორისო ომი გამოიწვიოს. ეს არის ჩინეთის ეროვნული მოძრაობა. თუ ამ მოძრაობის ხელმძღვანელმა პარტიამ გომინდანმა პოლიტიკური ორიენტაცია არ შეიცვალა. რაიც ძნელათ მოსალოდნელია, თუ ინგლისმა ვერ მოახდინა კანტონის მთავრობასთან მორიგება, ადვილათ შეიძლება დიდი საერთაშორისო ომი დაიწყოს, მიტომ რომ კანტონელების წინსვლა და გამარჯვება საფრთხეს წარმოადგენს არა მარტო ინგლისის კაპიტალიზმისა არამედ მთელი კაპიტალისტური წესწყობილებისათვის ასეთ შემთხვევაში ომი ალბად ძლიერ დიდ მასშტაბს მიიღებს ტერიტორიალურად, ის ბევრათ უფრო გრანდიოზული იქნება, ვიდრე უკანასკნელი საერთაშორისო ომი იყო და სასწორზე დასდებს ყველა თანამედროვე კულტურულ ღირებულებებს. მან შეიძლება მთელი თანამედროვე ცივილიზაციის ჩაშვავება გამოიწვიოს. რასაკვირველია, არავითარი რაციონალური მოსაზრებით არ შეიძლება ასეთი ომის გამართლება. მაგრამ როგორც უკანასკნელი დიდი ომის გამოცდილებით ვიცით, არის მომენტები, როცა ადამიანის გონება უძლური ხდება

ძალოვანი ინსტინქტებისა და იმ ბნელი ძალების წინაშე, რომელნიც კაცობრიობის ისტორიას მართავენ.

*
* *

საქართველოს საკითხი უკანასკნელ დროს დიდ როლს თამაშობს საერთაშორისო პოლიტიკაში. თუ ახალი საერთაშორისო ომი დაიწყო, მოსალოდნელია რომ ჩვენი ქვეყანა ბრძოლის ასპარეზათ გადაიქცევა.

ინგლისის ხელმძღვანელ პოლიტიკოსებს ჰგონიათ, რომ საქართველო ყველაზე მტკივნეული ადგილია საბჭოთა კავშირში. ამას გარდა ის ყველაზე უფრო ადვილი მისაწვდომიც არის ინგლისისთვის, განსაკუთრებით ლოზანის კონფერენციის შემდეგ, რადგანაც ამ კონფერენციის გადაწყვეტილებით შავი ზღვა ლია ზღვათ არის გამოცხადებული. ამას გარდა საქართველოს დაჭერა ყველაზე დიდ სტრატეგიულ და პოლიტიკურ შედეგებს უქადის ინგლისს, მიტომ რომ ის გზას უხსნის ბაქოსა და შუა აზიისკენ და სთიშავს საბჭოთა კავშირსა და მის მოსალოდნელ მოკავშირეს ოსმალეთს.

საკითხავია მხოლოდ შესძლებს, თუ არა ინგლისი საქართველოს დაჭერას და თავის მიზნებისთვის გამოყენებას?

ომის ბედს სწყვეტს არა მარტო იარაღის, არამედ იდეების შეჯახებაც: უკანასკნელ დიდს ომში ეროვნული სახელმწიფოს იდეამ გაიმარჯვა. ავსტრია-ჰუნგრეთი ეროვნულ ერთეულებათ დანაწილდა, სამეფო რუსეთს პოლონეთი, ფინლიანდია და ბალტიური სახელმწიფოები გამოეყვნენ, ოსმალეთიც შემჭიდროებულ ეროვნულ სახელმწიფოთ გადაიქცა. როგორც ინგლისის ახალშენების ევოლუციიდან, კოლონიების მოძრაობიდან და ჩინეთის სამოქალაქო ომიდან სჩანს ეს პროცესი ჯერ კიდევ არ დამთავრებულა; დიდი ბრიტანეთის იმპერია, რომელიც დიდ საერთაშორისო პოლიტიკურ შეჯგუფებას წარმოადგენს, იძულებულია ბევრი რამ დაუთმოს ეროვნულ პრინციპს. მაგრამ არის საზღვარი, რომლის იქით ჩემბერლენსა და ბოლდუინის მთავრობას ალარ შეუძლია წასვლა, წი-

ნაალმდეგ შემთხვევაში დიდი ბრიტანეთი დაიშლება რო-
გორც იმპერია და ინგლისი მეორე ხარისხოვან სახელმ-
წიფოთ გადაიქცევა.

ამიტომ თუნდაც ინგლისის დიდი საზღვაო და საჰაე-
რო ფლოტი საქართველოს სანაპიროებს მოადგეს და დი-
დი ტეხნიკური უპირატესობის გამო დროებით დაიჭიროს
კიდეც ჩვენი ქვეყნის ტერიტორია, ინგლისის იმპერია-
ლიზმი დასახულ მიზნებს ამ გზით მაინც ვერ მიაღწევს,
თუ საქართველოში მან ვერაფერი შემოიტანა გარდა ეგ-
რეთ წოდებული ბურჟუაზიული დემოკრატიის იდეისა.

უკანასკნელი საერთაშორისო ომის დროს გერმანიამ
პოლონეთის, სერბიის, რუმინიის, ბალტიის მხრის და უკ-
რაინის ტერიტორია დაიჭირა მთლიანათ ან ნაწილობრივ,
მაგრამ ამას როდი შეუფერხებია გერმანიის იმპერიალიზ-
მის დამარცხება. რასაკვირველია ზედმეტია იმაზე ლაპა-
რაკი, რომ უცხო სახელმწიფოს ინტრიგებს, 1924 წლის
აგვისტოს გამოცდილების შემდეგ, აღარ შეუძლია მასსიუ-
რი აჯანყების გამოწვევა, თუმცა უკმაყოფილო ელემენ-
ტები ყოველი რეჟიმის დროს არსებობს და მტერს ყოველ-
თვის შეუძლია მათი გამოყენება.

დიდათ საეჭვოა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე
საბჭოთა წესწყობილების იდეის დამარცხება შეიძლებო-
დეს ბურჟუაზიული დემოკრატიის და პარლამენტარიზმის
იდეით.

რასაკვირველია საბჭოთა წესწყობილებას დიდი ნაკ-
ლულოვანება აქვს, მას განმარტივება, გაიაფება, ბიუროკ-
რატიზმის ნაშთებისაგან განთავისუფლება ესაჭიროება:
მაგრამ ის ელასტიურია, მასში დიდია განვითარების შე-
საძლებლობა, ამას გარდა ის ახლო სდგას საქართველოს
სახელმწიფოებრივობის ტრადიციულ ფორმებთან.

ჯერჯოთ ეს გარემოება კარგათ ესმის ქართველ ინტე-
ლიგენციას, რომელშიც უფრო ძლიერია სახელმწიფოებ-
რივი ტრადიციების შეგნება, ვიდრე რუსის ინტელიგენ-
ციაში. სხვათა შორის ამითაც აიხსნება ის მოვლენა რომ ძვე-
ლი რუსეთის განათლებული საზოგადოების ცხრა მეათედი
უცხოეთში გადაიხვეწა, იქ ნაწილობრივ გაითქვიფა, ან

ყოველ შემთხვევაში შეურიგებელ ბრძოლას აწარმოებს საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ; ქართველი ინტელიგენციის ცხრა მეათედი კი პირიქით, სამშობლოში დარჩა და აქ ნელ-ნელა შემოქმედებით მუშაობაში ჩაება. ამ მუშაობის მიმართულება, გაშლა და გაფართოვება დამოკიდებულია არა მარტო თვით ამ ინტელიგენციის სუბიექტურ სურვილებსა, არამედ ობიექტური პოლიტიკური ფაქტორების ურთიერთობაზე.

ტიციან ტაბიძე.

ქართველი მწერლების დელეგაცია სომხეთში

სრულიად საქართველოს გაერთიანებულმა მწერალთა კავშირმა მიიღო სომხეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარის შირვან ზადეს პირით მიპატიჟება ერევანში ამ გაზაფხულზე.

ამას კიდევ წინ უსწრებდა საუბარი სომხეთის ცაკის თავმჯდომარე ამხ. კარინიანთან „„ქართული მწერლობის“ რედაქციის რამდენიმე წევრთა ამავე საგანზე.

ამ მოგზაურობას უეჭველია ორივე რესპუბლიკისათვის დიდი ლიტერატურული და პოლიტიკური მნიშვნელობა ექნება.

შემდეგ ალბად ტფილისში ჩამოვლენ სომხეთის მწერლები და აგრეთვე მოხდება შეთანხმებული გამგზავრება აზერბეიჯანში.

ყოველი შეგნებული მოქალაქე და ჩვენ გვგონია მით უმეტეს მწერლები მოვალენი არიან განამტკიცონ ის ეროვნული მშვიდობიანობის პოლიტიკა — რომელიც დასახული აქვს საბჭოთა კონსტიტუციას და რომლის საფუძველზე შენდება ახალი საბჭოთა საზოგადოებრიობა.

უკეთესი შვილები ორივე მოძმე ხალხისა დიდი ხანია იბრძვიან ამ კეთილმეზობლობისა და სოლიდარობის განმტკიცებისათვის. შეუძლებელია მართლა კავკასია იყოს მაკედონია და ყოველი საკითხი ხანჯალით და მაუზერით წყდებოდეს.

ვინც ემსახურება ამ პოლიტიკას, ის ამით ძირს უთხრის თავისი ერის კეთილდღეობას და ეროვნული ეგოიზმით დაბრმავებულს დაღუპვის კარამდე მიჰყავს თავისი ერი.

ასეთი მაგალითები წინად ბევრი ახსოვს როგორც საქართველოს ისე სომხეთს — და ჩვენ გვინდა დავიჯეროთ, რომ ეს ამბები სამუდამოთ გახდეს ახლობელ წარსულის სამწუხარო მოგონებათ. ამის დამთავრება იყო სომეხ-ქართველთა ომი 1919 წელს და ის შეუღრეგებლობის პოლიტიკა, რომელსაც ეწეოდენ ორივე მხრივ მაშინდელი სახელმწიფოს მოთავენი — ეს ამბავი ტაციტის სისადავით და ობიექტივობით აქვს მოყოლილი თავის საგულისხმო წიგნში ზურაბ ავალიშვილს. „საქართველოს დამოუკიდებლობა საერთაშორისო პოლიტიკაში" — სან-რემოს კონფერენციაზ.

დღეს ჩვენ ვხედავთ, რომ ნაციონალური მშვიდობიანობა უმთავრესი ღერძია საბჭოთა პოლიტიკისა, მაგრამ რაც უნდა მიზან შეწონილ პოლიტიკას აწარმოებდენ ამ რესპუბლიკათა მთავრობები, რაც არ უნდა ებრძოდენ შოვინიზმის ნაშთებს — მაინც შედეგი არ იქნება მთლიანად გამართლებული, თუ ამ დიდ საქმეში არ მიიღო მონაწილეობა უპარტიო ინტელიგენციამ და პირველ ყოვლისა მწერლობამ, რომლის ხელშია კულტურის უდიდესი იარაღი — სიტყვა.

ვინც იცნობს ქართულ საზოგადოებრივობის ისტორიას მისთვის აშკარა იქნება, რომ სომეხ-ქართველთა ძმური ურთიერთობის განმტკიცებისათვის დიდი ხანია იბრძოდენ ორივე მხრივ პატიოსანი მოღვაწენი და მწერლები. ამ შემთხვევაში ქართველებში პირველობა ერგებათ აკაკი წერეთელს და ვასო აბაშიძეს. მართალია იმავე დროს ხშირად ამდგარა წინად პოლემიკის ქარბუქი — მაგრამ აქ უფრო ასე ვსთქვათ პუბლიცისტური პრესა იყო ბრძოლის დამწყები — ეს კამათი უმთავრესად ქალალდზე რჩებოდა და ვერ ატანდა მშრომელი ხალხის გულს, რომელიც ინსტიკტით გრძნობდა ძმური კავშირის აუცილებლობას.

თვითონ ისტორიულ წარსულში ქართველთა და სომეხთა შორის ჰყოფილა ისეთი კულტურული ურთიერთობა და იმდენად ჰყოფილან ორივე ერის მწერლობა დანათესავებული, რომ ხშირად დღესაც მეცნიერ მკლევარებს უხდებათ ზოგიერთი ისტორიული მწერლობის დო-

კუმენტების აღდგენა თარგმანებიდან. ორივე ერი ხშირად ერთი მეორისგან სთარგმნიდენ არათუ ორიგინალურ ნაწერებს — არამედ ბერძნულ ტექსტების თარგმანებსაც.

სულ უკანასკნელ ხანს ეკუთვნის ამ დარგში სომხეთის ცნობილი პოეტის ოვანესს თუმანიანის მოღვაწეობა.

უნდა ითქვას სრული გულწრფელობით, რომ ოვანესს თუმანიანი განხორციელებული მოციქული და აპოლოგეტი იყო კავკასიაში მოსახლე ერების სოლიდარობისა, და ამ დიდ საქმეში დიდი დამსახურება და ღვაწლიც მიუძღვის.

როცა 1919 წელს თუმანიანს 25 წლის იუბილე გადაუხადეს დიდი ზეიმით ჯერ ერევანში და შემდეგ ტფილისში ოვანესს თუმანიანის ამ საზოგადოებრივ დამსახურებაზე ერთპირად ლაპარაკობდა კავკასიის პრესა განურჩევლად მიმართულებისა და ეროვნებისა — განსაკუთრებით ამას ხაზს უსვამდენ ქართველი მწერლები.

თვითონ ეს მოგზაურობაც, რომელიც ეხლა არის განზრახული და იმედია განხორციელდება, შეადგენდა ოვანესს თუმანიანის დიდი ხნის სურვილს, ყველა ქართველ მწერალს ახსოვს ალბად, რომ როცა 1919 წელს ზაფხულს გაიმართა ქართველ მწერალთა კავშირის დიდი ტრადიციული საღამო — ამ საღამოზე ოვანესს თუმანიანმა მოიყვანა საუკეთესო ნაწილი სომხეთის მწერლებისა: — ოვანეს თუმანიანი, შირვან ზადე, ვაგრამ პაპაზიანი, იონესიანი, დემირჩიანი, არტისტი ოვანესს აბელიანი და სტამბოლელი ახალგაზდა მწერლები—მაშინ ყოველ შემთხვევაში ეს სახელები თითქმის ამოწურავდენ სომხეთის მწერლობას.

ოვანეს თუმანიანის ეს თავგამეტებული ბრძოლა სომხებისა და ქართველების ძმური კავშირის განმტკიცებისათვის მაძლევდა მე საკმაო საბუთს იმისთვის, რომ როცა ქართველთა და სომეხთა ნამდვილი ომი დაიწყო მიმემართა მე მისთვის ლია წერილით, რომ მას აემაღლებია ხმა ამ ძმათა შორის სისხლის ღვრის წინააღმდეგ.

მე აქ არ მოვიყვან ეხლა ჩემ წერილს და არც ოვანესს თუმანიანის პასუხს — ეს ალბად ბევრს ეხლაც ემახსოვ-

რება — მაგრამ მაშინ სისხლის ღვრის დროს ამას უთუოდ ჰქონდა თავისი დიდი მნიშვნელობა.

ძნელია ჩამოთვლა ყველა იმ შემთხვევებისა, როცა ოვანესს თუმანიანი იყო დამწყები სომხებისა და ქართველებს შორის კულტურულ კავშირისა — როდესაც 1921 წელს ო. თუმანიანი იყო თავმჯდომარე „აიარტუნი“-ს მისი თხოვნით მოწყობილ იქნა საუბრები სომხეთის და საქართველოს ხელოვნებაზე. პირველი მოხსენება წაიკითხა გრიგოლ რობაქიძემ თანამედროვე მწერლობაზე, ამ მოხსენებას დაესწრენ ტფილისში მყოფი თითქმის ყველა სომხეთის მწერლები და საზოგადო მოღვაწენი — ხელოვნების სასახლეში განზრახული იყო სამაგიერო საღამოს მოწყობა ჯერ ოვანეს თუმანიანის შემოქმედებაზე და შემდეგ საერთოდ სომხურ ხელოვნებაზე, მაგრამ ო. თუმანიანის წასვლამ სტამბოლში და შემდეგ უეცარმა სიკვდილმა ამას შეუშალა ხელი.

სამაგიეროთ სამუდამოდ მოსაგონებლად დარჩება ერთი ამბავი.

საქართველოს მწერალთა კავშირის თხოვნით სახალხო განათლების კომისარიატმა ოვანესს თუმანიანი შეიტანა საქართველოს პენსიონერთა სიაში. ოვანესისთვის ამას უფრო მორალური დაფასების მნიშვნელობა ჰქონდა — ეს იყო სწორედ მისი სტამბოლში გამგზავრების წინ. გამოსათხოვარ ვახშამზე, რომელიც ამავე დროს გამართული იყო მისი პენსიონერთა სიაში შეტანის გამო მან მიიწვია მთელი მწერალთა კავშირის საბჭო, და ტფილისში მყოფი სომხეთის მწერლები და მოღვაწენი: ამ ბანკეტს დაესწრო განათლების კომისარი დავით კანდელაკი. სამუდამო მოსაგონარი იქნება ეს ღამე — რომელიც იყო ნამდვილი საიდუმლო სერობა სიყვარულისა და ძმური პატივისცემისა. და განსაკუთრებით სიტყვები თვითონ ოვანესს თუმანიანისა, ვასილ ბარნოვისა, შიო არაგვისპირელისა და გრიგოლ რობაქიძისა.

მე თუ ვიგონებ დღეს ამ ამბებს მხოლოდ იმისთვის, რომ ავღნიშნო რამდენის გაკეთება შეუძლია ერთ ადამიანს, თუ ის არის ენტუზიასტი თავის საქმის და თუ მას

აქვს ისეთი ნდობა და სიყვარული მოხვეჭილი, როგორც ოვანესს თუმანიანს ჰქონდა...

ამის შემდეგ თითქმის შესწყდა ურთიერთობა ქართველ და სომეხ მწერალთა შორის და სწორედ დროულია ამ ჟამად ამ გრძნობის გაღვივება და გადახალისება.

ამისთვის უკეთესი შემთხვევა და შესაძლებლობაც არ იქნება, როგორც არის დელეგაციების დაგზავნა საკავშირო რესპუბლიკებში.

უეჭველია ჩვენს ერთი მეორეს დამოკიდებულებაში არ არის ძლიერი კავშირი, ჩვენ ძალიან ცუდათ ვიცნობთ ერთმანეთს და ერთმანეთის მწერლობასა და ხელოვნებას.

მიუხედავათ ასეთი ახლო მეზობლობისა ჩვენ არა გვაქვს ერთმანეთის მწერლობის თარგმენები. თუ სომხები კიდევ იცნობენ ქართულ თეატრსა, მხატვრობასა და მწერლობას, რადგან ბლომად არიან ტფილისში და ამის გარდა ხშირად უხდებათ ტფილისში ჩამოსვლაც ბევრ ქართველ მწერალს წარმოდგენაც არ აქვს სომხეთის კულტურასა და მწერლობაზე, ქართველი მწერლების უმრავლესობა არც კი ჰყოფილან სომხეთის რესპუბლიკის საზღვრებში — ამიტომ თავის თავად ცხადია რა დიდი მნიშვნელობა ექნება ამ დელეგაციის მოგზაურობას.

ჩვენ უფრო მჭიდროდ შეუკავშირდებით ერთი მეორეს, გავიგებთ ერთმანეთის გულის ზრახვას და შემოქმედების ნაყოფს და ამით საძირკველი ჩაეყრება იმ კავშირს და ეროვნულ ურთიერთობას, რომელიც უნდა იყოს თვითეული ქართველი და სომეხი მწერლის იდეალი.

ასევე შეიძლება ითქვას აზერბეიჯანზე და საკავშირო სხვა რესპუბლიკებზე. სრულიად სამართლიანი იყო ამხ. ს. თოდრიას განცხადება ამასწინად თურქი მწერალის აბდულ რახიმ ახვერდოვის იუბილეზე, რომ ჩვენ სამარცხვინოთ ცოტა ვიცით ერთი მეორის შესახებ.

და თუ წინად ეს შედიოდა ცარიზმის ერთა გამთიშავ პოლიტიკის ანგარიშში — ეხლა როცა პირიქით ყველაფერი ემყარება ამ ერთა შორის ძმობის განმტკიცებას, — დანაშაულია, რომ ერთი მეორეს ვერ ვიცნობთ და ხშირად უხერხულ მდგომარეობაში ვარდებით.

თუ ჩვენ ერთი მეორეს არ დაუკავშირდებით, თუ ერთი მეორეს შემოქმედებას არ ვსცემთ პატივს უეჭველია არც ჩვენ გვცემენ პატივს და გამოტოვებული ვიქნებით საერთო კულტურულ საქმიანობაში. სხვათა შორის ეს არ არის მარტო ჩვენი ფედერაციის სენი — ხშირად ხდება რომ საერთოთ ს. ს. ს. კავშირის ფარგლებშიც გამოდის ნაციონალური კრებულები და ზოგჯერ ისეთი კურიოზები შეგხვდებათ, რომ დაჯერებაც ძნელია.

ამიტომ თუ ჯერ ჩვენ მოვაგვარეთ ჩვენ მეზობელ რესპუბლიკებთან კავშირი შემდეგ ეს კავშირი უნდა გაიბას უფრო დიდ კოლექტივებთან როგორც უკრაინა და რუსეთია.

ეს ფრონტი ჯერ კიდევ შიშველია და ათასობით მოელის მუშაკებს.

როდესაც მე წავიკითხე ვიკტორ შკლოვსკის „სანტიმენტალური მოგზაურობა“ და „ომის შემდეგ“ — მე გაკვირვებული დავრჩი, რომ ქართულ მწერლობაში არ უპოვია გამოძახილი სრულიად იმ დიდ ეპოპეას, რომელსაც აღწერს შკლოვსკი: თუ როგორ ისრისებოდენ ოსმალეთის ფრონტზე ათასობით სომხები და აისორები. მართლაც გულშემზარავი სურათია, როცა ამერიკელი ექიმი შერი წინ მიუძღვის 6.000 ობლად დარჩენილ ბავშს, რომელთაც დაკარგეს ყველაფერი: ადგილი, ფუძე, მშობლები, სარჩო და საბადებელი. და დარჩენ თავის თავის ამარა და რომელნიც სიკვდილმა შემთხვევით დაზოგა, რადგან ამერიკულ მისიას ვერ ეკარებოდენ გააფთრებული ქურთები. და დარჩენ ეს ბავშები ობლად სახეტიალოთ და შეიძლება რამდენია დღეს, რომ ტირის ტფილისის ქუჩებზეც უბინაოდ და შიმშილით გამწარებული.

მე ვერ წარმოშიდგენია ამაზე უფრო საშინელი სურათი — ჩვენ მწერლობაში კი ამის შესახებ ერთი სტრიქონიც არ შეგხვდება და ეს ამბები კი ჩვენგან რამდენიმე კილომეტრზე ხდებოდა და რამდენიმე ქართველი ჯარისკაცები დაწოლილან ამ ფრონტზე სამუდამო ძილისთვის.

ვანა ბევრმა ქართველმა მწერალმა იცის ეხლა როგორ ცხოვრობს ჩვენი მეზობელი ხალხი, როგორია ლტოლ-

ვილთა ბედი, ლენინაკანის მიწისძვრით დარბეულთა ხვედრი — ამის შესახებ ჩვენ მხოლოდ მოსკოვის საილუსტრაციო ჟურნალებში თუ ვნახავთ რამდენიმე ეპიზოდს.

დღეს ყველა მოწამეა, რომ ომით დარბეული და განადგურებული სომხობა არაჩვეულებრივი ენერგიით იწყებს აღორძინებას და ახალ მშენებლობას, რომ აქ ყველა შეკავშირებულია მორიგ ამოცანებზე და ხალხი გაალმასებული ებრძვის ღარიბ ბუნებას სასიცოცხლო კერის გაჩენისათვის.

აქ ჩვენ ბევრი რამ შეგვიძლია ვნახოთ ისეთი, რაც გამოგვადგებოდა და ჭკუაში ჩაგვაგდებდა და რაც იძლევა წერისთვის კონკრეტულ მასალას.

უეჭველია ბევრი კიდევ რაც უნდა ითქვას ამის შესახებ იქნება ელემენტარული ამბების გახსენება — მაგრამ ამგვარ უბრალო ელემენტებიდან შედგება ცხოვრება და საჭიროა ამის ანგარიშის გაწევა.

ჩვენ გვგონია, რომ ამ დელეგაციის მოგზაურობა ბევრ ახალ თაობნობას მისცემს დაწყებას: ჯერ-ჯეროობით საქართველოს სახელგამს გადაწყვეტილი აქვს გამოსცეს წიგნი ოვანესს თუმანიანზე ქართულად და სომხურად. ამ წიგნში მოთხრობილი იქნება ის დიდი ღვაწლი, რომელსაც ეწეოდა ოვანესს თუმანიანი კავკასიის ერების დამეგობრებისათვის.

ეს წიგნი თან ჩაჰყვება დელეგაციას ერევანში, და მართლაც არ შეიძლება უკეთესი ადამიანის წამძღვარება წინ, როგორიც იყო ოვანესს თუმანიანი.

ამ დაახლოვებას უნდა მოჰყვეს თარგმანები სომხურიდან ქართულზე და ქართულიდან სომხურზე.

თუ წინად იყო ამის შესაძლებლობა — მით უმეტეს მეტი შესაძლებლობაა დღეს როცა გამომცემლობის საქმე სახელმწიფოს ხელშია და ერთმანეთთან მეზობლური კავშირის გაბმა კიდევ შედის ამ სახელმწიფოს ანგარიშში.

რასაკვირველია უფრო მეტი იქნება სათქმელი და დასაწერიც, როცა ეს მგზავრობა მოხდება, როცა ჩვენ ვინახულებთ ერთი მოერეს და ავწონით კონკრეტიულად შესაძლებლობას და საქმეს.

მაშინ საქმე თვითონ იტყვის თავის თავზე.

წესდება დამტკიცებულია შინაგან საქმეთა კომისარიატის მიერ 12 აგვისტოს 1926 წ. № 882 და 12 თებერვალს 1927 წ. № 125.

წ ე ს დ ე ბ ა.

სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირისა.

I. კავშირის საგანი და მიზნები.

§ 1. ქართველ მწერალთა კავშირი არის ორგანიზაცია, რომელიც აერთებს, განურჩევლად მიმართულებისა ქართველ მწერლებს: პოეტებს, ბელეტრისტებს, დრამატურგებს, კრიტიკისა და ესტეტიურ-ლიტერატურულ დარგის წარმომადგენლებს და მთარგმნელებს (მხატვრულ ნაწარმოებთა).

§ 2. კავშირის მიზანია ხელი შეუწყოს ქართველ მწერლობის განვითარებას, დაიცვას მწერალთა პროფესიული ინტერესები და იზრუნოს მწერალთა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

§ 3. ამ მიზნის განსახორციელებლად კავშირს უფლება აქვს: ა) დრო გამოშვებით, ანუ ერთდროულად გამოსცეს ჟურნალები, გაზეთები, სხვადასხვა ხასიათის კრებულები, წიგნები და სხვა, და უმთავრესად იზრუნოს ახალი და ძველი სიტყვა კაზმულ მწერლობის ნაწარმოებთა გამოცემისათვის; გ) გამართოს საჯარო ლექციები და მოხსენებანი სალიტერატურო საკითხებზე, სალიტერატურო სალამოები, მოაწყოს კავშირის წევრთა განსაკუთრებულ კრებებზე კითხვა ახალ ნაწარმოებთა; დ) ყოველ მხრივად ხელი შეუწყოს კავშირში შემავალ ცალკე ლიტერატურულ ასოციაციებს; ვ) მოაწყოს სამეცნიერო-სალიტერატურო ექსპედიციები შესასწავლად ქართულ სახალხო პოეზიისა, ხალხის ზნე-ჩვეულებათა ლექსიკოლოგიურ მასალათა შესაკრებად და სხვა; ე) იქონიოს სიტყვა-კაზმულ მწერლობის ხელნაწერ და დასტამბულ ნაწარმოებთა მუზეუმი. შეკრიბოს მწერალთა ფაქსიმილე და სურათები, შეადგინოს შეძლებისამებრ, როგორც ძველ, ისე ახალ მწერალთა ვრცელი ბიოგრაფიები; ზ) მოაწყოს წიგნთსაცავი და სამკითხველო, უმთავრესად სიტყვა-კაზმულ ლიტერატურის შინაარსის წიგნების ქართულ და უცხო ენაზე; ჰ) დანიშნოს ჯილდო ქართულ ენაზე საუკეთესო სიტყვა-კაზმულ ნაწარმოებთათვის, და ლიტერატურული საკითხების მეცნიერულ გამოკვლევებისათვის; თ) იქონიონ დამოკიდებულება სხვა საბჭოთა რესპუბლიკების კულტურულ დაწესებულებებთან და კავშირებთან; ი) საჭიროების მიხედვით დაარსოს ფილიალები საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში; ია) გამართოს სამხატვრო ლიტერატურული სალამოები, წარმოდგენები, და სხვა საჯარო გასართობები თავის ლონისძიებათა გასაძლიერებლად; იბ) მიიღონ ნაანდერძევი ქონება და მოიხმაროს მოანდერძის სურვილისამებრ; იგ) იზრუნონ, მწერალთა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის; იდ) წარადგინონ პენსიებზე დამსახურებული მწერლე-

ბი; იე) აღძრას საკითხი დამსახურებულ მწერალთა იუბილეებისა; ივ) საჭიროების მიხედვით აღმოუჩინოს დახმარება, როგორც თავის ნამდვილ წევრებს, აგრეთვე მათ ოჯახებს; იზ) ხელი შეუწყოს ახალგაზრდა მწერლებს; იჰ) მოაწყოს მწერალთა სახლი; ით) იქონიონ მწერალთავთის თავშესაფარი ბინები, როგორც ქალაქად ისე აგარაკად. კ) იზრუნონ მწერალთა პანთეონის აგებისა და გამშვენიერებისათვის; კა) მოაწყოს გამომცემლობა, გახსნას წიგნისა და საკანცელარიო ნივთების მაღაზიები; კბ) მოაწყოს თავის მიზნებისათვის სტამბა, ლიტოგრაფია, ციკოგრაფია და სხვა; კგ) იქონიონ წიგნთ საკინაძვი და სახაზავი სახელოსნოები; კდ) საჭიროებისდა მიხედვით გასცეს და მიიღოს თამასუქები. წარადგინოს თამასუქები გასახალდებლად, საკრედიტო დაწესებულებებში, გააკეთოს თამასუქებზე საბლანკო გადასაცემი და ყოველგვარი სხვა წარწერა, მიიღოს სესხის ქონების დაგირავებით და სხვა. საბჭოს უფლება აქვს დასდოს ყოველგვარი განრიგება კავშირის წესდების ფარგლებში. ყოველი აქტი კავშირის სახელით, ხელშეკრულებანი, მინდობილობანი და აგრეთვე თამასუქები და სესხის ვალდებულებანი და სხ., რაც საჭიროების შემთხვევაში ხელმოწერილი უნდა იქნეს კავშირის თავმჯდომარის ან მისი მოადგილის და საბჭოს ერთ-ერთი წევრის მიერ.

§ 4. კავშირი აღჭურვილია იურიდიული პირის უფლებით.

§ 5. კავშირის ცენტრალური ორგანოები იმყოფება თბილისში.

§ 6. კავშირს აქვს საკუთარი ბეჭედი.

§ 7. კავშირი ექვემდებარება საქართველოს ს. ს. რ. ყოველს კანონდებულებას.

კავშირის შემადგენლობა.

§ 8. **კავშირს შეადგენენ წევრები: ა) საპატიონი და ბ) ნამდვილნი.**

შენიშვნა 1. საპატიო წევრად არჩეულ იქნებიან მწერალნი, რომელთაც განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვით ქართულ ლიტერატურის წინაშე.

შენიშვნა 2. საპატიო წევრს აქვს ნამდვილი წვერის ყველა უფლება. — კავშირის წევრად მიღება და კავშირიდან გამორიცხვა შეადგენს კავშირის კონფერენციის კომპენტენციას.

III. კავშირში შემავალი სალიტერატურო ასოციაციები (მიმართულებანი).

§ 10. კავშირის ფარგლებში არსებობენ ცალკე სალიტერატურო ასოციაციები (მიმართულებანი), რომელთაც აქვთ თავისი საშუშაო ორგანოები.

§ 11. კავშირის ფარგლებში შემავალი სალიტერატურო ასოციაციები წარმოადგენენ ლიტერატურულ კულტურულ ორგანიზაციებს და არა აქვთ უფლება წარმომადგნელობისა მწერლობის

საერთო პროფესიულ საკითხებზე, რაც შეადგენს მხოლოდ ქართველ მწერალთა კავშირის პრეროგატივას.

§ 12. კავშირის შემავალ სალიტერატურო ასოციაციებს უფლებ აქვთ: იქონიონ თავისი გამომცემლობა, გამართონ საჯარო ლექციები, მოხსენებანი სალიტერატურო საკითხებზე, სამხატვრო სალიტერატურო სალამოები, წარმოდგენები, საჯარო გასართობები და გაიჩინონ შემოსავალთა სხვა წყაროები თავის საშუალებათა გასაძლიერებლად სრულიად საქართველოს. მწერალთა კავშირის მთავარ საბჭოსთან წინასწარი შეთანხმებით და მისი დასტურით, ხოლო მთელი მატერიალური პასუხისმგებლობა ამ სფეროში დაეკისრებათ ხსენებულ ასოციაციებს, რისთვისაც ისინი ამ შემთხვევაში აღჭურვილნი არიან იურიდიული პირის უფლებით.

შენიშვნა. მწერალთა კავშირის მთავარს საბჭოს სასარგებლოდ გადაირიცხება ყოველი ასოციაციის წმინდა შემოსავალის 10%. ასოციაციის დანარჩენი მოგება რჩება ასოციაციის განკარგულებაში.

§ 13. სალიტერატურო ასოციაციების წევრებად შეიძლება მიღებული იქნენ მხოლოდ ის წევრები, რომლებიც შედიან მწერალთა კავშირში.

შენიშვნა. მწერალი რომელიც არ ითვლება კავშირის წევრად შეიძლება მიღებულ იქნეს სალიტერატურო ასოციაციაში მხოლოდ კანდიდატის წევრი თანამშრომლის უფლებით და საზოგადოების ნამდვილ წევრად ჩაირიცხება მხოლოდ მას შემდეგ, როცა იგი მიღებულ იქნება ქართველ მწერალთა კავშირიში, თანახმად კავშირის წესდებისა.

§ 14. დებულება კავშირში შემავალ სალიტერატურო ასოციაციისა განიხილება და დამტკიცდება ცენტრალურ საბჭოს მიერ.

§ 15. კავშირი ყოველ მხრივ ხელს უწყობს მასში შემავალ სალიტერატურო ასოციაციებს, როგორც ნივთიერი დახმარებით ისე მორალურად.

§ 16. მწერლები, რომლებიც არ ითვლებიან ამა თუ იმ სალიტერატურო ასოციაციის წევრად პერსონალურად შედიან მწერალთა კავშირში.

IV. კავშირის ქონება.

§ 17. კავშირის ქონებას შეადგენს: ა) საწ. გადასახადი (ერთდროული 50 კაპ. თვიურად 25 კაპ.). გ) შემოსავალი კავშირის მიერ გამოცემულ ჟურნალ-გაზ. ვ) ალმანახებისა, წიგნებისა და სხვა. ბ) შემოსავალი კავშირის სასარგებლოდ გამართული საჯარო ლექციებისა, სალამოებისა, წარმოდგენებისა და სხვა. დ) კავშირის მიერ შექმნილ დაწესებულებათა შემოსავალი. ვ) დახმარებანი.

V. საქმეთა გამგეობა.

§ 18. კავშირის საქმეების გამგებელი ორგანო არის: ა) კონფერენცია, ბ) საბჭო, გ) სარევიზიო კომისია.

§ 19. კავშირის კონფერენცია არის ჩვეულებრივი და საგანგებო, ჩვეულებრივი კონფერენცია მოიწვევა საბჭოთა მიერ ყოველ წელს, საგანგებო კონფერენცია მოიწვევა: საბჭოს მიერ თავის შეხედულებისამებრ, ბ) სარევიზიო კომისიის მოთხოვნით, გ) როდესაც ამას მოითხოვს კავშირის წევრთა არა ნაკლები ერთი მესამედისა. მოთხოვნა საგანგებო კონფერენციის მოწვევისა უნდა შესრულებულ იქნეს საბჭოს მიერ არა უგვიანეს სამი კვირისა მოთხოვნის განცხადების დღიდან.

დღე და საგანი კონფერენციისა უნდა გამოცხადებულ იქნეს გაზეთებში ორი კვირით ადრე კონფერენციის მოწვევამდე.

§ 20. კოფერენციას ესწრება კავშირის ყოველი წევრი სრული ხმის უფლებით. კონფერენცია კანონიერად ჩაითვლება, უკვე, თუ პირველ მოწვევისას წევრთა ერთი მესამედი მაინც დაესწრება და მეორე მოწვევის დროს, რამდნი წევრიც არ უნდა დაესწროს.

§ 21. კონფერენცია გადასწყვეტს ყველა საკითხებს, რომელიც შეეხება კავშირის საქმეებს, მაგრამ კონფერენციის გარეშე არ უნდა გადასწყდეს საკითხები:

ა) წევრების მიღებისა და გამორიცხვისა. ბ) განხილვა და დამტკიცება საბჭოს წლიური ანგარიშისა და ხარჯთაღრიცვისა. გ) არჩევა საბჭოსი და სარევიზიო კომისიისა. დ) დამტკიცება და შეცვლა ინსტრუქციებისა საბჭოს და სარევიზიო კომისიისა. ე) კავშირის წესდების შეცვლა. ვ) კავშირის გაუქმება.

შენიშვნა. კონფერენციაზე ყოველი საკითხი სწყდება ხმის უბრალო უმრავლესობით.

§ 22. კავშირის საბჭო არის აღმასრულებელი ორგანო კონფერენციისა და პასუხისმგებელია მის წინაშე, იგი განაგებს კავშირის საქმეებს კონფერენციის დადგენილების თანახმად და ყოველ წლივ უდგენს კონფერენციას თავის მოქმედების ანგარიშს. საბჭო შესდგება 20 წევრისაგან რომელთაც ირჩევს კონფერენცია (მათთან ერთად ირჩევა 7 კანდიდატი).

§ 23. სარევიზიო კომისია შესდგება 4 წევრისაგან, რომელთაც ირჩევს კონფერენცია, და ორი კანდიდატისაგან, იგი მოქმედებს კონფერენციის მიერ დამტიკიცებულ ინსტრუქციების ფარგლებში.

VI. კავშირის გაუქმება.

§ 24. კავშირის გაუქმების დროს დაცულ უნდა იქნეს ამ წესდების მე-21 მუხლის შენიშვნაში აღნიშნული წესი, რის შემდეგაც აირჩევა სალიკვიდაციო კომისია რომელიც კავშირის საქმეთა მოწესრიგების შემდეგ იწვევს სალიკვიდაციო კონფერნეციას, რომელიც გადასცემს კავშირის დარჩენილ ქონებას საქართველოში არსებულ ანალოგიურ საზოგადოებრივ დაწესებულებას.

ყურადღება

„ქართულ მწერლობაზე“

ხელის მოწერას ღებულობს სახელგამის ყველა მაღაზიები—ტფილისსა და პროვინციებში, ფოსტის განყოფილებანი, სადაც კი ასეთები არსებობენ, და ჟურნალის მთავარი კანტორა—მწერალთა კავშირის წიგნის მაღაზიაში (ტფილისი, რუსთაველის პრ. № 8.)

ჟურნალი ღირს ხელისმომწერთათვის:

ერთი წლით — — 8 მან.

ექვსი თვით — — 4 მან. 50 კაპ.

რედაქციის მისამართი: ტფილისი, მაჩაბლის ქუჩა № 13, ხელოვნების სასახლე ტელ. 24 – 51.

რედაქტორის ტელეფ.—6—43; 23—99.

საქ. ფანჯიხ ხსრ. ხსჟ. ტ.ფ. სსრ

27/I ს.ს.მ.უ.ს. პოლიგრაფტ. 1-ლი სტამბა. პლეხ. პრ. № 91.

მთავარლიტი № 111. შეკ. № 544/3700. დაიბეჭდა 2500.